ნანა იოსელიანი
სოფიო ქებურია
მაია იოსელიანი

1

ხელოვნება

მასწავლებლის წიგნი

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტროს მიერ 2023 წელს.

სულაკაურის
გამომცემლობა

ხელოვნება 1
მასწავლებლის წიგნი

ავტორები: **ნანა იოსელიანი, სოფიო ქებურია, მაია იოსელიანი**

რედაქტორი **ვერიკო ენუქიძე**
დიზაინერი **ია მახათაძე**
ტექნიკური დიზაინერი **გიორგი ლომსაძე**

პირველი გამოცემა, 2023
© სულაკაურის გამომცემლობა, 2023
ყველა უფლება დაცულია.

შპს „სულაკაურის გამომცემლობა“
მისამართი: დავით აღმაშენებლის 150, თბილისი 0112
ტელ.: 291 09 54, 291 11 65
ელფოსტა: info@sulakauri.ge

ISBN 978-9941-30-429-3

ART 1
Teacher’s Book

© Sulakauri Publishing, 2023
all rights reserved.

Tbilisi, Georgia
www.sulakauri.ge

სარჩევი

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება....6

I-IV კლასების სტანდარტი, დაწყებითი საფეხური 6

სამიზნე ცნებები და ქვეცნებები....7

სამიზნე ცნებები და მათი მკვიდრი წარმოდგენები 8

თემატური ბლოკები და მათი მკვიდრი წარმოდგენები დაწყებით საფეხურზე 9

სავალდებულო თემატური ბლოკები 10

ცნებები და ქვეცნებები 10

შესავალი 11

შესავალი გაკვეთილები 14

გაკვეთილი 1. ხელოვნების სამყარო (ორი განშლა) 14

გაკვეთილი 2. მე ვარ ხელოვანი 15

კომპლექსური დავალებების გზამკვლევი 17

თემატური მატრიცა 1 22

თემატური მატრიცა 2 40

თემატური მატრიცა 3 58

თემატური მატრიცა 4 74

თემატური მატრიცა 5 87

შემაჯამებელი გაკვეთილი „მე უკვე ვიცი“ 100

დანართი.... 102

მოსწავლის თვითშეფასების ფორმა: 105

მოსწავლის წიგნის სარჩევი

რა დაგვჭირდება 4
1. ხელოვნების სამყარო 6
2. მე ვარ ხელოვანი. 10

ხაზების და ფერების სამეფო
3. ხაზების სამეფო 14
4. სახელოსნო. 16
5. ვხატავთ მუსიკას 18
6. ვხატავთ ფერადი ხაზებით. 20
7. სამი ჯადოქარი. 22
8. შედგენილი ფერები 24
9. ფერების ხმა 26
რა ვისწავლე? 28

ვინ გვიყურებს სურათიდან?
10. არ მცალია, ვთამაშობ!. 32
11. ხაზი და განწყობა 34
12. ორი მეგობარი 36
13. პორტრეტი 38
14. ავტოპორტრეტი. 40
15. მოწყენილობა მხიარული ფერებით 42
16. რა ფერია სიხარული?. 44
17. სახელოსნო 46
18. პატარა მეგობრები 48
19. ჩარჩო 50
რა ვისწავლე? 51

თოვლის პაპას სახელოსნო

20. ახალი წელი მოდის! **54**
21. მხიარული ფორმები **56**
22. სახელოსნო **58**
23. ციფრული ნახატი **60**
24. საახალწლო მოსართავები **62**
25. ნაძვის ხე **64**
26. მისალოცი ბარათი **66**
რა ვისწავლე? **68**

ბუნება ჩემ გარშემო

27. პეიზაჟი **72**
28. ღამის პეიზაჟი **74**
29. ზამთრის პეიზაჟი **76**
30. დავხატოთ ზღვა **78**
31. დავხატოთ მთა **80**
32. დავხატოთ ტყე **82**
33. სახელოსნო **84**
რა ვისწავლე? **86**

ცოცხალი ბუნება

34. წინაპრების მონათხრობი **90**
35. ქანდაკება **92**
36. რით კეთდება ქანდაკება? **94**
37. აპლიკაცია **96**
38. ქაღალდის ქანდაკება **98**
რა ვისწავლე? **100**

გავიხსენოთ **102**
მე უკვე ვიცი **104**

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება

I-IV კლასების სტანდარტი, დაწყებითი საფეხური

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სტანდარტი		
შედეგების ინდექსები	**სტანდარტის შედეგები**	**სამიზნე ცნებები**
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:	**1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)** (შედეგი: 1, 3, 4) **2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა** (შედეგი: 2, 3, 4) **3. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები** (შედეგი: 1,2,3,4) **4. სახვითი ხელოვნების ჟანრები** (შედეგი: 1,2,3,4)
ს.გ.დაწყ.(I).1.	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საშუალებებისა და ხერხების გამოყენება ჩანაფიქრის, იდეის, გუნება-განწყობის (ემოციების), შთაბეჭდილებების გადმოსაცემად ნამუშევარში.	
ს.გ.დაწყ.(I).2.	სხვადასხვა მასალისა და ტექნიკის შერჩევა და გამოყენება საკუთარი ჩანაფიქრის და იდეის განსახორციელებლად.	
ს.გ.დაწყ. (I).3.	ინდივიდუალური და ერთობლივი ნამუშევრის წარდგენა, საუბარი შესაბამისი ტერმინების გამოყენებით საკუთარ, თანაკლასელთა ან ცნობილ ხელოვანთა ნამუშევრებზე აზრის, იდეების, შთაბეჭდილებების გასაზიარებლად.	
ს.გ.დაწყ.(I).4.	ხელოვნების სხვადასხვა დარგისა და ჟანრის ნიმუშების ყოველდღიურ ცხოვრებასთან და საკუთარ შემოქმედებით საქმიანობასთან დაკავშირება ხელოვნების მრავალფეროვნების აღქმისა და დამოკიდებულების გამომუშავებისათვის.	

სამიზნე ცნებები და ქვეცნებები

დაწყებითი საფეხური (I-IV კლ)	
სამიზნე ცნება	**ქვეცნება**
(1) სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)	**სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საშუალებები (ელემენტები):** **ხაზი** (სხვადასხვა ტიპის სქელი, წვრილი, სწორი, ტალღოვანი, ტეხილი, წყვეტილი, ზიგზაგი, ჰორიზონტალური, ვერტიკალური, მრუდი, დიაგონალური, კონტური, შტრიხი); **ფერი** (ძირითადი და შედგენილი, ცივი და თბილი, ღია და მუქი, კონტრასტული, ტონი, ნახევარტონი); **ფორმა** (მარტივი გეომეტრიული და ბუნებაში არსებული, სიბრტყობრივი (2D) და სივრცითი (3D), სიმეტრიული და ასიმეტრიული); **ფაქტურა; ფონი;** **სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ხერხები** (პრინციპები): რიტმი, ელემენტთა განმეორებადობა, ძირითადის გამოყოფა, წინა და უკანა ხედი, კონტრასტი, სტატიკა, დინამიკა, ნამუშევარში გამოსახულებების განაწილება, ვერტიკალური ან ჰორიზონტალური ფორმატის შერჩევა.
(2) სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა	**ტექნიკა:** ხატვა, ძერწვა, აპლიკაცია, კოლაჟი, მოზაიკა, ანაბეჭდი, კონსტრუირება, კომპიუტერული სახატავი პროგრამა და სხვა.
(3) სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები	**დარგები:** მხატვრობა (ფერწერა, გრაფიკა), ქანდაკება, არქიტექტურა, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება.
(4) სახვითი ხელოვნების ჟანრები	**ჟანრები:** პეიზაჟი, პორტრეტი, ნატურმორტი, ყოფითი და სხვ.

სამიზნე ცნებები და მათი მკვიდრი წარმოდგენები

I-IV კლასები	
სამიზნე ცნებები	**ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები**
(1) სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)	● სათქმელის (ამბის, გრძნობის, აზრის, შთაბეჭდილების, განწყობილების, ემოციების, დამოკიდებულებების, დაკვირვების შედეგების), მხატვრული ჩანაფიქრის გადმოსაცემად ადამიანი იყენებს ხელოვნების ენას ანუ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საშუალებებსა (ფერი, ხაზი, ფორმა) და ხერხებს (მაგ., რიტმი, ძირითადის გამოყოფა, კონტრასტი და სხვ.).
(2) სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა	● ადამიანი ხელოვნების ნიმუშის შესაქმნელად იყენებს სხვადასხვა მასალასა და ტექნიკას.
(3) სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები	● ხელოვნების სხვადასხვა დარგებად დაყოფას განაპირობებს გამოყენებული მასალა, ტექნიკა, დანიშნულება; ● სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების თითოეული დარგისათვის რომელიმე მხატვრული საშუალებაა მეტად დამახასიათებელი.
(4) სახვითი ხელოვნების ჟანრები	● ხელოვნება იყოფა ჟანრებად მასში ასახული შინაარსის მიხედვით.

თემატური ბლოკები და მათი მკვიდრი წარმოდგენები დაწყებით საფეხურზე (I-VI კლასები):

თემატური ბლოკები	მკვიდრი წარმოდგენები
მე და გარესამყარო	● მე სამყაროს ნაწილი ვარ, მისგან ბევრი რამის სწავლა შემიძლია; ● ხელოვნებას საზღვრები არ აქვს, იგი მთელ სამყაროს აერთიანებს; ● ქართული/სხვა ერების ხელოვნების შესწავლით უკეთ შეიძლება გაიგო, შენ ვინ ხარ და რა ადგილი გაქვს სამყაროში; ● მეც შემიძლია გარესამყაროს შეცვლა ხელოვნების საშუალებით; ● გარესამყაროს მრავალფეროვნება და ჩემი მისდამი დამოკიდებულება ხელოვნების საშუალებით შემიძლია გადმოვცე; ● თითოეულმა ჩვენგანმა ჩვენი დამოკიდებულება სამყაროსადმი, ხელოვნების გზით, სრულიად განსხვავებულად შეიძლება გამოვხატოთ.
ადამიანები და ხელოვნება	● ხელოვნება ადამიანების ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს; ● ხელოვნების საშუალებით ადამიანებზე, მათ ხასიათზე, ცხოვრებაზე ბევრი რამის გაგება შეიძლება; ● ხელოვნება ეხმარება ადამიანებს, უკეთ გაუგონ ერთმანეთს და დაეხმარონ სხვადასხვა სახის პრობლემის გადაჭრაში; ● ხელოვნების საშუალებით შეიძლება გავიგოთ, როგორები იყვნენ ადამიანები სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ქვეყანაში; ● ხელოვნების საშუალებით საკუთარი თავის, სხვების და გარესამყაროს უკეთ გაცნობაა შესაძლებელი.
ხელოვნება ჩვენ გარშემო	● ხელოვნება ადამიანის არსებობიდან დღემდე მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია; ● ადამიანები ხელოვნების ნიმუშებს სხვადასხვა მიზნით და დანიშნულებით ქმნიდნენ და ქმნიან; ● ხელოვნება ჩვენ გარშემო ბევრგან და სხვადასხვა ფორმით შეიძლება აღმოვაჩინოთ; ● რასაც ჩვენ გარშემო ვხედავთ, ყველაფერი ხელოვნება არ არის; ● ხელოვნება სხვადასხვა დარგად იყოფა. ზოგიერთი დარგის ნიმუში, როგორც შესაბამისი დარგის სპეციალისტმა, ისე ნებისმიერმა ჩვენგანმა შეიძლება შექმნას; ● ხელოვნება ჩემ გარშემო ისეთი მრავალფეროვანი შეიძლება იყოს, როგორიც ადამიანი და გარესამყაროა.

სავალდებულო თემატური ბლოკები

დაწყებით საფეხურზე სასწავლო წლის განმავლობაში უნდა დამუშავდეს სამივე თემატური ბლოკი, რომლებიც, თავის მხრივ, შეიძლება შედგებოდეს თემებისა და ქვეთემებისგან. დასაშვებია მათი რამდენჯერმე გამეორებაც. თემა/ქვეთემა უნდა წარმოადგენდეს მოსწავლის პირად გამოცდილებასთან დაკავშირებულ შინაარსიან კონტექსტს (თემის/ქვეთემის დასახელება არ უნდა ემთხვეოდეს სამიზნე ცნებების, ქვეცნებების დასახელებებს), რომელიც იძლევა სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების სიღრმისეულად დამუშავების საშუალებას.

თემატური ბლოკები:

- **მე და გარესამყარო**
- **ადამიანები და ხელოვნება**
- **ხელოვნება ჩვენ გარშემო**

ცნებები და ქვეცნებები

I კლასი	
სამიზნე ცნებები	**ქვეცნებები**
(1) სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები	**საშუალებები:** ● **ხაზი** (სწორი, ტალღოვანი, ტეხილი, წყვეტილი, ზიგზაგი, მრუდი, ჰორიზონტალური, ვერტიკალური, დიაგონალური); ● **ფერი** (ძირითადი და შედგენილი, ღია და მუქი); ● **ფორმა** (მარტივი გეომეტრიული და ბუნებაში არსებული);
(2) სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა	**ტექნიკა:** ხატვა, ძერწვა, აპლიკაცია, კოლაჟი, მოზაიკა, ანაბეჭდი, კონსტრუირება, კომპიუტერული სახატავი პროგრამა და სხვა.
(3) სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები	**დარგები:** მხატვრობა, ქანდაკება, არქიტექტურა, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება.
(4) სახვითი ხელოვნების ჟანრები	**ჟანრები:** პეიზაჟი, პორტრეტი, ნატურმორტი და სხვ.

შესავალი

მოსწავლის წიგნთან დაკავშირებით:

მოცემული სახელმძღვანელოს მიზანია, ბავშვებს შევაყვაროთ ხელოვნება, ვასწავლოთ მშვენიერების აღქმა, გავუღვივოთ ინტერესი შემოქმედების მიმართ და გავხადოთ შემოქმედებითი პროცესის თანამონაწილეები და ინიციატორები.

სახელმძღვანელო გთავაზობთ სამივე სავალდებულო თემატური ბლოკის შესაბამის თემებს. თემების თანმიმდევრობა აგებულია იმგვარად, რომ ყოველი შემდგომი თემა ეფუძნება და ავითარებს წინა თემაში შესწავლილ სამიზნე ცნებებსა და ქვეცნებებს. ამასთანავე, შემოდის ახალი ცნებები და ქვეცნებები. შესაბამისად, ყოველი თემის შესწავლისას მიღებული ცოდნა და გამოცდილება ამზადებს მოსწავლეს ახალი სამიზნე ცნებისა და შესაბამისი ქვეცნების ათვისება-გააზრებისთვის. წლის ბოლოს მოსწავლეს, ნაბიჯ-ნაბიჯ დაშენებული გამოცდილების შედეგად, უყალიბდება სამყაროს შესახებ ადეკვატური მკვიდრი წარმოდგენები.

დაწყებითი საფეხურის, განსაკუთრებით I-II კლასების მოსწავლეებს ტექსტის კითხვა უჭირთ. მოსწავლის სახელმძღვანელოში ტექსტების მოცულობა, შესაძლოა, აღემატება მოსალოდნელს, მაგრამ ამას თავისი მიზეზი აქვს. დაწყებითი კლასების მოსწავლეების მშობლები განსაკუთრებული ენთუზიაზმით ინტერესდებიან შვილების სწავლით, სურთ დაეხმარონ პატარებს სირთულეების დაძლევაში. მხოლოდ ილუსტრაციითა და ორიოდე სიტყვით მიწოდებული მასალა არ არის საკმარისი იმისთვის, რომ მშობელი საქმის კურსში ჩავაყენოთ. გასათვალისწინებელია ის, რომ მას არ აქვს მასწავლებლის წიგნი, საიდანაც ამომწურავ ინფორმაციას მიიღებდა. ამიტომაც, ხშირად მშობლები უკმაყოფილებას გამოხატავენ საგნის სწავლების მიმართ. ავტორებმა თავს უფლება მივეცით, მოსწავლის წიგნში მოსალოდნელზე მეტი მოცულობის ტექსტები ჩაგვედო, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლე-მშობელი-მასწავლებლის თანამშრომლობას.

მასწავლებლის წიგნთან დაკავშირებით:

მასწავლებლის წიგნში თემის შესწავლა დაყოფილია ნაბიჯებად. ზოგიერთი ნაბიჯი მოიცავს რამდენიმე გაკვეთილს, რადგან ისინი ერთსა და იმავე ცნებებსა და ქვეცნებებს მიემართება. ყოველი შემდგომი ნაბიჯი იწყება იქ, სადაც შემოდის ახალი სამიზნე ცნება და მისი შესაბამისი ქვეცნება, რომელიც ორიენტირებულია ახალი მკვიდრი წარმოდგენის ჩამოყალიბებაზე.

მასწავლებლის წიგნში აქტივობები გაწერილია დაწვრილებით: ცოდნის გასამყარებელ, სააზროვნო უნარებისა და რეფლექსიის განმავითარებელ შეკითხვებს ახლავს სავარაუდო პასუხები; ყოველ პრაქტიკულ სამუშაოს – მასალის ჩამონათვალი, ეტაპობრივი მითითებები, რჩევები.

მასწავლებლის წიგნში მოცემულია ასაკობრივ თავისებურებებზე მორგებული მრავალფეროვანი აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეების ნატიფი მოტორიკის განვითარებას; კომუნიკაციის, თანამშრომლობის, ორგანიზებულობის, ანალიზის, ინტერპრეტაციის, შეფასებისა და რეფლექსიის უნარების ჩამოყალიბებას. აქტივობები ორიენტირებულია დაკვირვებაზე, მსჯელობაზე, ინტერპრეტაციასა და შედარებაზე; ასევე არის თამაშები, ექსპერიმენტები, პრაქტიკული სავარჯიშოები და შუალედური დავალებები, რომლებიც შეამზადებს მოსწავლეებს კომპლექსური დავალების შესრულებისთვის. მასწავლებლის წიგნში შემოთავაზებულ შუალედურ აქტივობებს ახლავს რეფლექსიის კითხვებიც, რადგან შუალედური ნაბიჯები, ფაქტობრივად, არის „რეპეტიცია“, წინასწარი გავარჯიშება კომპლექსური დავალების შესრულება-წარდგენისთვის, რეფლექსიის კითხვებზე პასუხის გაცემა შეამზადებს მოსწავლეს პრობლემის წარმატებით დასაძლევად, შესაძლო სტრესის შესამცირებლად და SOLO ტაქსონომიის მიმართებითი დონის მისაღწევად.

დიფერენცირებული სწავლების მიზნით შესაძლებელია აქტივობების გართულება ან გამარტივება დავალების პირობაში არსებული კომპონენტების დამატებით ან მოკლებით.

თითოეულ გაკვეთილს წინ უძღვის სამოტივაციო საუბარი/წინარე ცოდნის გასააქტიურებელი შეკითხვები, რაც შეამზადებს მოსწავლეს, აქტიურად ჩაერთოს გაკვეთილის მსვლელობაში.

თითქმის ყოველი ნაბიჯის დასასრულს დასმულია ნაბიჯის შემაჯამებელი შეკითხვები, რომლებიც დაეხმარება მოსწავლეებს, თავი მოუყარონ მიღებულ ცოდნას/გამოცდილებას. ნაბიჯის შემაჯამებელი შეკითხვები არ ერთვის მხოლოდ იმ გაკვეთილებს, რომლებიც სრულდება შუალედური დავალებებით, რადგან შუალედურ დავალებებს მოსდევს თავისი რეფლექსიის კითხვარი, რომელიც ისედაც აჯამებს მიღებულ გამოცდილებას/ცოდნას.

ყოველ ნაბიჯს ერთვის საილუსტრაციო მასალის, ვიდეოგაკვეთილების ან აუდიოჩანაწერების აქტიური ინტერნეტ-ბმულები, რომლებიც დაეხმარება მოსწავლეებს მასალის ათვისებაში, გაუხალისებს და გაამრავალფეროვნებს გაკვეთილს.

ზოგიერთ გაკვეთილს ერთვის ლექსიკონი – ასათვისებელი ტერმინები განმარტებებითურთ.

მოსწავლის წიგნში მოცემულ ეტაპობრივ ფოტოინსტრუქციებს მასწავლებლის წიგნში ემატება დაწვრილებითი აღწერა.

მასწავლებლის წიგნი სრულდება დანართით, რომელშიც მოცემულია დასაქსეროქსებელი თარგები.

სახელმძღვანელოზე მუშაობის პროცესში შესაძლებლობა გვქონდა, შეგვემოწმებინა ჩვენ მიერ დაგეგმილი გაკვეთილები უშუალოდ საკლასო გარემოში, განსხვავებული უნარ-ჩვევების მქონე მოსწავლეებთან. შესაბამისად, აქტივობები დაგეგმილია საშუალო მონაცემებზე დაყრდნობით. მასწავლებელს შეუძლია სახელმძღვანელოში შემოთავაზებული იდეები მოარგოს საკუთარ გარემოებებს, მოსწავლეთა შესაძლებლობებს თუ სკოლის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას. მაგალითად, მასწავლებელს შეუძლია შემოთავაზებულ აქტივობებში ცვლილებების შეტანა – სხვა მასალის ან ტექნიკის გამოყენება ან განსხვავებული უნარების მქონე მოსწავლეებისათვის მსგავსი ან სხვადასხვა სირთულის აქტივობების შერჩევა.

გაკვეთილებს ახლავს რამდენიმე აქტივობა შეკითხვებისა და პრაქტიკული დავალებების სახით.

I-II კლასების მოსწავლეების ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, შეკითხვების შემცველი დავალებების მიზანია, ვასწავლოთ ბავშვებს ხელოვნების ნიმუშების აღქმა. დავალებები აიძულებენ მათ, ყურადღებით დააკვირდნენ ილუსტრაციას, აღმოაჩინონ, დაფიქრდნენ, შეაფასონ, გამოიმუშაონ საკუთარი ემოციური და კოგნიტური დამოკიდებულება, რაც მომავალში მიაჩვევს მათ სამყაროს არა ზედაპირულ, არამედ საფუძვლიან, გააზრებულ აღქმას.

რეკომენდაცია

სახელმძღვანელოში ყველა აქტივობისთვის საჭირო მასალა და აღჭურვილობა შერჩეულია მაქსიმალური ხელმისაწვდომობისა და უსაფრთხოების პირობების გათვალისწინებით, თუმცა ძალიან მნიშვნელოვანია, მათი გამოყენების წინ მასწავლებელმა აუხსნას/შეახსენოს მოსწავლეებს გამოყენების წესები.

თემატური მატრიცის სტრუქტურა:

- კლასი;
- თემატური ბლოკი;
- თემა;
- თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები;
- სამიზნე ცნებები და ქვეცნებები;
- საკითხი;
- საკვანძო შეკითხვები;
- კომპლექსური დავალების პირობა;
- სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები;
- შეფასების კრიტერიუმები (კონკრეტულ კომპლექსურ აქტივობაზე მისადაგებული);
- კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები).

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა;

- განსახილველი ქეისები კომპლექსური დავალების განსახორციელებლად;
- რესურსები კომპლექსური დავალების განსახორციელებლად;
- კომპლექსური დავალების პირობის გააზრებაზე ორიენტირებული შეკითხვები.

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა;

ნაბიჯები შეიცავს:

- კონკრეტული გაკვეთილის მიზნებს;
- მოსალოდნელ შედეგებს და ინდიკატორებს;
- ვიზუალური რესურსის ჩამონათვალს;
- სამოტივაციო სასაუბრო ტექსტს და/ან შეკითხვებს წინარე ცოდნის გააქტიურებისათვის;
- აქტივობისთვის საჭირო მასალის ჩამონათვალს;
- აქტივობის აღწერას;
- აქტივობასთან/შუალედურ დავალებასთან დაკავშირებულ შეკითხვებს და შესაბამის პასუხებს;
- გაკვეთილის თემასთან დაკავშირებულ შემაჯამებელ კითხვებს.

ეტაპი III – კომპლექსური დავალების შესრულება და წარდგენა (მოსწავლის წიგნში „რა ვისწავლე“)?

- შეფასებები: განმავითარებელი, SOLO ტაქსონომიის მიხედვით.

შესავალი გაკვეთილები

გაკვეთილი 1. ხელოვნების სამყარო (ორი განშლა)

სახვითი ხელოვნების ორი დარგის – **მხატვრობისა და ქანდაკების** გაცნობა.

სასაუბრო:

ხელოვნების სამყარო უკიდეგანოა: ლექსები, ზღაპრები, ფილმები, მუსიკა, ცეკვა და სიმღერა, სურათები, ქანდაკებები, მშვენიერი შენობები, ლამაზი ნივთები... ეს ყველაფერი ხელოვნებაა.

ამ უსასრულო სამყაროში რომ არ დაიკარგოთ, მეგზურობას მე (მასწავლებელი) გაგიწევთ. გაგაცნობთ ხელოვნების ენას.

გასწავლით:

- როგორ დახატოთ, გააფერადოთ, გამოძერწოთ თქვენი ფიქრები, გრძნობები, შთაბეჭდილებები;
- როგორ აკეთებენ ამას სხვები;

ხელოვნების გაკვეთილზე შენ მხატვარიც იქნები და მოქანდაკეც.

ხან გამოძერწავ, ხან დახატავ, ისწავლი საინტერესო და ლამაზი ნივთების გაკეთებას.

ჩვენს საგანს ჰქვია სახვითი ხელოვნება.

ხელოვანები თავიანთ გრძნობებსა და ფიქრებს ისე ასახავენ, რომ ჩვენც დაგვანახონ.

თქვენც ისწავლით ფიქრების, შთაბეჭდილებების, გრძნობების გამოხატვას სახვითი ხელოვნების ენით.

პირველი განშლა:

შეკითხვა: რა არის ხელოვნება და რას ქმნიან ხელოვანები?

- მოქანდაკე აკეთებს ქანდაკებას;
- მხატვარი ხატავს სურათს;

აქტივობა 1. დაკვირვება, დახარისხება:

გამოიცანი:

- რომელია ქანდაკება?
- რომელია ნახატი?

დამატებითი შეკითხვები:

- რა სხვაობაა სურათსა და ქანდაკებას შორის?

პასუხი: სურათი ბრტყელ ზედაპირზე იხატება. ქანდაკება კი სივრცეში დგას და ის შეგიძლია ყველა მხრიდან დაათვალიერო.

- სად და რა სახით შეგხვედრია ცხოვრებაში მხატვრობა და ქანდაკება?

პასუხი: კედელზე სურათი; ქუჩაში, მოედანზე – ქანდაკება...

- რა საჭიროა ხელოვნება?
- რატომ ვკიდებთ კედელზე სურათებს?

პასუხი: ხელოვნება ალამაზებს სამყაროს. ქუჩაში, მოედანზე, პარკში დგას ქანდაკებები. ისინი შესამჩნევი და დასამახსოვრებელია. პატარა ქანდაკებებს ზოგჯერ თაროზე დებენ და ამით ოთახს ალამაზებენ. კედელზე დაკიდებული სურათები ამშვენებენ, აფერადებენ ოთახს, რაღაცას გვიამბობენ...

მეორე განშლა:

საუბარი:

მოდი, შევიხედოთ ხელოვანის სახელოსნოში.

- რით ხატავს მხატვარი?
- რით ძერწავს მოქანდაკე?

დამატებითი შეკითხვები:

- გამოგიძერწავს პლასტილინით?
- რა ჰქვია გამოძერწილ ნაკეთობას?
- გიყვარს ხატვა?
- რით და რას ხატავ ხოლმე?
- რაში სჭირდება მხატვარს საღებავები, ფუნჯები, პალიტრა, ფანქრები?
- დააკვირდი სახელმძღვანელოში მოცემულ ფოტოებს. რას აკეთებენ შენი თანატოლები?
- რომელი მასალა გეცნობა?
- შენ რომლით დაგიხატავს/გამოგიძერწავს?

აქტივობა 2. პრაქტიკული სამუშაო, ხატვა

იმისთვის, რომ უკეთ გავიცნოთ ერთმანეთი, დახატეთ თქვენი თავი.

გაკვეთილი 2. მე ვარ ხელოვანი

ვიდეო რესურსი: ტელესკოლა,

„ჩვენი ხელები“: https://www.youtube.com/watch?v=5_lKZlwRvYk;

„ლოკოკინა“: https://www.youtube.com/watch?v=_T1yh_u_Dk0;

ლექსიკონი:

სახელოსნო – მხატვრის სამუშაო სივრცე.

სასაუბრო:

ადამიანი უხსოვარი დროიდან ხატავს.

რატომ უნდებოდათ ხატვა პირველყოფილ ადამიანებს?

იქნებ, მათ ჯერ არ იცოდნენ იმდენი სიტყვა, რომ ერთმანეთისთვის თავგადასავლები მოეთხროთ? ნახატებით კი უამრავი ამბის „მოყოლა“ შეიძლება. ისინი ხატავდნენ ცხოველებს და ფრინველებს, რომლებსაც გარეთ ხედავდნენ, ხატავდნენ საკუთარ ხელებსაც, რადგან იმ დროს პირველყოფილი ადამიანები საკუთარი ხელების იმედად იყვნენ. იმ ხელების, რომლითაც ყველა საჭირო ნივთსაც ამზადებდნენ და ხელოვნებასაც ქმნიდნენ!

- რაზე ხატავდნენ პირველყოფილი ადამიანები, მათ ხომ ქაღალდი არ ჰქონდათ?!

პასუხი: პირველი ნახატები გამოქვაბულის კედლებზე გაჩნდა.

აქტივობა 1. ანაბეჭდი, პრაქტიკული სამუშაო:

დახატე სურათი შენი ხელის ანაბეჭდით.

* საღებავების უქონლობის შემთხვევაში მოსწავლეები ფანქრით ან მარკერით შემოხაზავენ საკუთარი

ხელის მტევანს.

მასალა: სახატავი ფურცლები, გუაშის საღებავები, პალიტრა, ფუნჯი, მარკერები, ხელსაწმენდი.

- ხელის გულზე და თითებზე ფუნჯით წაისვი გუაშის საღებავები;
- დაადე ხელის გული სახატავ ფურცელს;
- ფრთხილად აიღე ხელი და დააკვირდი ანაბეჭდს. დაათვალიერე სხვადასხვა მხრიდან და ეცადე, რაიმეს მიამსგავსო;
- მიუხატე ანაბეჭდს ისეთი დეტალები, რომ შენი აღმოჩენა სხვებმაც ამოიცნონ;
- რა გამოგივიდა? რა ამოიცნეს მეგობრებმა?

საგანი: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება **კლასი: I**			
1 თემატური ბლოკი: ადამიანები და ხელოვნება		**სამიზნე ცნებები და ქვეცნებები**	**კომპლექსური დავალების პირობა/იდეა**
1	**თემა:** ხაზების და ფერების სამეფო (გაკვეთილები 3 – 9) საათების საერაუდო რაოდენობა: 7 + 2	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები: **ქვეცნებები:** ხაზი: სხვადასხვა ტიპის; ფერი: ძირითადი და შედგენილი; ღია, მუქი სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა: **ქვეცნება:** ხატვა სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები: **ქვეცნება:** მხატვრობა.	**დახატე მხიარული ან სევდიანი სურათი.** გადმოეცი განწყობა **ძირითადი და შედგენილი, ღია და მუქი ფერებით;** გამოიყენე **სხვადასხვა ტიპის ხაზი** (სწორი, ტეხილი, ზიგზაგი, მრუდი, კლაკნილი, ტალღოვანი, წვრილი ან სქელი). **ნამუშევრის წარდგენისას ისაუბრე:** ● რა განწყობა გადმოეცი? ● რა **ფერებით** (ძირითადი/შედგენილი, ღია/მუქი) **დახატე** განწყობა? ● რომელმა ფერმა გაამხიარულა შენი ნახატი? ● რომელმა შექმნა სევდიანი განწყობა? ● როგორი **ხაზები** (სწორი, ტეხილი, ზიგზაგი, მრუდი, კლაკნილი, ტალღოვანი, წვრილი ან სქელი) გამოიყენე? ● რომელი ხაზია ყველაზე ღონიერი, სუსტი, მხიარული, ცელქი, ბრაზიანი? ● რა ნაბიჯები გადადგი დავალებაზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე? ● რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლიდან რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

2	**თემა:** ვინ გვიყურებს სურათიდან? (გაკვეთილები 10 – 19) საათების საერარაუდო რაოდენობა: 10 + 2	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები: **ქვეცნებები:** ხაზი: სხვადასხვა ტიპის; ფერი: ძირითადი და შედგენილი; ღია და მუქი. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა: **ქვეცნება**: ხატვა სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები: **ქვეცნება:** მხატვრობა. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჟანრები: **ქვეცნება:** პორტრეტი.	**დახატე ავტოპორტრეტი.** ● შენი სახასიათო ნიშნების, გარეგნობის, ვარცხნილობის, ჩაცმულობის და ინტერესების გადმოსაცემად შეარჩიე და გამოიყენე **სხვადასხვა ტიპის ხაზი, ძირითადი და შედგენილი, ღია და მუქი ფერები.** ● ჩანაფიქრის შესაბამისად გადაწყვიტე, პორტრეტს გრძივად დახატავ თუ განივად. ● მოიფიქრე, რას დახატავ ფონზე. ● გაუკეთე ნამუშევარს ჩარჩო. გაალამაზე ჩარჩო სხვადასხვა ტიპის ხაზით. **ნამუშევრის წარდგენისას ისაუბრე:** ● რა დახატე? ● როგორი **ხაზები** გამოიყენე **ავტოპორტრეტში** შენი გარეგნული ნიშნების გადმოსაცემად? ● რა **ფერები** გამოიყენე (ძირითადი/ შედგენილი, ღია და მუქი) ხასიათის, განწყობის გადმოსაცემად? ● რომელმა ფერმა გაამხიარულა შენი ნახატი? ● რომელმა შექმნა სევდიანი განწყობა? ● რა დეტალები დაგეხმარა შენი ინტერესების გადმოცემაში? ● რა დახატე ფონზე? ● როგორი ჩარჩო გაუკეთე ნახატს? ● რა მოგწონს შენს ნამუშევარში? ● რას შეცვლიდი? ● რა ნაბიჯები გადადგი დავალებაზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე? ● რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლიდან რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

2 თემატური ბლოკი: ხელოვნება ჩვენ გარშემო			
1	**თემა:** თოვლის პაპას სახელოსნო (გაკვეთილები 20 – 26) საათების საერაუდო რაოდენობა: 10 + 2	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები: **ქვეცნებები:** ხაზი (სხვადასხვა ტიპის) ფორმა (გეომეტრიული და ბუნებაში არსებული); სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა: **ქვეცნებები:** ხატვა, აპლიკაცია, კონსტრუირება, მოდელირება, ძერწვა; სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები: **ქვეცნება:** დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება	დაამზადე საახალწლო მოსართავი: გირლანდა, ნაძვის ხის სათამაშო და სხვ; გამოიყენე სხვადასხვა მასალა (გირჩები, ტოტები, ფოთლები, ფერადი ქაღალდები, მუყაო, პლასტილინი, თიხა ან საძერწი ცომი, ლენტები, მძივები, ღილები) და ტექნიკა (ხატვა, აპლიკაცია, კონსტრუირება, ძერწვა); მიეცი ნამუშევარს გეომეტრიული ან ბუნებაში არსებული ფორმა; გაალამაზე ნაკეთობა სხვადასხვა ტიპის ხაზით (სწორი, ზიგზაგი, ტალღოვანი, წყვეტილი და სხვა); შენი და შენი მეგობრების მიერ დამზადებული მოსართავებით გაალამაზეთ სკოლის გარემო: დერეფანი ან საკლასო ოთახი. **ნამუშევრის წარდგენისას ისაუბრეთ:** ● რა გააკეთე? ● რა მასალა და **ტექნიკა** გამოიყენე მოსართავის შესაქმნელად? ● როგორი ფორმები გამოიყენე? ● რით გაალამაზე ნამუშევარი? ● რისთვის გამოიყენე ხაზი? ● რა ნაბიჯები გადადგი დავალებაზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე? ● რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლიდან რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

3 თემატური ბლოკი: მე და გარესამყარო			
1	**თემა:** ბუნება ჩემ გარშემო (გაკვეთილები 27 – 33) საათების საერაუდო რაოდენობა: 6 + 2	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები: ფერი (ძირითადი და შედგენილი, ღია და მუქი); ხაზი (სხვადასხვა ტიპის); ფორმა (გეომეტრიული და ბუნებაში არსებული); სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა: **ქვეცნებები:** ხატვა, შერეული და არატრადიციული ტექნიკა, აპლიკაცია; სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები: **ქვეცნება:** მხატვრობა; სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჟანრები: **ქვეცნება:** პეიზაჟი.	შენთვის საყვარელი **ტექნიკით** შექმენი **პეიზაჟი**. გამოიყენე ჩანაფიქრის შესაბამისი **ფორმები** (გეომეტრიული და ბუნებაში არსებული), **ფერები** (ძირითადი და შედგენილი, ღია და მუქი) და სხვადასხვა ტიპის **ხაზი** (სწორი, ტალღოვანი, ტეხილი, წყვეტილი, მრუდი, სქელი, წვრილი). ნამუშევრის წარდგენისას ისაუბრე: ● რა გააკეთე? ● რა მასალა და ტექნიკა გამოიყენე პეიზაჟის შესაქმნელად? ● როგორ გამოიყენე სხვადასხვა ტიპის ხაზი, ფორმა და ფერი პეიზაჟის გადმოსაცემად? ● რა ნაბიჯები გადადგი დავალებაზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე? ● რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლიდან რომ იწყებდე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობას?

2	**თემა:** ცოცხალი ბუ-ნება (გაკვეთილები 34 – 38) საათების სა-ვარაუდო რაო-დენობა: 5 + 3	სახვითი და გამოყე-ნებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსა-ხველობითი საშუა-ლებები და ხერხები: **ქვეცნებები:** ფორმა (ბუნებაში არსებული); სახვითი და გამოყე-ნებითი ხელოვნების ტექნიკა: **ქვეცნებები:** ხატვა, ძერწვა, აპლი-კაცია, კონსტრუი-რება; სახვითი და გამოყე-ნებითი ხელოვნების დარგები: **ქვეცნებები:** მხატვრობა, ქანდა-კება; სახვითი და გამოყე-ნებითი ხელოვნების ჟანრები: **ქვეცნებები:** პეიზაჟი, ანიმა-ლისტური ჟანრი.	შექმენი დიორამა – ცხოველები და გარემო, რომელშიც ისინი ცხოვრობენ. ცხოველების პატარა **ქანდაკებების** შესაქმნელად გამო-იყენე შენთვის სასურველი **მასალა** (მუყაო, ქაღალდი, პლასტილინი, თიხა ან საძერწი ცომი) და **ტექნიკა** (ძერწვა, მოდელირება); ცხოველის ქანდაკებაში გადმოეცი მისთვის დამახასიათებელი **ფორმა** (ბუნებაში არსებული). დიორამაში ცხოველების შესაბამისი გარემოს შექმნისას გამოიყენე გეომეტრიული ან ბუნებაში არსებული ფორმე-ბი; მასალა (მუყაო, ქაღალდი, საღებავები); აპლიკაციისა და ხატვის **ტექნიკა**. **ნამუშევრის წარდგენისას ისაუბრე:** ● რა გააკეთე? ● რა მასალით და **ტექნიკით** შექმენი გარემო (პეიზაჟი) შენი ცხოველებისთვის? ● როგორი **ფორმები** გამოიყენე ცხოველების **ქანდაკე-ბებში** და როგორი – **პეიზაჟში**? ● რა ნაბიჯები გადადგი დავალებაზე მუშაობის სხვადა-სხვა ეტაპზე? ● რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლიდან რომ იწყებდე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობას?

თემატური მატრიცა 1

კლასი: I

თემატური ბლოკი 1: ადამიანები და ხელოვნება

თემა: ხაზების და ფერების სამეფო (გაკვეთილები 3 – 9) საათების სავარაუდო რაოდენობა: 7+2

თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები (განზოგადებები თემის ფარგლებში):

- ჩემი იდეები, შთაბეჭდილებები, გრძნობები, ემოციები შემიძლია გამოვხატო და გავუზიარო სხვებს ხელოვნების სხვადასხვა **დარგში** შესრულებული ნამუშევრებით;
- ჩემი შთაბეჭდილებების, გრძნობების, ემოციების გადმოცემაში მეხმარება **მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები, ხერხები, მასალა და ტექნიკა.**

1. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)

ქვეცნებები – საშუალებები:

ხაზი (სწორი, ტალღოვანი, ტეხილი, წყვეტილი, ზიგზაგი, მრუდი, წვრილი, სქელი).

ფერი (ძირითადი და შედგენილი; ღია, მუქი).

2. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა

ქვეცნება – ხატვა

3. სამიზნე ცნება – სახვითი ხელოვნების დარგები

ქვეცნება – მხატვრობა

საკითხი – ნამუშევარში საკუთარი ემოციების, შთაბეჭდილებების, განწყობის გადმოცემა.

საკვანძო შეკითხვები:

- როგორ გადმოსცემენ ხელოვანები საკუთარ ემოციებს, შთაბეჭდილებებს, განწყობას?
- როგორ გადმოვცე ჩემი ემოციები, განწყობა, შთაბეჭდილებები ნამუშევარში?
- როგორ გამოვიყენო სახვითი ხელოვნების ენა ჩემი განწყობის გადმოსაცემად?
- რომელი სახატავი მასალა დამეხმარება, უკეთ გადმოვცე ჩემი განწყობა?

კომპლექსური დავალების პირობა:

დახატე მხიარული ან სევდიანი სურათი.

გადმოეცი განწყობა **ძირითადი და შედგენილი, ღია და მუქი ფერებით;**

გამოიყენე **სხვადასხვა ტიპის ხაზი** (სწორი, ტეხილი, ზიგზაგი, მრუდი, კლაკნილი, ტალღოვანი, წვრილი ან სქელი).

სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:	**შეფასების კრიტერიუმები (კონკრეტულ კომ-პლექსურ აქტივობაზე მისადაგებული)** ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:
1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) ● სათქმელის (ამბის, გრძნობის, აზრის, შთაბეჭდილების, განწყობილების, ემოციების, დამოკიდებულებების, დაკვირვების შედეგების), მხატვრული ჩანაფიქრის გადმოსაცემად ადამიანი იყენებს ხელოვნების ენას ანუ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საშუალებებს (ფერი, ხაზი, ფორმა) და ხერხებს (მაგ., რიტმი, ძირითადის გამოყოფა, კონტრასტი და სხვ.). **2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა.** ● ადამიანი ხელოვნების ნიმუშის შესაქმნელად იყენებს სხვადასხვა მასალასა და ტექნიკას. **3.სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები** ● ხელოვნების სხვადასხვა დარგად დაყოფას განაპირობებს გამოყენებული მასალა, ტექნიკა, დანიშნულება; ● სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების თითოეული დარგისათვის რომელიმე მხატვრული საშუალებაა მეტად დამახასიათებელი. **4. სახვითი ხელოვნების ჟანრები** ● ხელოვნება იყოფა ჟანრებად მასში ასახული შინაარსის მიხედვით.	● რა დახატე? ● რა განწყობა გადმოეცი? ● რომელი საშუალებები გამოიყენე? ● რა ფერებით (ძირითადი/შედგენილი, ღია/მუქი) დახატე განწყობა? ● რომელმა ფერმა გაამხიარულა შენი ნახატი? ● რომელმა შექმნა სევდიანი განწყობა? ● როგორი ხაზები (სწორი, ტეხილი, ზიგზაგი, მრუდი, კლაკნილი, ტალღოვანი, წვრილი ან სქელი) გამოიყენე? ● რომელი ხაზია ყველაზე ღონიერი, სუსტი, მხიარული, ცელქი, ბრაზიანი? ● რა ნაბიჯები გადადგი დავალებაზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე? ● რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლიდან რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

განსახილველი ქეისები კომპლექსური დავალების განსახორციელებლად:

- მხატვარი ნახატებით გვესაუბრება.
- ფერები და ხაზები მხატვრის სიტყვებია.
- გიცდია, მხატვრობის ენაზე საუბარი?
- გიცდია, ნახატში ხაზებით და ფერებით განწყობის გადმოცემა?

შენც ისწავლი მხატვრობის ენას, ისწავლი ხაზებით და ფერებით განწყობის გადმოცემას.

რესურსები კომპლექსური დავალების განსახორციელებლად:

ილუსტრაციები: ლელა ცუცქირიძე, ვასილი კანდინსკი, ჟოან მირო, პაბლო პიკასო, ალექსანდრ კალდერი.

ტელესკოლა, ვიდეო გაკვეთილები:
https://www.youtube.com/watch?v=vNvVRqmFxJM&t=306s;
https://www.youtube.com/watch?v=CXZoEIVA5hs;

მუსიკის აქტიური ბმულები:

იოჰან შტრაუსის „ტრიშ-ტრაშ პოლკა“ (1:11 წთ.)
https://www.youtube.com/watch?v=pu50e_S4qMk;

დიმიტრი შოსტაკოვიჩი, „მარში“ (0:47 წთ.)
https://www.youtube.com/watch?v=kT7oqohP_Nc;

დ. შოსტაკოვიჩი, „ვალსი-ხუმრობა“ (1:16 წთ.)
https://www.youtube.com/watch?v=rv26WKc21UA;

დ. შოსტაკოვიჩი, „ვალსი N2“ (3:43 წთ.)
https://www.youtube.com/watch?v=wjSGiUmis-A;

არამ ხაჩატურიანი, „ცეკვა ხანჯლებით“, (2:35 წთ.)
https://www.youtube.com/watch?v=mUQHGpxrz-8;

კამილ სენ სანსი, „გედი“ (3:06 წთ.)
https://www.youtube.com/watch?v=3qrKjywjo7Q;

ჯოაკინო როსინი, „ვილჰელმ ტელი“, უვერტიურის ფინალი (2:05 წთ.)
https://www.youtube.com/watch?v=YIbYCOiETx0;

<u>კომპლექსური დავალების პირობის გააზრებაზე ორიენტირებული შეკითხვები:</u>

- რომელია შენი საყვარელი ფერები?
- როგორ ხასიათზე გაყენებს ისინი?
- რა ფერებით გადმოსცემ ნახატში შენს განწყობას?
- როგორი ხაზები დაგეხმარება განწყობის გადმოცემაში?

ეტაპი 2: კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1. (გაკვეთილები 3, 4)

3. ხაზების სამეფო

სხვადასხვა ტიპის ხაზების და მათი ხასიათის გაცნობა

სამიზნე ცნება/ქვეცნებები:

1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები – ქვეცნება: ხაზი (სხვადასხვა ტიპის);
2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა – ქვეცნება: ხატვა;
3. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები – ქვეცნება: მხატვრობა.

რესურსები: სახელმძღვანელო – ხაზების ნიმუშები, ლელა ცუცქირიძის ნახატი;

ტელესკოლა, „რა შეუძლია ხაზს“ https://www.youtube.com/watch?v=vNvVRqmFxJM&t=306s;

იდეები აქტივობებისათვის:

სამოტივაციო საუბარი:

ადამიანებს სხვადასხვა ხასიათი გვაქვს. როცა რაღაც გვიხარია, ვიცინით; როცა გვწყინს ან ვბრაზობთ – ვიღუშებით; როცა გვეშინია – ვიმალებით...

იცით, რომ ნებისმიერი გუნება-განწყობა შეგიძლიათ ნახატით გამოხატოთ და თანაც ისე, რომ გარშემო ყველა მიხვდეს, რას გრძნობთ?

მხატვარი ნახატებით გვესაუბრება. ფერები და ხაზები მხატვრის სიტყვებია.

თქვენც ისწავლით მხატვრობის ენას, ხაზებით და ფერებით განწყობის გადმოცემას.

ხატვა ხაზის გავლებით იწყება. ნახატი ხაზების სამეფოა. თურმე ხაზსაც ჰქონია ხასიათი. ნახეთ, რამდენი რამის გადმოცემა შეიძლება ხაზით!

აქტივობა 1. ილუსტრაციაზე დაკვირვება:

დააკვირდი ნახატს (ლელა ცუცქირიძის ნახატს).

- როგორ ხაზებს ხედავ?

პასუხი: სპირალურს, ხვეულს, სწორს, წყვეტილს.

აქტივობა 2. პრაქტიკული სამუშაო, ხაზების ხატვა (სავარჯიშო):

მასალა: სახატავი რვეული, უბრალო ფანქარი.

გადაიხატე ხაზები რვეულში.

* მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს შეხედონ თითოეულ ხაზს და ჰაერში თითით დახატონ ისინი.

პარალელურად, მასწავლებელი მოსწავლეებს წაუკითხავს ამ ხაზების დასახელებებს.

შემდეგ სათითაოდ დაასახელებს ხაზის სახელწოდებას და ისევ სთხოვს ჰაერში თითით მოხაზონ ზიგზაგი, წყვეტილი, ხვეული, სწორი, კლაკნილი ხაზები.

შემდეგ ბავშვები გადახატავენ რვეულში სახელმძღვანელოში მოცემული ხაზების ნიმუშებს.

**დიფერენცირებული სწავლების მიზნით შესაძლებელია ამ აქტივობის გართულება ან გამარტივება ხაზების რაოდენობის ვარირებით.

აქტივობა 3. ინტერპრეტაცია, ხაზების ხასიათის ამოცნობა:

იპოვე ხაზები:

ბრაზიანი, ცელქი, მშვიდი, პრანჭია...

აქტივობა 4. პრაქტიკული სამუშაო, ხაზების ხატვა (სავარჯიშო):

მასალა: სახატავი რვეული, უბრალო ფანქარი.

დახატე სხვადასხვა ხასიათის ხაზები

- როგორ ხაზებს დახატავ, როცა ბრაზობ?
- როგორ ხაზებს დახატავ, როცა გიხარია?

4. სახელოსნო

ხაზებზე დაკვირვება, სხვადასხვა ხასიათის ხაზების ხატვა

აქტივობა 1, ინტერპრეტაცია, პრაქტიკული სამუშაო, ხატვა (სავარჯიშო):

მასალა: სახატავი რვეული, უბრალო ფანქარი.

იპოვე ხაზი და დახატე:

- ტალღოვანი;
- სწორი;
- წყვეტილი;
- ხვეული;
- ზიგზაგი;
- მრუდი.

დაფიქრდი:

- როგორი ხასიათი აქვს წყვეტილ ხაზს?
- როგორი ხასიათი აქვს ტალღოვანს?
- რომელია უფრო ნაზი?
- რომელი ხაზით დახატავდი გაბრაზებას?

*დიფერენცირებული სწავლების მიზნით შესაძლებელია ამ აქტივობის გართულება ან გამარტივება ხაზების რაოდენობის ვარირებით.

აქტივობა 2. ინტერპრეტაცია:

დააკვირდი სურათს. მოიფიქრე და მოყევი მოკლე ამბავს ხაზის თავგადასავალზე, რა დაემართა ხაზს?

სავარაუდო პასუხი: ხაზი ჯერ სწორია, თითქოს სძინავს, შემდეგ გაიღვიძა, გაიზმორა, მერე დაიკლაკნა, გამოფხიზლდა, რაღაც გაუხარდა, აცეკვდა, მერე დაიღალა, დამშვიდდა, წამოწვა და ისევ დაიძინა...

აქტივობა 3. პრაქტიკული სამუშაო. ხატვა (სავარჯიშო):
მასალა: სახატავი ფურცელი; ფერადი ფანქრები ან მარკერები.

დახატე ხაზების შენეული სამეფო.
როგორი ხაზები ცხოვრობენ ამ სამეფოში?
მოიფიქრე შენებური ხაზები.

- როგორია ცელქი ხაზი?
- როგორია ზარმაცი ხაზი?
- დაარქვი ხაზებს სახელები.

აქტივობა 4. მოსმენილის გააზრება, პრაქტიკული სამუშაო, ხატვა (სავარჯიშო):
მასალა: მოსწავლის არჩევანით

* ეს აქტივობა არ არის შეტანილი მოსწავლის წიგნში დიდი მოცულობის საკითხავი ტექსტის გამო. ტექსტი მასწავლებელმა უნდა წაუკითხოს მოსწავლეებს, ჯერ გაბმით, მთლიანად, შემდეგ კი თავიდან, პაუზებით (თითო წინადადების წაკითხვის შემდეგ მოსწავლეებს მიეცემათ დრო (10-15 წამი), რომ ხაზებით დახატონ მოსმენილის შინაარსი).

**დიფერენცირებული სწავლების მიზნით შესაძლებელია ამ აქტივობის გართულება ან გამარტივება: მოსწავლეს შეუძლია დახატოს არა ყველა, არამედ მხოლოდ 2-3 ეპიზოდი ან გაამდიდროს ნახატი მეტი დეტალით.

„ხაზი არის წერტილი, რომელიც სასეირნოდ წავიდა“, უთქვამს გერმანელ მხატვარს, პაულ კლეეს.
როგორ გესმით ეს წინადადება?

წერტილის თავგადასავალი

ერთხელ წერტილი სასეირნოდ წავიდა.
ჯერ მთაზე ავიდა.
მერე მთიდან დაგორდა.
ხტუნვა-ხტუნვით მდინარეს მიადგა.
ტალღებში მოლივლივე ფოთოლზე შეხტა.
ფოთლიდან ქვაზე გადახტა,
ქვიდან ნაპირზე ისკუპა.
კლაკნილი ბილიკით ტყეში შევიდა.
ხან ერთ ხეს შემოუარა, ხან – მეორეს...
პატარა ქოხს მიადგა და დააკაკუნა, არავინ უპასუხა.
წერტილმა ქოხში შეიხედა.
მაგიდაზე სუფთა ფურცელი დაინახა, ზედ დახტა და თავისი თავგადასავალი დახატა.

- რა დახატა წერტილმა?
- შენც დახატე წერტილის თავგადასავალი.
- როგორი ხაზებით დახატავ წერტილის მოგზაურობას?

ნაბიჯის შემაჯამებელი შეკითხვები:

ჩამოთვალეთ, როგორი ხაზები გაიცანით?

როგორი ხასიათი აქვს თითოეულს?

შესაძლებელია ხაზებით საკუთარი განწყობის ან ამბის გადმოცემა?

ნაბიჯი 2. (გაკვეთილი 5)

5. ვხატავთ მუსიკას

ხაზების თვისებების გაცნობა, მათი დაკავშირება მუსიკასთან

სამიზნე ცნება/ქვეცნებები:

1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები – **ქვეცნება:** ხაზი (სხვადასხვა ტიპის);
2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა – **ქვეცნება:** ხატვა;
3. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები – **ქვეცნება:** მხატვრობა.

რესურსები: სახელმძღვანელო – ვასილი კანდინსკის და ჟოან მიროს ნახატების ილუსტრაციები; მუსიკის აქტიური ბმულები იხ. აქტივობა 2.

იდეები აქტივობებისთვის:

სამოტივაციო საუბარი:

ერთხელ მხატვარი ვასილი კანდინსკი მუსიკას უსმენდა და ისეთი შეგრძნება გაუჩნდა, თითქოს მის თვალწინ ხაზები იხატებოდა. მისი აზრით, წერტილი არის მშვიდი მდგომარეობა, ხოლო ხაზი – მოძრაობაა.

ვასილი კანდინსკი არ იყო ერთადერთი მხატვარი, რომელსაც ნახატი მუსიკასავით „ესმოდა“ ან მუსიკა მხატვრობაში გადაჰქონდა.

მხატვრობას და მუსიკას ბევრი რამ აქვს საერთო. მართლაც, როდესაც მუსიკას ვუსმენთ, მელოდია ხან ნელა მიედინება, მდორე, ზარმაცი, მსუქანი ხაზივით, ხან ზიგზაგივით მოუსვენრად დახტის, ხან ტალღებად მიიკლაკნება. მუსიკაში ისმის მთავარი მელოდია და მის გარშემო პატარ-პატარა მოტივები ჩნდება.

მოდით, შევამოწმოთ ეს მოსაზრება – მოვუსმინოთ ხაზებს და დავხატოთ მელოდია.

აქტივობა 1. ნახატებზე დაკვირვება, ინტერპრეტაცია:

დააკვირდი ვასილი კანდინსკის ნახატებს.

- იპოვე მთავარი ხაზი.
- გააყოლე ხაზს თვალი.
- წარმოიდგინე, როგორი ხმა ექნება მას? შეგიძლია წაიმღერო კიდეც.
- რომელ ხაზს ექნება უფრო ლამაზი მელოდია?
- რომელი ხაზია ყველაზე ჩუმი?

სავარაუდო პასუხი: სქელ ხაზებს ბოხი, ღონიერი, წვრილ ხაზებს – უფრო ჩუმი, წრიპინა ხმა.

აქტივობა 2. ნახატებზე დაკვირვება, ინტერპრეტაცია:

დააკვირდი ჟოან მიროს სურათებს.

- როგორი მუსიკა მოუხდება მათ?
- ჩქარი თუ ნელი?
- ხმამაღალი თუ ჩუმი?

- დენადი თუ მოხტუნავე?

(ჟოან მიროს ნამუშევრის დეტალი):

აქტივობა 3. მოსმენილის გააზრება, ხატვა **(შუალედური):**
მასალა: სახატავი ფურცელი, ფერადი ფანქრები ან მარკერები.

დახატე მუსიკა.

- მოისმინე მელოდია;
- ააყოლე ხელები მელოდიას.
- როგორი ხაზები დაიხატა ჰაერში?
- დახატე ეს ხაზები ქაღალდზე.

*სასურველია, აქტივობაზე მუშაობამდე მასწავლებელმა აჩვენოს მოსწავლეებს ვიდეო რომელიმე გრაფიკული მუსიკოგრამით მაგ.: იოჰან შტრაუსის „ტრიშ-ტრაშ პოლკა“ (1:11 წთ.):
https://www.youtube.com/watch?v=pu50e_S4qMk;
მოსწავლეებმა არ უნდა შეადგინონ მოსმენილი ნაწარმოების მუსიკოგრამა. ამ ნიმუშის მიზანია, მოსწავლეებმა დაინახონ კავშირი მელოდიასა და ხაზის „დინებას, მოძრაობას“ შორის.

„დასახატი“ მუსიკის სარეკომენდაციო აქტიური ბმულები (მასწავლებლის/მოსწავლეების არჩევანით):
დიმიტრი შოსტაკოვიჩი, „მარში“ (0:47 წთ.):
https://www.youtube.com/watch?v=kT7oqohP_Nc;
დ. შოსტაკოვიჩი, „ვალსი-ხუმრობა“ (1:16 წთ.):
https://www.youtube.com/watch?v=rv26WKc21UA ;
დ. შოსტაკოვიჩი, „ვალსი N2“ (3:43 წთ.):
https://www.youtube.com/watch?v=wjSGiUmis-A;
არამ ხაჩატურიანი, „ცეკვა ხანჯლებით“, (2:35 წთ.):
https://www.youtube.com/watch?v=mUQHGpxrz-8;
კამილ სენ სანსი, „გედი“ (3:06 წთ.):
https://www.youtube.com/watch?v=3qrKjywjo7Q;
ჯოაკინო როსინი, „ვილჰელმ ტელი“, უვერტიურის ფინალი (2:05 წთ.):
https://www.youtube.com/watch?v=YIbYCOiETx0;

მოვისმინოთ ორი მუსიკალური ნაწარმოები და შევადაროთ ისინი ერთმანეთს.
აყევით მელოდიას. ჰაერში ხელებით დახატეთ, როგორი ხაზები წარმოგიდგებათ მისი მოსმენისას.

კამილ სენ სანსი, „გედი“ (3:06 წთ.)

- ამ მელოდიის დახატვა რომ შეიძლებოდეს, როგორი ხაზებით დახატავდი მას?

პასუხი: მელოდია მიედინება, როგორც ტალღოვანი ხაზი.
ჰაერში ხელებით დახატეთ, როგორი ხაზები წარმოიდგინეთ ამ მელოდიის მოსმენისას.

დიმიტრი შოსტაკოვიჩის მარში (0:47):

- როგორ დახატავდით შოსტაკოვიჩის მელოდიას?

პასუხი: შოსტაკოვიჩის მარში ჰგავს წერტილებს, წყვეტილ ხაზებს.

ჰაერში ხელებით დახატეთ, როგორი ხაზები წარმოიდგინეთ ამ მელოდიის მოსმენისას.

აჩვენე ნახატი მეგობრებს და უამბე, როგორი მელოდია დახატე?

- ჩქარი თუ ნელი?
- სევდიანი თუ მხიარული?
- როგორი ხაზები მოუხდა ამ მელოდიას?

ნაბიჯის შემაჯამებელი შეკითხვები:

- რა შეიტყე ხაზების შესახებ?
- რა აღმოაჩინე?

ნაბიჯი 3. (გაკვეთილი 6)

6. ვხატავთ ფერადი ხაზებით

ხაზების ხატვა სხვადასხვა სახატავი მასალით

სამიზნე ცნება/ქვეცნებები:

1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები – **ქვეცნება:** ხაზი (სხვადასხვა ტიპის);
2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა – **ქვეცნება**: ხატვა;
3. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები – **ქვეცნება**: მხატვრობა.

რესურსები: სახელმძღვანელო, პაბლო პიკასოს მიერ ფანქრით და პასტელით შესრულებული ნახატები.

იდეები აქტივობებისთვის:

სამოტივაციო საუბარი:

მხატვრობაში ხაზი ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა. მხატვრები ხაზებით გამოხატავენ განწყობას, გვიამბობენ ამბებს, ქმნიან ლამაზ ნახატებს.

ხაზები შეიძლება გავავლოთ სხვადასხვა მასალით: ფანქრით, პასტელით, მარკერით და საღებავიანი ფუნჯით. ზოგით ხაზი მკაფიო გამოდის, ზოგით – მკრთალი. ხომ უნდა იცოდე, რომელი მათგანი გაავლებს წვრილ და რომელი – მსხვილ ხაზს? თუ ეს გეცოდინება, ბევრი ლამაზი სურათის დახატვას შეძლებ.

აქტივობა 1. სხვადასხვა სახატავი მასალის გამოცდა:

მასალა: სახატავი ფურცლები, სხვადასხვა სახატავი (ფანქრები, პასტელი, ცარცი, მარკერები, საღებავი) მასალა.

* არ არის აუცილებელი, აქ ჩამოთვლილი ყველა სახატავი მასალის გამოყენება. საკმარისია, ბავშვებმა ნებისმიერი ორი, მათთვის ხელმისაწვდომი მასალით გავლებული ხაზები შეადარონ ერთმანეთს.

მოსინჯე, რა შეუძლიათ მარკერებს, ფანქრებს, პასტელს, ცარცს, ფუნჯს?

გაავლე ფურცელზე სხვადასხვა სისქის ხაზები ჯერ ფანქრით, შემდეგ პასტელით, მარკერით და საღე-

ბავებიანი ფუნჯით.

შეადარე ნიმუშები. რა გამოგივიდა?

- რა სხვაობაა ფანქრით, პასტელით, მარკერითა და საღებავიანი ფუნჯით გავლებულ ხაზებს შორის?
- რომელია უფრო მკვეთრი?
- რომელია უფრო ნაზი?
- რომელი მასალით გამოვიდა ხაზი უფრო სქელი/წვრილი, ღია/მუქი?
- რომელი გამოგადგება დიდი ადგილების გასაფერადებლად და რომელი წვრილი დეტალების დასახატად?

პასუხი:

- ფანქრით გავლებული ხაზები წვრილია;
- პასტელით გავლებული ხაზები ფანქართან შედარებით სქელი და მკაფიოა;
- მარკერის ხაზი მკვეთრი და თანაბარი ფერისაა;
- ფუნჯით გავლებული ხაზები უსწორმასწოროა. ფუნჯს თუ დააწვები, ხაზი სქელდება.

აქტივობა 2. ილუსტრაციებზე დაკვირვება

დააკვირდი პაბლო პიკასოს ნახატებს.

- როგორ ხაზებს ხედავ?
- იპოვე ხაზი: წვრილი, სქელი, ხვეული, ზიგზაგი;
- რომელი ხაზია ღია და რომელი – მუქი?

აქტივობა 3. პრაქტიკული სამუშაო, ხატვა (სავარჯიშო):

მასალა: მოსწავლის არჩევანით.

- შეარჩიე სახატავი მასალა.
- ფერადი ხაზებით დახატე მხიარული ნახატი.

ნაბიჯის შემაჯამებელი კითხვები:

- რა შეიტყვე ახალი სახატავი მასალების შესახებ?
- როგორ ხაზი იხატება ფუნჯით? მარკერით? ფანქრით? პასტელით?

ნაბიჯი 4. (გაკვეთილი 7)

7. სამი ჯადოქარი

ფერების ბორბალი, ძირითადი ფერები

სამიზნე ცნება/ქვეცნებები:

1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები – **ქვეცნება**: ხაზი (სხვადასხვა ტიპის); ფერი (ძირითადი);
2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა – **ქვეცნება**: ხატვა;
3. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები – **ქვეცნება**: მხატვრობა.

რესურსები: სახელმძღვანელო – ალექსანდრ კალდერის ნახატები.

იდეები აქტივობებისთვის:

სამოტივაციო საუბარი:

მოდით, ცოტა რამ შევიტყოთ ფერების შესახებ.

მეცნიერები ცისარტყელას დააკვირდნენ და მისი ფერები წრეზე დაალაგეს. ამ წრეს კი ფერების ბორბალი უწოდეს. როგორ ფიქრობთ, რატომ?

დააკვირდით ფერების ბორბალს.

- რა ფერებს ხედავთ?
- რამდენი ფერია ფერების ბორბალზე?

ამ ექვსი ფერიდან, სამი ფერი – წითელი, ყვითელი და ლურჯი – ძირითადია.

იცით, რატომ ჰქვია ამ ფერებს ძირითადი?

გიცდიათ ფერების ერთმანეთში შერევა? წითელს, ყვითელს და ლურჯს ვერცერთი სხვა ფერის შერევით ვერ მიიღებ. ამ სამი – წითელი, ყვითელი და ლურჯი ფერის შერევით კი ყველა დანარჩენი ფერის მიღება შეიძლება.

ალბათ შეამჩნიეთ, რომ ფერის ბორბალში არ შედის თეთრი და შავი. ეს ფერები ფერადი არაა. ამიტომ, როცა ფერებზე ვისაუბრებთ, თეთრსა და შავს არ შევეხებით.

აქტივობა 1. ფერებზე დაკვირვება:

რომელმა ფერებმა მოიკალათეს წითელ, ყვითელ და ლურჯ ფერებს შორის?

პასუხი: ნარინჯისფერი, მწვანე, იისფერი.

აქტივობა 2. ილუსტრაციაზე დაკვირვება:

დააკვირდი სურათს (ალექსანდრ კალდერის ნახატს).

- როგორ ფერებს ხედავ?
- როგორი განწყობაა ამ ნახატში – მხიარული თუ სევდიანი?
- როგორ ხაზებს ხედავ?
- იპოვე: გველი, პეპელა, ჩიტი.

დამატებითი შეკითხვები დიფერენცირებული სწავლებისთვის:

- დათვალე, რამდენ ჩიტს ხედავ? (4)
- რამდენი გველი ხატია? (3)
- როგორი ხაზებითაა დახატული გველები? (ტალღოვანი)
- რამდენ პეპელას ხედავ? (2)
- როგორი ხაზებითაა დახატული დიდი პეპელა? (სპირალური, ხვეული)

აქტივობა 3. პრაქტიკული სამუშაო, ძირითადი ფერებით ხატვა (შუალედური):

დახატე სურათი სამი ძირითადი ფერით და სხვადასხვანაირი ხაზით.

როგორი განწყობაა შენს ნახატში?

რა ქმნის ამ განწყობას?

აჩვენე ნახატი მეგობრებს და უამბე:

- რა დახატე?
- რა დახატე ხაზით?
- რა დახატე ფერით?
- როგორი ხაზები გამოიყენე?
- რომელი ფერი გამოიყენე ყველაზე ხშირად?
- როგორი განწყობაა შენს ნახატში?

აქტივობა 4. პრაქტიკული სამუშაო, ხატვა (სავარჯიშო):

* მოცემული აქტივობა არ არის შეტანილი მოსწავლის წიგნში.

მასალა: მოსწავლის არჩევანით.

შეარჩიე და გადახატე ალექსანდრ კალდერის ერთ-ერთი სურათი.

- რა მასალით დახატავ ხაზებს?
- რით გააფერადებ ნახატს?

ნაბიჯის შემაჯამებელი შეკითხვები:

- რა შეიტყვე ახალი ფერების შესახებ?
- რატომ ჰქვიათ ყვითელს, წითელს და ლურჯს ძირითადი ფერები?

ნაბიჯი 5. (გაკვეთილი 8)

8. შედგენილი ფერები

შედგენილი ფერების გაცნობა

სამიზნე ცნება/ქვეცნებები:

1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები – **ქვეცნება:** ფერი (ძირითადი და შედგენილი);
2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა – **ქვეცნება:** ხატვა;
3. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები – **ქვეცნება:** მხატვრობა.

რესურსები: სახელმძღვანელო;

ტელესკოლა, „ფერი და ფორმა“: https://www.youtube.com/watch?v=CXZoElVA5hs;

იდეები აქტივობებისთვის:

აქტივობა 1. დაკვირვება, მსჯელობა

შეხედე ცისარტყელას:

- რა ფერებს ხედავ?
- რომელია ძირითადი ფერები?

პასუხი: ფერების ბორბალზე ექვსი ფერია. მათგან ძირითადია წითელი, ყვითელი, ლურჯი. ამ ფერებს ძირითადი შეარქვეს, რადგან მათ სხვა ფერების შერევით ვერ მიიღებ, ხოლო მათი (ორი მათგანის) შერევით სხვა ფერების მიღება შეიძლება.

აქტივობა 2. დაკვირვება, მსჯელობა

დააკვირდი ნიმუშს.

- რომელი ფერების შერევით მიიღება შედგენილი ფერები?
- როგორ ფიქრობ, რატომ ეწოდათ მათ შედგენილი ფერები?

აქტივობა 3. ცდა

მასალა: გუაშის ან აკვარელის წითელი, ყვითელი და ლურჯი ფერის საღებავები, ფუნჯი, სუფთა წყლით ნახევრამდე ავსებული სამი გამჭვირვალე ქილა, წყლიანი ქილა ფუნჯის გასარეცხად.

დააკვირდი ნიმუშს. ივარაუდე:

რა მოხდება, თუ სუფთა წყლიან ქილაში წითელ და ლურჯ საღებავებს ჩააწვეთებ?
პასუხი: მივიღებთ იისფერს.

რა ფერად შეიღებება წყალი, თუ ქილაში ყვითელ და წითელ საღებავებს ჩააწვეთებ?
პასუხი: მივიღებთ ნარინჯისფერს.

რა ფერს მიიღებ, თუ ქილაში ლურჯ და ყვითელ საღებავებს ჩააწვეთებ?
პასუხი: მივიღებთ მწვანეს.

შეამოწმე შენი ვარაუდი, ჩაატარე ცდა:
წყლიან ქილებში ჩააწვეთე თანაბარი რაოდენობის:

1. წითელი და ლურჯი საღებავი;
2. ყვითელი და წითელი საღებავი;
3. ლურჯი და ყვითელი საღებავი.

რა მოხდა? რა ფერად შეიღება წყალი?

*შემოთავაზებული მასალის უქონლობის შემთხვევაში ეს აქტივობა შეიძლება შესრულდეს ფერადი ფანქრებით:

- შედგენილი ფერების მისაღებად გამოიყენე მხოლოდ ძირითადი ფერის ფანქრები – წითელი, ყვითელი და ლურჯი.
- სახატავი ფურცლის პატარა მონაკვეთი გააფერადე ერთი ფერის ფანქრით. შემდეგ ზევიდან გადაუსვი სხვა ფერის ფანქარი.
- რა შედეგი მიიღე?

აქტივობა 4. დაკვირვება, ამოცანის ამოხსნა
დააკვირდი ფერების განტოლებას და იპოვე შეცდომა:

პასუხი:
შეცდომაა: 2. იისფერს + მწვანე; 4. წითელს + ნარინჯისფერი; 5. ყვითელს + ლურჯი.

აქტივობა 5. ფერებით ხატვა (სავარჯიშო)
მასალა: სახატავი ფურცელი, შავი მარკერი ან ფანქარი, წითელი, ყვითელი და ლურჯი ფერის ფანქრები.

შავი ფანქრით ან მარკერით დახატე ბუშტები ისე, რომ მათ ერთმანეთი გადაკვეთონ.

გააფერადე ბუშტები ძირითადი ფერის ფერადი ფანქრებით.
რა ფერები მიიღე გადაკვეთის ადგილებში?

* მოსწავლეები უყურებენ ტელეგაკვეთილს ზემოთ მითითებულ ბმულზე და მსჯელობენ ნანახზე.

ნაბიჯის შემაჯამებელი შეკითხვები:
რა შეიტყვე ახალი ფერების შესახებ?
რატომ ჰქვია ნარინჯისფერს, მწვანეს და იისფერს შედგენილი ფერები?
რა ფერების შერევით მიიღება შედგენილი ფერები?

ნაბიჯი 6. (გაკვეთილი 9)
9. ფერების ხმა
ფერები და მუსიკა
სამიზნე ცნება/ქვეცნებები:
1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები– **ქვეცნება:** ხაზი (სხვადასხვა ტიპის); ფერი: ძირითადი და შედგენილი, ღია და მუქი;
2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა – **ქვეცნება:** ხატვა;
3. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები – **ქვეცნება:** მხატვრობა.

რესურსები: სახელმძღვანელო, ვასილი კანდინსკის ნამუშევრები;

იდეები აქტივობებისათვის:
სამოტივაციო საუბარი:
მხატვარი ვასილი კანდინსკი თვლიდა, რომ ნახატი შეგიძლია „მოისმინო“, როგორც მუსიკა. როცა კანდინსკი ფერებს უყურებდა, მათი ხმები ესმოდა. ის ამბობდა, რომ ყოველ ფერს თავისებური ხმა აქვს: ზოგი ჩუმია, ზოგი ხმამაღალი; ზოგს წვრილი ხმა აქვს, ზოგს კი – ბოხი.
ისევე, როგორც მუსიკას, მხატვრობასაც შეუძლია გადმოსცეს ადამიანის გრძნობები.
მხატვრობაში ხაზებს და ფერებს შეუძლიათ შექმნან სევდიანი ან ხალისიანი განწყობა.
მოდით, ვცადოთ, იქნებ ჩვენც გავიგონოთ ფერების ხმები?

აქტივობა 1. ილუსტრაციაზე დაკვირვება, მსჯელობა
დააკვირდი ვასილი კანდინსკის ნახატებს.
- რომელი ფერი ჩურჩულებს?
- რომელი ფერი ყვირის?
- რომელ ფერს აქვს ყველაზე ბოხი ხმა?

- როგორი ხმა აქვთ ღია ფერებს?
- როგორი ხმა აქვთ მუქ ფერებს?
- რა შემატეს სურათებს ხაზებმა?

* სავარაუდოდ, საკუთარი შთაბეჭდილებიდან გამომდინარე, მოსწავლეებს ამ შეკითხვებზე განსხვავებული პასუხები ექნებათ.

აქტივობა 2. ილუსტრაციაზე დაკვირვება, მსჯელობა

როგორი იქნებოდა სურათი ხაზების გარეშე? (უსახური)

რა შეჰმატეს ხაზებს ფერებმა? (განწყობა. სურათში ხაზები მკვეთრია. ფერებმა სურათს სინაზე, სიმშვიდე შეჰმატეს)

როგორი ხმები ისმის ამ სურათში?

აქტივობა 3. სავარჯიშო

დახატე სურათი მყვირალა ან ჩუმი, ღია ან მუქი ფერებით.

დააკვირდი შენს ნახატს. რომელი ფერი ყვირის – ღია თუ მუქი?

ეტაპი III – კომპლექსური დავალების შესრულება და წარდგენა (რა ვისწავლე?)

დახატე მხიარული ან სევდიანი სურათი.

გადმოეცი განწყობა **ძირითადი და შედგენილი, ღია და მუქი ფერებით**;

გამოიყენე სხვადასხვა ტიპის **ხაზი** (სწორი, ტეხილი, ზიგზაგი, მრუდი, კლაკნილი, ტალღოვანი, წვრილი ან სქელი).

აჩვენე ნამუშევარი მეგობრებს და ჰკითხე, როგორ განწყობაზე დააყენა ნამუშევარმა ისინი?

ნამუშევრის წარდგენისას ისაუბრე:

- რა განწყობა გადმოეცი?
- რა ფერებით (ძირითადი/შედგენილი, ღია/მუქი) დახატე განწყობა?
- რომელმა ფერმა გაამხიარულა შენი ნახატი? რომელმა შექმნა სევდიანი განწყობა?
- როგორი ხაზები (სწორი, ტეხილი, ზიგზაგი, მრუდი, კლაკნილი, ტალღოვანი, წვრილი ან სქელი) გამოიყენე?
- რომელი ხაზია ყველაზე ღონიერი, სუსტი, მხიარული, ცელქი, ბრაზიანი?
- რა ნაბიჯები გადადგი დავალებაზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლიდან რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას.

*** მითითება 1:**

სხვადასხვა ფერის საღებავებით გააფერადე ფურცელი.

როცა საღებავი გაშრება, ფუნჯით ან მარკერით დაახატე რამდენიმე ტიპის ხაზი.

*** მითითება 2:**

სასურველია, მუშაობის დაწყებამდე მასწავლებელმა შესთავაზოს მოსწავლეებს, დააკვირდნენ ილუსტრაციებს და გამოთქვან აზრი თანატოლების ნამუშევრებში ასახულ განწყობაზე: რომელი ნამუშე-

ვარი გამოხატავს სევდას ან სიხარულს; რატომ თვლიან ასე?

დამატებითი რესურსი:

პირველი კლასის მოსწავლეების ნამუშევრები (ა.შ.შ. მასაჩუსეტსის ბეროუზ და ჯოშუა იტონების დაწყებითი სკოლა, მასწ: ბეთ ჰარლი):

http://artwithmrshurley.blogspot.com/2011/10/lines-and-shapes-and-colorsoh-my.html;

კომპლექსური დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკები:

1. ყოჩაღ!

შენ კარგად გაიაზრე დავალების პირობა.

ნახატში გამოყენებული სხვადასხვა ტიპის ხაზი, ძირითადი და შედგენილი, ღია და, მუქი ფერები ზუსტად გადმოსცემენ შენს განწყობას.

კარგად გცოდნია ძირითადი ფერების შეზავებით შედგენილი ფერების მიღება.

შენ უკვე შეგიძლია ნამუშევარზე შესაბამისი სიტყვებით საუბარი.

2. კარგი ნამუშევარია!

შენი ნახატი გადმოსცემს შენს განწყობას, მაგრამ დავალების პირობა გულისხმობდა ბევრი სხვადასხვა ტიპის ხაზის გამოყენებას. ასევე, შეგეძლო მოცემული ფერების ხმარების გარდა, თავადაც გეცადა ძირითადი ფერების შეზავებით შედგენილი ფერების მიღება.

შენ უკვე შეგიძლია ნამუშევარზე საუბარი. სასურველია საუბრისას გამოიყენო შესაბამისი სიტყვები.

თემა 1. კომპლექსური დავალების შეფასება SOLO ტაქსონომიის მიხედვით

<table>
<tr><td colspan="2">თემატური ბლოკი: ადამიანები და ხელოვნება
თემა: ხაზების და ფერების სამეფო
მოსწავლის სახელი, გვარი: _____
თარიღი: _____

სამიზნე ცნება 1: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები
ქვეცნებები: ხაზი (სწორი, ზიგზაგი, მრუდი, კლაკნილი, ტალღოვანი, წვრილი ან სქელი); ფერი (ძირითადი, შედგენილი; ღია, მუქი).
სამიზნე ცნება 2: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა
ქვეცნება: ხატვა
სამიზნე ცნება 3: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები
ქვეცნება: მხატვრობა</td></tr>
<tr><td colspan="2">კომპლექსური დავალების პირობა: დახატე მხიარული ან სევდიანი სურათი.
გადმოეცი განწყობა ძირითადი და შედგენილი, ღია და მუქი ფერებით;
გამოიყენე სხვადასხვა ტიპის ხაზი (სწორი, ზიგზაგი, მრუდი, კლაკნილი, ტალღოვანი, წვრილი ან სქელი).</td></tr>
<tr><td>SOLO ტაქსონომიის დონე – აბსტრაქტული:
მოსწავლეს სიღრმისეულად ესმის საკითხის/მოვლენის არსი, ხედავს მის სხვადასხვა ასპექტს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს. გამოთქვამს ვარაუდებს. განაზოგადებს ცოდნას როგორც მოცემული საგნის ჭრილში, ასევე სხვა სფეროსთან მიმართებაში. აქვს მსგავს მაგალითებთან შედარების, ანალიზის და შეფასების უნარი. შეუძლია საკითხის/მოვლენის პირად გამოცდილებასთან დაკავშირება.</td><td>დავალების პირობის შესაბამისად, ნახატში გააზრებულად და მიზანმიმართულად იყენებს მრავალფეროვანი ტიპის ხაზებს; ძირითად და შედგენილ, ღია და მუქ ფერებს. მათი კომბინაციით გადმოსცემს მხიარულ ან სევდიან განწყობას.
საჭიროებისამებრ გააზრებულად აზავებს ძირითად ფერებს შედგენილი ფერების მისაღებად. იყენებს მასალის შესაბამის ტექნიკას წვრილი/სქელი ხაზის მისაღებად.
წარდგენისას ვრცლად საუბრობს ნამუშევრის შექმნის ეტაპებზე. ადეკვატურად იყენებს ტერმინებს.</td></tr>
<tr><td>SOLO ტაქსონომიის დონე – მიმართებითი:
მოსწავლეს ესმის საკითხის/მოვლენის არსი. ხედავს მის რამდენიმე ასპექტს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს. შეუძლია გამოთქვას ვარაუდი, შეადაროს, გააანალიზოს, გამოიყენოს თეორიული ცოდნა პრაქტიკაში.</td><td>დავალების პირობის შესაბამისად, ნახატში გააზრებულად იყენებს სხვადასხვა ტიპის ხაზს, ძირითად და შედგენილ, ღია და მუქ ფერებს; აცნობიერებს, როგორი ხაზებისა და ფერების კომბინაცია შეესაბამება ნახატში მხიარულ ან სევდიან განწყობას.
შეუძლია მიიღოს შედგენილი ფერი ორი ძირითადის შეზავებით. იყენებს მასალის შესაბამის ტექნიკას წვრილი/სქელი ხაზის მისაღებად.
ნამუშევრის წარდგენისას საუბრობს მუშაობის ძირითად ეტაპებზე. ადეკვატურად იყენებს რამდენიმე ტერმინს.</td></tr>
</table>

მულტისტრუქტურული მოსწავლეს აქვს წარმოდგენა საკითხის/მოვლენის რამდენიმე ასპექტზე განცალკევებულად, არ ესმის მათ შორის კავშირი. შეუძლია აღწერა, ჩამოთვლა, დახარისხება, კომბინირება, მეთოდების გამოყენება, პროცედურების შესრულება და სხვ.	იყენებს რამდენიმე ტიპის ხაზს, ძირითად და შედგენილ ფერებს, მაგრამ ვერ აცნობიერებს მათ გამომსახველობით შესაძლებლობებს. შედგენილ ფერებს ღებულობს შემთხვევითი ფერების შეზავებით. გამოყენებული ფერების და ხაზების კავშირი განწყობასთან შემთხვევითია. ნამუშევრის წარდგენის დროს სრულად აღწერს საკუთარ ნამუშევარს. იყენებს რამდენიმე ტერმინს.
უნისტრუქტურული: მოსწავლე განიხილავს საკითხის/მოვლენის მხოლოდ ერთ ასპექტს. ხედავს მარტივ, აშკარა/ცხად კავშირებს. ესმის რამდენიმე ტერმინის მნიშვნელობა. შეუძლია ცოდნის ზეპირად გადმოცემა (გახსენება), მარტივი მითითებების შესრულება; პარაფრაზირება, ამოცნობა, დასახელება ან ჩამოთვლა.	მწირად იყენებს ორიოდ ტიპის ხაზს, სხვადასხვა ფერს, მაგრამ ვერ აცნობიერებს მათ გამომსახველობით შესაძლებლობებს, ვერ აკავშირებს განწყობასთან. იყენებს მხოლოდ მოცემულ ფერებს შეზავების გარეშე. წარდგენისას აღწერს ნამუშევრის რამდენიმე ელემენტს. ესმის რამდენიმე ტერმინის მნიშვნელობა.
პრესტრუქტურული მოსწავლე ვერ იაზრებს საკითხს, იყენებს შეუსაბამო ინფორმაციას ან საერთოდ სცდება საკითხს.	ნამუშევარი არ შეესაბამება დავალების პირობას.

თემატური მატრიცა. 2

კლასი: I

თემატური ბლოკი: ადამიანები და ხელოვნება

თემა: ვინ გვიყურებს სურათიდან? (გაკვეთილები 10-19) საათების სავარაუდო რაოდენობა: 10+2

თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები (განზოგადებები თემის ფარგლებში):

- ჩემი გარეგნობა, ხასიათი და ინტერესები შემიძლია სხვადასხვა **დარგის** და **ჟანრის** ნამუშევარში გადმოვცე;
- სხვადასხვა **დარგისა** და **ჟანრის** ნამუშევრები გვეხმარებიან, უკეთ გავიცნოთ საკუთარი თავი და სხვები.
- სხვადასხვა **დარგისა** და **ჟანრის** ნამუშევრები გვიამბობენ, როგორები იყვნენ ადამიანები სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ქვეყანაში;
- სხვადასხვა **დარგისა** და **ჟანრის** ნამუშევრით შემიძლია როგორც თვითგამოხატვა, ისე სხვებისთვის საკუთარი თავის გაცნობა, რისთვისაც შევარჩევ შესაბამის **მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებს, ხერხებს, მასალასა და ტექნიკას.**

1. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)

ქვეცნებები – საშუალებები:

ხაზი (სწორი, ტალღოვანი, ტეხილი, წყვეტილი, ზიგზაგი, მრუდი, ჰორიზონტალური, ვერტიკალური, დიაგონალური).

ფერი (ძირითადი და შედგენილი, ღია და მუქი).

ხერხები – ხერხები:

ნამუშევარში გამოსახულების განაწილება, ვერტიკალური ან ჰორიზონტალური ფორმატის შერჩევა.

2. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა

ქვეცნებები – ხატვა

3. სამიზნე ცნება – სახვითი ხელოვნების დარგები

ქვეცნებები – მხატვრობა

4. სამიზნე ცნება – სახვითი ხელოვნების ჟანრები

ქვეცნებები – პორტრეტი

საკითხი – ნამუშევარში ადამიანის სახასიათო ნიშნების და ხასიათის გადმოცემა;

საკვანძო შეკითხვები:

- როგორ გადმოსცემენ ხელოვანები ადამიანების გარეგნობას და ხასიათს?
- როგორ გადმოვცე ნახატში ადამიანის გარეგნობა, ხასიათი, განწყობა?
- როგორ გადმოვცე ნახატში, რა უყვარს, რა აინტერესებს ადამიანს?
- როგორ შემიძლია ნამუშევრით საკუთარი თავი გავაცნო სხვებს?

კომპლექსური დავალების პირობა:

დახატე ავტოპორტრეტი.

- შენი სახასიათო ნიშნების, გარეგნობის, ვარცხნილობის, ჩაცმულობის და ინტერესების გადმოსაცემად შეარჩიე და გამოიყენე სხვადასხვა ტიპის ხაზი, ძირითადი და შედგენილი, ღია და მუქი ფერები;
- ჩანაფიქრის შესაბამისად გადაწყვიტე, პორტრეტს გრძივად დახატავ თუ განივად;
- მოიფიქრე, რას დახატავ ფონზე;
- გაუკეთე ნამუშევარს ჩარჩო. გაალამაზე ჩარჩო სხვადასხვა ტიპის ხაზით.

სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები	**შეფასების კრიტერიუმები (კონკრეტულ კომპლექსურ აქტივობაზე მისადაგებული)**
<u>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:</u>	<u>ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:</u>

1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) ● სათქმელის (ამბის, გრძნობის, აზრის, შთაბეჭდილების, განწყობილების, ემოციების, დამოკიდებულებების, დაკვირვების შედეგების), მხატვრული ჩანაფიქრის გადმოსაცემად ადამიანი იყენებს ხელოვნების ენას, ანუ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საშუალებებს (ფერი, ხაზი, ფორმა) და ხერხებს (მაგ., რიტმი, ძირითადის გამოყოფა, კონტრასტი და სხვ.). **2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა.** ● ადამიანი ხელოვნების ნიმუშის შესაქმნელად იყენებს სხვადასხვა მასალასა და ტექნიკას. **3. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები** ● ხელოვნების სხვადასხვა დარგებად დაყოფას განაპირობებს გამოყენებული მასალა, ტექნიკა, დანიშნულება; ● სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების თითოეული დარგისათვის რომელიმე მხატვრული საშუალებაა მეტად დამახასიათებელი. **4. სახვითი ხელოვნების ჟანრები** ● ხელოვნება იყოფა ჟანრებას მასში ასახული შინაარსის მიხედვით.	● რა დახატე? ● როგორი ხაზები გამოიყენე ავტოპორტრეტში შენი გარეგნული ნიშნების გადმოსაცემად? ● რა ფერები გამოიყენე (ძირითადი/ შედგენილი, ღია და მუქი) ხასიათის, განწყობის გადმოსაცემად? ● რომელმა ფერმა გაამხიარულა შენი ნახატი? ● რომელმა შექმნა სევდიანი განწყობა? ● რა დეტალები დაგეხმარა შენი ინტერესების გადმოცემაში? ● რა დახატე ფონზე? ● როგორი ჩარჩო გაუკეთე ნახატს? ● რა მოგწონს შენს ნამუშევარში? ● რას შეცვლიდი? ● რა ნაბიჯები გადადგი დავალებაზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე? ● რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლიდან რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

განსახილველი ქეისები კომპლექსური დავალების განსახორციელებლად:

რა აინტერესებს ადამიანს ყველაზე მეტად?
რა თქმა უნდა, ადამიანები.
აინტერესებს, როგორია თვითონ და როგორები არიან სხვები.
ვინ ხარ შენ? რა გიყვარს, რა გაინტერესებს?
ვინ არიან შენი მეგობრები, რა უყვართ მათ?
ხელოვნებას შეუძლია, ამ კითხვებზე გიპასუხოს.

რესურსები კომპლექსური დავალების განსახორციელებლად:

ტელესკოლა, ვიდეო გაკვეთილები:
„პორტრეტი“ https://www.youtube.com/watch?v=nRZIZKV-EPo;
ილუსტრაციები: პაბლო პიკასო, გ.ა.ვ. ტრაუგოტები, გასტონ შესაკი, ანრი მატისი, მარი კასატი, ბერტა მორისო, დევიდ ჰოკნი, ფრიდა კალო, სონია დელონე, კით ჰარინგი, ჟოან მირო, მო ნონგი, ია მახათაძე.

<u>კომპლექსური დავალების პირობის გააზრებაზე ორიენტირებული შეკითხვები:</u>

- როგორი ხარ შენ – მხიარული, სერიოზული, ცელქი?..
- როგორი გარეგნობა, ვარცხნილობა, ჩაცმულობა გაქვს?
- როგორ დახატავ, რა გიყვარს, რა გაინტერესებს?
- რომელია შენი საყვარელი ფერები?
- როგორ ხასიათზე გაყენებს ეს ფერები?
- რა ფერებით გადმოსცემ ნახატში შენს ხასიათს და განწყობას?
- როგორი ხაზები დაგეხმარება შენი გარეგნობის გადმოცემაში?

<u>ეტაპი 2: კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა</u>

ნაბიჯი 1. (გაკვეთილი 10)
10. არ მცალია, ვთამაშობ!
რას გვიამბობს ხელოვნება ბავშვების შესახებ
სამიზნე ცნება/ქვეცნებები:
1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები – **ქვეცნება:** ხაზი (სხვადასხვა ტიპის); ფერი (ძირითადი და შედგენილი, ღია და მუქი);
2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა – **ქვეცნება:** ხატვა;
3. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები – **ქვეცნება:** მხატვრობა.

რესურსები: სახელმძღვანელო, პაბლო პიკასოს ნამუშევრები.

იდეები აქტივობებისთვის:
სამოტივაციო საუბარი:
რა აინტერესებს ადამიანს ყველაზე მეტად? რა თქმა უნდა, ადამიანები. აინტერესებს, როგორია თვითონ და როგორები არიან სხვები.

ვინ ხარ შენ? რა გიყვარს, რა გაინტერესებს? ვინ არიან შენი მეგობრები, რა უყვართ მათ?
ხელოვნებას შეუძლია, ამ კითხვებზე გიპასუხოს.
როგორ?

აქტივობა 1. დაკვირვება პაბლო პიკასოს სურათებზე

დააკვირდი სურათებს და იპოვე: ნავი, პეპლის საჭერი, ყვავილი, სათამაშო ცხენი.

აქტივობა 2. დაკვირვება პაბლო პიკასოს სურათებზე

- რა დახატა მხატვარმა?
- რას აკეთებენ ბავშვები?
- როგორ გვაჩვენა მხატვარმა, რა უყვართ ბავშვებს?
- როგორ ხაზებს ხედავ?
- რა განწყობას ქმნიან ფერები?

პასუხი: სურათებზე ბავშვებს ან სათამაშო უკავიათ, ან წიგნის კითხვისა და ხატვის პროცესში არიან გამოსახულნი.

აქტივობა 3. პრაქტიკული სამუშაო, ხატვა, სავარჯიშო

მასალა: მოსწავლის არჩევანით

თამაში ბავშვების საქმეა.
დახატე შენი საყვარელი საქმიანობა, რას აკეთებ, როცა არ გცალია.

ნაბიჯის შემაჯამებელი შეკითხვები:

- რა გიამბეს პაბლო პიკასოს სურათებმა ბავშვების შესახებ?
- რა გეცნო?
- რას აკეთებ შენ, როცა არ გცალია?
- რა დახატე?
- როგორ გადმოეცი ნახატში, რა გიყვარს შენ?

ნაბიჯი 2. (გაკვეთილი 11)

11. ხაზი და განწყობა

ხაზით პორტრეტში სახასიათო ნიშნების გადმოცემა

სამიზნე ცნება/ქვეცნებები:

1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები – **ქვეცნება:** ხაზი (სხვადასხვა ტიპის);
2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა – **ქვეცნება:** ხატვა;
3. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები – **ქვეცნება:** მხატვრობა;
4. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჟანრები – **ქვეცნება:** პორტრეტი.

რესურსები: სახელმძღვანელო, პაბლო პიკასოს გრაფიკული ნახატები

იდეები აქტივობებისთვის:

სამოტივაციო საუბარი (წინარე ცოდნის გააქტიურება).

- როგორი ხასიათი აქვთ ადამიანებს (მშვიდი, მხიარული, მორცხვი, თამამი, ბუტია...)

- გაიხსენე, როგორ ხაზებს იცნობ?
- როგორი ხასიათი აქვს თითოეულ მათგანს?
- რით ჰგავს ხაზები ადამიანებს? (ხასიათით)
- შეხედეთ ილუსტრაციას. რას ხედავთ?

პასუხი: პაბლო პიკასომ ნახატში სხვადასხვანაირი ხაზი გამოიყენა: ხვეული, ზიგზაგი, ტალღოვანი, მუქი და ღია, უხეში და ნაზი. ამ ხაზებით მან ადამიანის ხასიათი და გარეგნობა გვაჩვენა.

აქტივობა 1. ილუსტრაციაზე დაკვირვება

იპოვე ხაზები:

- სწორი და ხვეული;
- ზიგზაგი და ტალღოვანი;
- ნაზი და უხეში.

აქტივობა 2. ინტერპრეტაცია

დააკვირდი პაბლო პიკასოს ნახატებს.

- როგორი ადამიანები დახატა მხატვარმა?
- რომელია მოწყენილი?
- რომელია მხიარული?
- რომელია ბრაზიანი?
- როგორ მიხვდი?
- როგორი ხაზებით გვაჩვენა მხატვარმა მათი ხასიათი?

აქტივობა 3. პრაქტიკული სამუშაო, ხატვა, (სავარჯიშო):
მასალა: სახატავი ფურცელი, უბრალო ფანქარი.

ფანქრით დახატე ბრაზიანი და მხიარული ადამიანები.
დაფიქრდი, როგორი ხაზები მოუხდება ასეთ ხასიათს.

ნაბიჯის შემაჯამებელი შეკითხვები:

- როგორ გვაჩვენა პაბლო პიკასომ ადამიანის გარეგნობა და ხასიათი?
- შენ როგორ შეგიძლია გამოიყენო ხაზი ადამიანის სახასიათო ნიშნების საჩვენებლად?
- როგორი ხაზი მოუხდება ალერსიან/მაჩხუბარა/ მორცხვ ადამიანს?

ნაბიჯი 3. (გაკვეთილი 12)
12. ორი მეგობარი

ხაზის და ფერის თვისებების გამოყენება ნამუშევარში

სამიზნე ცნება/ქვეცნებები:

1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები – **ქვეცნება:** ხაზი: სხვადასხვა ტიპის; ფერი: ძირითადი და შედგენილი, ღია და მუქი;
2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა – **ქვეცნება:** ხატვა;
3. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები – **ქვეცნება**: მხატვრობა.

რესურსები: სახელმძღვანელო, გ.ა.ვ. ტრაუგოტების და გასტონ შესაკის ნახატები.
იდეები აქტივობებისთვის:
სამოტივაციო საუბარი:

ხაზი ხან ნაზია, ხან – უხეში;
ფერიც ან ღიაა, ან მუქი, მკრთალია ან მკვეთრი.
ხაზი და ფერი მეგობრები არიან.
რა შეუძლიათ მათ ერთად?

აქტივობა 1. ილუსტრაციებზე დაკვირვება (ძმები ტრაუგოტების ნამუშევრები)

ეს აკვარელით დახატული ნახატებია.
აკვარელი წყლის საღებავია.

- წარმოიდგინე ეს ნახატები ხაზების გარეშე. რას დაინახავდი?
- რისთვის დასჭირდა მხატვარს ხაზები?
- წარმოიდგინე, როგორი იქნებოდა ეს ნახატი ფერების გარეშე.
- როგორ ხაზებს ხედავ?
- როგორ ფერებს ხედავ?

პასუხი: ხაზები წვრილია, რბილი და ნაზი.
ფერები გამჭვირვალე, ჰაეროვანი, ნაზი.

აქტივობა 2. პრაქტიკული სამუშაო, ხატვა (სავარჯიშო)
მასალა: სახატავი ფურცელი, საღებავები, ფანქარი, ფუნჯი, მარკერი.

- ფანქრით ან მარკერით დახატე ადამიანი.
- გააფერადე ნახატი საღებავებით.

აქტივობა 3. ილუსტრაციეაზე დაკვირვება (გასტონ შესაკის ნამუშევარი)

- როგორ ხაზებს ხედავ?
- როგორ ფერებს ხედავ?
- რაში ეხმარებიან ერთმანეთს ხაზები და ფერები?

პასუხი: ხაზები გარს ევლებიან ფერებს და ნახატს უკეთ ვხედავთ.

აქტივობა 4. პრაქტიკული სამუშაო, ხატვა
მასალა: მუყაოს რულონები, შავი მარკერი, გუაშის საღებავები, ფუნჯი.

- მუყაოს რულონი გააფერადე გუაშის საღებავებით;
- ფერადი ლაქები შემოხაზე შავი მარკერით;
- ყველაზე ნათელ ლაქაში ჩახატე მხიარული ან ბრაზიანი სახე.

ნაბიჯის შემაჯამებელი შეკითხვები:

- რა შეუძლია ხაზს?
- რა შეუძლია ფერს?
- რა შეუძლიათ მათ ერთად?

ნაბიჯი 4. (გაკვეთილი 13)

13. პორტრეტი

პორტრეტის ჟანრის გაცნობა

სამიზნე ცნება/ქვეცნებები:

1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები – **ქვეცნებები**: ხაზი (სხვადასხვა ტიპის); ფერი (ძირითადი და შედგენილი, ღია და მუქი);
2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა – **ქვეცნება**: ხატვა;
3. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგი – **ქვეცნება**: მხატვრობა;
4. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჟანრი – **ქვეცნება**: პორტრეტი.

რესურსები: სახელმძღვანელო, მარი კასატის და ბერტა მორისოს მიერ შესრულებული პორტრეტები;
ტელესკოლა, „პორტრეტი“: https://www.youtube.com/watch?v=nRZIZKV-EPo;

იდეები აქტივობებისთვის:

სამოტივაციო საუბარი:

- რა დახატა მხატვარმა? (ადამიანი)

ეს პორტრეტებია.

პორტრეტი გვიამბობს, როგორია ადამიანი.

აქტივობა 1. სურათის აღწერა (მარი კასატის მიერ შესრულებული პორტრეტები)

დააკვირდი მარი კასატის სურათებს.

აღწერე, რას ხედავ.

დაახასიათე ბავშვები.

- რა აცვიათ?
- რა ფერის თმა აქვთ?
- როგორი ვარცხნილობა აქვთ?
- როგორი გამომეტყველება აქვთ? (სერიოზული, მშვიდი, ცელქი, ჩაფიქრებული)

აქტივობა 2. სურათის აღწერა (ბერტა მორისოს მიერ შესრულებული პორტრეტი)

დააკვირდი ბერტა მორისოს პორტრეტს.

- რას აკეთებს გოგონა?
- რა აცვია?
- რა ფერის თმა აქვს?
- როგორი ვარცხნილობა აქვს?
- საით იყურება გოგონა?
- როგორი გამომეტყველება აქვს მას?

სავარაუდო პასუხი:

გოგონა თითქოს ჩვენ გვიყურებს. ის უკმაყოფილოა – ვიღაცამ დაკვრაში ხელი შეუშალა.

აქტივობა 3. პრაქტიკული სამუშაო, ხატვა (შუალედური)

მასალა: სახატავი ფურცელი, ფერადი ფანქრები.

სახატავი ფურცელი, ფერადი ფანქრები.

- რა უყვარს შენს გმირს? რა აინტერესებს?
- როგორი ხაზებით და ფერებით გადმოსცემ მის განწყობას და სახასიათო ნიშნებს?

აჩვენე ნახატი მეგობრებს და უამბე:

- რა დახატე? (პორტრეტი)
- ვინ დახატე?
- რა უყვარს, რა აინტერესებს შენს გმირს?
- როგორ ასახე მისი ინტერესები პორტრეტში?
- რა ფერებით გადმოეცი განწყობა?
- რაში დაგეხმარა ხაზები?
- რა მოგწონს შენს ნამუშევარში?
- რას შეცვლიდი?

ნაბიჯის შემაჯამებელი შეკითხვა:

- რას გვიამბობს პორტრეტი ადამიანის შესახებ?

ნაბიჯი 5. (გაკვეთილი 14)

14. ავტოპორტრეტი

ავტოპორტრეტში გარეგნულ მსგავსებაზე საუბარი

სამიზნე ცნება/ქვეცნებები:

1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები – **ქვეცნება**: მხატვრობა.
2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჟანრები – **ქვეცნება**: პორტრეტი.

რესურსები: სახელმძღვანელო, ანრი მატისის, პაბლო პიკასოს, ფრიდა კალოს, დევიდ ჰოკნის ავტოპორ-ტრეტები და მათი ფოტოპორტრეტები.

იდეები აქტივობებისთვის:

სამოტივაციო საუბარი:

ავტოპორტრეტი საკუთარი თავის პორტრეტია.

მხატვრები ხშირად ხატავენ საკუთარ თავს.

როცა ადამიანები საკუთარ თავს ფოტოს ულებენ, ესეც ავტოპორტეტია.

აქტივობა 1. შედარება

შეადარე ნახატი და ფოტო.

- რა შენიშნე?
- რით ჰგავს ანრი მატისის ავტოპორტრეტი მისსავე ფოტოს?

პასუხი: სათვალე, წვერ-ულვაში, ვარცხნილობა, გამოხედვა, ჩაცმულობა.

აქტივობა 2. შედარება

დააკვირდი ნახატებსა და ფოტოებს.

იპოვე ავტოპორტრეტის ავტორი.

- რა ნიშნით მიამსგავსე ფოტო ნახატს?

ნაბიჯის შემაჯამებელი შეკითხვები:

რას უნდა დააკვირდე პორტრეტის ხატვისას?

რით განსხვავდებიან ადამიანები ერთმანეთისან?

პასუხი: ყველას აქვს განსხვავებული გარეგნობა – სახის ნაკვთები, სახასათო ნიშნები, მაგ. სათვალე, წვერი...

კიდევ რა ნიშნებით შეიძლება მსგავსების გადმოცემა? (ვარცხნილობა, ჩაცმულობა)

ნაბიჯი 6. (გაკვეთილები 15, 16)

15. მოწყენილობა მხიარული ფერებით

რა განაპირობებს სურათში განწყობას?

სამიზნე ცნება/ქვეცნებები:

1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები – ქვეცნებები: ფერი (ძირითადი და შედგენილი, ღია და მუქი); ფონი;
2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა – **ქვეცნება**: ხატვა;
3. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები – **ქვეცნება**: მხატვრობა;
4. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჟანრები– **ქვეცნება**: პორტრეტი;

რესურსები: სახელმძღვანელო, სონია დელონესა და ანრი მატისის მიერ შესრულებული პორტრეტები.

იდეები აქტივობებისთვის:

ლექსიკონი: ფონი – ის, რაც საგნის გარშემო არის დახატული.

სამოტივაციო შეკითხვები:

- როგორი იქნებოდა სამყარო ფერების გარეშე?
- რა ფერია ოცნება, სიცილი, წყენა?
- როგორ ფერებს შეარჩევდით მხიარული ადამიანის დასახატად?
- როგორ ფერებს შეარჩევდით მოწყენილი ადამიანის დასახატად?
- რა მოხდება, თუ მოწყენილ ადამიანს კაშკაშა ფერებით დავხატავთ?

შენი აზრით, მხატვრებიც ასე ფიქრობენ?

აქტივობა 1. დაკვირვება

დააკვირდი სონია დელონეს სურათებს.

- როგორ ფერებს ხედავ?
- სურათები ჭრელია თუ ერთფეროვანი?
- ფერები მხიარულია თუ უჟმური?
- რა განწყობაა ამ პორტრეტებში?
- განწყობას ფერი ქმნის, თუ პორტრეტებზე ასახული ადამიანების გამომეტყველება?

დამატებითი აქტივობა. პრაქტიკული სამუშაო, ხატვა (სავარჯიშო):

*** ეს აქტივობა არ არის მოცემული მოსწავლის წიგნში და განკუთვნილია დიფერენცირებული სწავლებისთვის.**

მასალა: მოსწავლის არჩევანით

სონია დელონე, ფილომენეს პორტრეტი.

დააკვირდი ფილომენეს პორტრეტს.

გადახატე პორტრეტი სახატავ რვეულში.

- რით დახატავ სურათს?
- რით დახატავ ხაზებს?
- როგორ დაიდებ სახატავ ფურცელს – გრძივად თუ განივად? რატომ?

აქტივობა 2, 3. ილუსტრაციებზე დაკვირვება

დააკვირდი ანრი მატისის პორტრეტებს.

- როგორ ფერებს ხედავ?
- სურათები ჭრელია თუ ერთფეროვანი?
- ფერები მხიარულია თუ უჟმური?
- რა განწყობა ამოიცანი?
- რა ხატია ფონზე?

- რომელ სურათშია ფონი: ჭრელი? სადა? მუქი? ღია?

16. რა ფერია სიხარული?
რესურსები: სახელმძღვანელო, კით ჰარინგის და ჟოან მიროს ნამუშევრები

იდეები აქტივობებისთვის:

აქტივობა 1, 2. ილუსტრაციაზე დაკვირვება (კით ჰარინგი)
დააკვირდი კით ჰარინგის სურათებს.
- რა დახატა მხატვარმა?
- რა ფერებს ხედავ?
- რა განწყობაა სურათებში?
- რა ქმნის ამ განწყობას?

პასუხი: კით ჰარინგი ძირითადი და შედგენილი სუფთა ფერებით ხატავდა.
მხიარული კაცუნების მოძრაობას მხატვარი მოკლე შავი ხაზებით გადმოგვცემს.

აქტივობა 3. ილუსტრაციაზე დაკვირვება (ჟოან მირო):
- მოყევი, რას ხედავ?
- რა დახატა მხატვარმა ხაზებით?
- როგორი სახეები აქვთ კაცუნებს?
- რა ფერებს ხედავ?
- რა განწყობას ქმნიან ეს ფერები?

აქტივობა 4. პრაქტიკული სამუშო, ხატვა (სავარჯიშო):
მასალა: მოსწავლის არჩევანით
დახატე მხიარული არსებები.
- რას გააკეთებენ ისინი?
- რა ფერებით დახატავ?
- როგორი გამომეტყველება ექნება მათ?

ნაბიჯის შემაჯამებელი შეკითხვები:
- რომელი ფერები ქმნის მხიარულ განწყობას?
- რომელი ფერები ქმნის სევდიან განწყობას?
- შეგიძლია თუ არა გადმოსცე სევდიანი განწყობა მხიარული ფერებით?
- რა უნდა გააკეთო ამისთვის?
- შეგიძლია თუ არა, მხიარული განწყობა გადმოსცე სევდიანი ფერებით?
- რა უნდა გააკეთო ამისთვის?

ნაბიჯი 7 (გაკვეთილი 17)
17. სახელოსნო
სამიზნე ცნება/ქვეცნებები:
1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები – **ქვეცნებები**: ხაზი (სხვადასხვა ტიპის); ფერი (ძირითადი და შედგენილი, ღია და მუქი); ფონი; კომპოზიცია;

2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა – **ქვეცნება**: შერეული ტექნიკა;
3. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები– **ქვეცნება**: მხატვრობა;
4. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჟანრები – **ქვეცნება**: პორტრეტი.

რესურსი – მოსწავლეების ნამუშევრების ნიმუშები

იდეები აქტივობებისთვის:

აქტივობა 1. პრაქტიკული სამუშაო, ხატვა შერეული ტექნიკით (სავარჯიშო):

*მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინებით, აქტივობა 1 და აქტივობა 3 შესაძლოა გაერთიანდეს ერთ დავალებად და განაწილდეს განსხვავებული უნარების მქონე მოსწავლეებს შორის.

მასალა: ორი სახატავი ფურცელი, მარკერი, საღებავები, ფუნჯი, მაკრატელი, წებო.

მოამზადე ფერადი ფონი: მთლიანად გააფერადე ფურცელი საღებავებით.
ცალკე ფურცელზე დახატე ადამიანი.
გამოჭერი ნახატი და დააწებე ფონზე.

- რა ფერებით დახატე ფონი?
- რა განწყობაა შენს ნახატში?

აქტივობა 2. დაკვირვება, მსჯელობა

დააკვირდი ბავშვების ნახატებს.

- პორტრეტის დახატვა გრძივად სჯობს თუ განივად?
- ამ სამი ნიმუშიდან შენ რომელს აირჩევდი და რატომ?
- რას შეცვლიდი ამ პორტრეტების განლაგებაში და რატომ?

აქტივობა 3. პრაქტიკული სამუშაო, ხატვა:

მასალა: ორი სახატავი ფურცელი, მარკერები, საღებავები, ფუნჯი, მაკრატელი, წებო.

- ცალკე ფურცელზე დახატე მეგობრის პორტრეტი.
- ეცადე, სახასიათო ნიშნებით გადმოსცე მსგავსება.
- გაიხსენე, რა ფერის თვალები აქვს მას? რა ფერის თმა აქვს?

- კიდევ რა აქვს განსაკუთრებული?
- შენი საყვარელი ფერებით მოამზადე ფონი;
- გამოჭერი პორტრეტი და დააწებე ფონს.

აქტივობა 4. პრაქტიკული სამუშაო, შერეული ტექნიკა (შუალედური):
მასალა: ერთი სახატავი ფურცელი, ერთი დიდი ზომის სახატავი ფურცელი, აკვარელი, გუაშის საღებავები, პასტელი, ფუნჯი, ფანქრები და მარკერები, მაკრატელი, წებო.

1) მოამზადე ფონი: პასტელით დახატე ხაზები.
- გადაუსვი ნახატს აკვარელის საღებავი;
- რა მოხდა?
- დაელოდე ფონის გაშრობას.

2) ცალკე ფურცელზე დახატე მხიარული სახე და გამოჭერი;
- საღებავებით გააკეთე ორივე ხელის ანაბეჭდი და გამოჭერი;
- წინასწარ მომზადებულ ფონზე დააწებე სახე და ხელის ანაბეჭდები.

აჩვენე ნამუშევარი მეგობრებს და უამბე:
- რა დახატე? (პორტრეტი)
- ვინ დახატე?
- რა განწყობაა შენს სურათში?
- როგორ გაანაწილე გამოსახულება ფურცელზე?
- რა ხატია ფონზე?
- რა მასალა და ტექნიკა გამოიყენე?
- რა დახატე პირველად და რა ბოლოს? რატომ?

ნაბიჯის შემაჯამებელი შეკითხვები:
- რა ისწავლე ახალი?
- რაში გამოიყენებ ამ გამოცდილებას?
- მოგეწონა თუ არა შერეული ტექნიკით მუშაობა?
- რა არის ფონი?
- რას ჰმატებს ფონი ნახატს?
- რატომ არის ზოგი სურათი გრძივად დახატული, ზოგი კი – განივად?

ნაბიჯი 8. (გაკვეთილები 18, 19)
18. პატარა მეგობრები
სამიზნე ცნება/ქვეცნებები:
1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები – **ქვეცნებები:** ხაზი (სხვადასხვა ტიპის); ფერი (ძირითადი და შედგენილი, ღია და მუქი);
2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა – **ქვეცნება**: ხატვა;
3. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები – **ქვეცნება:** მხატვრობა;

რესურსები: სახელმძღვანელო – ჩინელი მხატვრის მო ნონგის და ია მახათაძის სურათები.

იდეები აქტივობებისთვის:

სამოტივაციო საუბარი:

თქვენ ბევრი სხვადასხვა სურათი ნახეთ, რომლებშიც ჩანს, რა აინტერესებთ, რა უყვართ ამ ადამიანებს – კითხვა, ხატვა, თამაში, საყვარელ ადამიანთან ჩახუტება, ცეკვა... ზოგს საყვარელი ცხოველი უზის კალთაში.

მოძებნეთ სახელმძღვანელოში ასეთი სურათები (პაბლო პიკასო (გაკვეთილი 10), გ. ა. ვ. ტრაუგოტები და გასტონ შესაკი (გაკვეთილი 12), მარი კასატი და ბერტა მორისო (გაკვეთილი 13), ანრი მატისის ავტოპორტრეტი ხელში ფუნჯებით, მოლბერტთან (გაკვეთილი 14), კით ჰარინგი, ჟოან მირო (გაკვეთილი 16). თქვენ რა გიყვართ? როდის და ვისთან ერთად გრძნობთ თავს ყველაზე კარგად?

დააკვირდით სურათებს. რას გვიამბობენ ისინი?

აქტივობა 1. ილუსტრაციებზე მსჯელობა (მო ნონგი)

დააკვირდი სურათებს:

- რა გვიამბო მხატვარმა? (ადამიანის და მისი ცხოველების მეგობრობის შესახებ)
- რა განწყობაა ამ სურათებში? (მყუდრო, მეგობრული)
- რა განწყობა შეგექმნა შენ?
- რომელი ფერია მთავარი? (წითელი).
- რა ფერია ფონი? (ყვითელი, მწვანე, ნარინჯისფერი, წითელი).

აქტივობა 2. ილუსტრაციებზე მსჯელობა (ია მახათაძე)

დააკვირდი სურათებს:

- რა დახატა მხატვარმა?
- როგორი ფერებით?
- როგორი ხაზებით?
- რომელია მთავარი – ფერი თუ ხაზი?
- რა ქმნის განწყობას – მხიარული ფერები, დახატული ამბავი თუ ორივე ერთად?

აქტივობა 3. პრაქტიკული სამუშაო, ხატვა (სავარჯიშო):

დახატე შენი თავი საყვარელ ან საოცნებო ცხოველთან ერთად.

19. ჩარჩო, პრაქტიკული სამუშაო

მასალა: თხელი მუყაო ან სახატავი ფურცლები, მარკერები, წებო.

დაამზადე სურათის ჩარჩო.

- შეარჩიე შენი რომელიმე ნახატი.
- როგორი ჩარჩო მოუხდება მას?

- სურათს გაუკეთე ლამაზი ჩარჩო;
- დააწებე შენი ნახატი შედარებით დიდი ზომის ფერად ფურცელზე;
- მოხატე ჩარჩო ფანქრებით ან მარკერებით;
- გამოიყენე სხვადასხვა ტიპის ხაზი.

ეტაპი III – კომპლექსური დავალების შესრულება და წარდგენა (რა ვისწავლე?)
დახატე ავტოპორტრეტი.

- შენი სახასიათო ნიშნების, გარეგნობის, ვარცხნილობის, ჩაცმულობის და ინტერესების გადმოსაცემად შეარჩიე და გამოიყენე **სხვადასხვა ტიპის ხაზი, ძირითადი და შედგენილი,** ღია და მუქი **ფერები**;
- ჩანაფიქრის შესაბამისად გადაწყვიტე, პორტრეტს გრძივად დახატავ თუ განივად;
- გაუკეთე ნამუშევარს ჩარჩო. გაალამაზე ჩარჩო სხვადასხვა ტიპის ხაზით.

ნამუშევრის წარდგენისას ისაუბრე:

- რა დახატე? (ავტოპორტრეტი)
- როგორი ხაზები გამოიყენე ავტოპორტრეტში შენი გარეგნული ნიშნების გადმოსაცემად?
- რა ფერები გამოიყენე (ძირითადი/ შედგენილი, ღია და მუქი) ხასიათის, განწყობის გადმოსაცემად?
- რომელმა ფერმა გაამხიარულა შენი ნახატი?
- რომელმა შექმნა სევდიანი განწყობა?
- რა დეტალები დაგეხმარა შენი ინტერესების გადმოცემაში?
- რა დახატე ფონზე?
- როგორი ჩარჩო გაუკეთე ნახატს?
- რა მოგწონს შენს ნამუშევარში?
- რას შეცვლიდი?
- რა ნაბიჯები გადადგი დავალებაზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლიდან რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

<u>კომპლექსური დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკები:</u>

1. ყოჩაღ!
   შენ კარგად გაიაზრე დავალების პირობა.
   ავტოპორტრეტში ზუსტად გადმოეცი შენი სახასიათო ნიშნები: ვარცხნილობა, ჩაცმულობა. დამატებითი დეტალებით გვაჩვენე შენი ინტერესები.
   გამოყენებული გაქვს სხვადასხვა ტიპის ხაზი, ძირითადი და შედგენილი ფერები.
   ნახატი ფურცელზე ლამაზად არის განაწილებული.
   ნამუშევარზე საუბრისას სწორად იყენებ ტერმინებს.

2. კარგი ნამუშევარია.
   ავტოპორტრეტში შენი სახასიათო ნიშნები შეგეძლო დაგეზუსტებინა ვარცხნილობით, ტანსაცმლის დეტალებით.
   ეს დეტალები შეგეძლო დაგეხატა სხვადასხვა ტიპის ხაზით, ნახატი კი გაგეფერადებინა ძირითადი და/ან შედგენილი ფერებით.
   ნამუშევარზე საუბრისას შეგეძლო გეხმარა მეტი შესატყვისი ტერმინი.

თემა 2. კომპლექსური დავალების შეფასება SOLO ტაქსონომიის მიხედვით

<table>
<tr><td colspan="2">
თემატური ბლოკი: ადამიანები და ხელოვნება
თემა: ვინ გვიყურებს სურათიდან?
მოსწავლის სახელი, გვარი: _____ თარიღი: _____

სამიზნე ცნება 1: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები
ქვეცნებები: ხაზი (სხვადასხვა ტიპის); ფერი (ძირითადი და შედგენილი; ღია და მუქი)

სამიზნე ცნება 2: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა
ქვეცნება: ხატვა

სამიზნე ცნება 3: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები
ქვეცნება: მხატვრობა

სამიზნე ცნება 4: სახვითი ხელოვნების ჟანრები
ქვეცნება: პორტრეტი
</td></tr>
<tr><td colspan="2">
კომპლექსური დავალების პირობა:
დახატე ავტოპორტრეტი. შენი ხასიათის, სახასიათო ნიშნების: გარეგნობის, ვარცხნილობის, ჩაცმულობის და ინტერესების გადმოსაცემად შეარჩიე და გამოიყენე სხვადასხვა ტიპის ხაზი, ძირითადი და შედგენილი, ღია და მუქი ფერები. მოიფიქრე, რას დახატავ ფონზე. ჩანაფიქრის შესაბამისად გადაწყვიტე, პორტრეტს გრძივად დახატავ თუ განივად.
</td></tr>
<tr><td>
SOLO ტაქსონომიის დონე: აბსტრაქტული:
მოსწავლეს სიღრმისეულად ესმის საკითხის/მოვლენის არსი, ხედავს მის სხვადასხვა ასპექტს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს. გამოთქვამს ვარაუდებს. განაზოგადებს ცოდნას როგორც მოცემული საგნის ჭრილში, ასევე სხვა სფეროსთან მიმართებაში. აქვს მსგავს მაგალითებთან შედარების, ანალიზის და შეფასების უნარი. შეუძლია საკითხის/მოვლენის პირად გამოცდილებასთან დაკავშირება.
</td><td>
დავალების პირობის შესაბამისად ქმნის ავტოპორტრეტს. ნახატში გადმოსცემს ხასიათს, სახასიათო ნიშნებს: გარეგნობას, ვარცხნილობას, ჩაცმულობას. დამატებითი დეტალებით გადმოსცემს საკუთარ ინტერესებს. ამისთვის მიზანმიმართულად ირჩევს და იყენებს მრავალფეროვან ხაზებს, ძირითად და შედგენილ, ღია და მუქ ფერებს.
ჩანაფიქრის შესაბამისად, გააზრებულად ანაწილებს გამოსახულებას, ირჩევს ფურცლის შესაფერის ორიენტაციას.
წარდგენისას ვრცლად საუბრობს საკუთარ ჩანაფიქრზე და შემოქმედებითი პროცესის ეტაპებზე. ადეკვატურად იყენებს მრავალფეროვან ტერმინებს.
</td></tr>
</table>

მიმართებითი: მოსწავლეს ესმის საკითხის/მოვლენის არსი. ხედავს მის რამდენიმე ასპექტს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს. შეუძლია გამოთქვას ვარაუდი, შეადაროს, გააანალიზოს, გამოიყენოს თეორიული ცოდნა პრაქტიკაში.	დავალების პირობის შესაბამისად ქმნის ავტოპორტრეტს. ნახატში გადმოსცემს რამდენიმე სახასიათო ნიშანს, გარეგნობის, ვარცხნილობის, ჩაცმულობის რამდენიმე დეტალს. რამდენიმე დეტალით გადმოსცემს საკუთარ ინტერესს. ამისთვის იყენებს რამდენიმე ტიპის ხაზს, ძირითად და შედგენილ, ღია და მუქ ფერებს. ირჩევს ფურცლის შესაფერის ორიენტაციას. წარდგენისას საუბრობს საკუთარ ჩანაფიქრზე და შემოქმედებითი პროცესის რამდენიმე ეტაპზე. ადეკვატურად იყენებს რამდენიმე ტერმინს.
მულტისტრუქტურული მოსწავლეს აქვს წარმოდგენა საკითხის/მოვლენის რამდენიმე ასპექტზე განცალკევებულად, არ ესმის მათ შორის კავშირი. შეუძლია აღწერა, ჩამოთვლა, დახარისხება, კომბინირება, მეთოდების გამოყენება, პროცედურების შესრულება და სხვ.	ქმნის პორტრეტს. იყენებს რამდენიმე ტიპის ხაზს, ძირითად და/ან შედგენილ ფერებს, მაგრამ ვერ გადმოსცემს საკუთარ მახასიათებლებს. არ ესმის გამოსახულების განაწილების მნიშვნელობა. წარდგენისას სრულად აღწერს ნამუშევარს. საუბრობს საკუთარ ნამუშევარზე რამდენიმე ტერმინის გამოყენებით.
უნისტრუქტურული: მოსწავლე განიხილავს საკითხის/მოვლენის მხოლოდ ერთ ასპექტს. ხედავს მარტივ, აშკარა/ცხად კავშირებს. ესმის რამდენიმე ტერმინის მნიშვნელობა. შეუძლია ცოდნის ზეპირად გადმოცემა (გახსენება), მარტივი მითითებების შესრულება; პარაფრაზირება, ამოცნობა, დასახელება ან ჩამოთვლა.	ქმნის პორტრეტს. იყენებს ერთი ტიპის ხაზს, ვერ გადმოსცემს საკუთარ მახასიათებლებს. არ ესმის გამოსახულების განაწილების მნიშვნელობა. წარდგენისას აღწერს ნამუშევრის რამდენიმე ელემენტს. ესმის რამდენიმე ტერმინის მნიშვნელობა.
პრესტრუქტურული მოსწავლე ვერ იაზრებს საკითხს, იყენებს შეუსაბამო ინფორმაციას ან საერთოდ სცდება საკითხს.	ნამუშევარი არ შეესაბამება დავალების პირობას.

თემატური მატრიცა 3

კლასი: I
თემატური ბლოკი: ხელოვნება ჩვენ გარშემო
თემა: თოვლის პაპას სახელოსნო (გაკვეთილები 20-26) საათების სავარაუდო რაოდენობა: 10+2

თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები (განზოგადებები თემის ფარგლებში):

- მე შემიძლია შევქმნა სხვადასხვა დარგის ხელოვნების ნიმუშები, რომლებიც გაალამაზებს ჩემს და ჩემი ახლობლების გარემოს და შექმნის შესაბამის განწყობას.
- საზეიმო განწყობის შესაქმნელად შემიძლია შევქმნა სხვადასხვა ნამუშევარი, რისთვისაც შევარჩევ და გამოვიყენებ შესაბამის მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს, ხერხებს, მასალას და ტექნიკას.

1. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)

ქვეცნებები – საშუალებები:

ხაზი: (სწორი, ზიგზაგი, წყვეტილი, ტალღოვანი, წვრილი, სქელი და სხვ.)

ფორმა (გეომეტრიული და ბუნებრივი).

2. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა

ქვეცნებები – ხატვა, კონსტრუირება, მოდელირება, აპლიკაცია, კომპიუტერული სახატავი პროგრამა.

3. სამიზნე ცნება – სახვითი ხელოვნების დარგები

ქვეცნება – გამოყენებითი ხელოვნება.

საკითხი – ხელოვნება გვეხმარება სადღესასწაულო გარემოს შექმნაში.

საკვანძო შეკითხვები:

- როგორ შევქმნა სხვადასხვა დარგის ხელოვნების ნიმუშები, რომ გავალამაზო ჩემი და ჩემი ახლობლების გარემო და შევქმნა სადღესასწაულო განწყობა?
- როგორ შევარჩიო და გამოვიყენო შესაბამისი მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები, მასალა და ტექნიკა, რომ გავალამაზო გარემო?

კომპლექსური დავალების პირობა:

დაამზადე საახალწლო მოსართავი: გირლანდა, ნაძვის ხის სათამაშო და სხვ.

გამოიყენე სხვადასხვა მასალა (გირჩები, ტოტები, ფოთლები, ფერადი ქაღალდები, მუყაო, პლასტილინი, თიხა ან საძერწი ცომი, ლენტები, მძივები, ღილები) და **ტექნიკა** (ხატვა, აპლიკაცია, კონსტრუირება, ძერწვა).

მიეცი ნამუშევარს გეომეტრიული ან ბუნებაში არსებული **ფორმა**.

გაალამაზე ნაკეთობა სხვადასხვა ტიპის **ხაზით** (სწორი, ზიგზაგი, ტალღოვანი, წყვეტილი და სხვა).

შენი და შენი მეგობრების მიერ დამზადებული მოსართავებით გაალამაზეთ სკოლის გარემო: დერეფანი ან საკლასო ოთახი.

სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:	**შეფასების კრიტერიუმები (კონკრეტულ კომპლექსურ აქტივობაზე მისადაგებული)** ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:
1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) ● სათქმელის (ამბის, გრძნობის, აზრის, შთაბეჭდილების, განწყობილების, ემოციების, დამოკიდებულებების, დაკვირვების შედეგების), მხატვრული ჩანაფიქრის გადმოსაცემად ადამიანი იყენებს ხელოვნების ენას, ანუ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საშუალებებს (ფერი, ხაზი, ფორმა) და ხერხებს (მაგ., რიტმი, ძირითადის გამოყოფა, კონტრასტი და სხვ.). **2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა.** ● ადამიანი ხელოვნების ნიმუშის შესაქმნელად იყენებს სხვადასხვა მასალასა და ტექნიკას. **3.სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები** ● ხელოვნების სხვადასხვა დარგებად დაყოფას განაპირობებს გამოყენებული მასალა, ტექნიკა, დანიშნულება; ● სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების თითოეული დარგისათვის რომელიმე მხატვრული საშუალებაა მეტად დამახასიათებელი. **4. სახვითი ხელოვნების ჟანრები** ● ხელოვნება ჟანრებად იყოფა ასახული შინაარსის მიხედვით.	● რა გააკეთე? ● რა მასალა და ტექნიკა გამოიყენე მოსართავის შესაქმნელად? ● როგორი ფორმები გამოიყენე? ● რით გაალამაზე ნამუშევარი? ● რისთვის გამოიყენე ხაზი? ● რა ნაბიჯები გადადგი დავალებაზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე? ● რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლიდან რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)
ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა
განსახილველი ქეისები კომპლექსური დავალების განსახორციელებლად:
ყველაფერი, რაც გარშემოა, ჩვენი გარემოა.
ადამიანმა გაალამაზა და თავის ჭკუაზე მოაწესრიგა გარემო.
რით და როგორ ამშვენებს ხელოვნება გარემოს?

- შენც შეგიძლია გაალამაზო შენი გარემო.
- როგორ ემზადებიან ადამიანები დღესასწაულისთვის?
- რაში ეხმარება მათ ხელოვნება?
- როგორ ემზადებით სააახალწლოდ თქვენ?
- გაგიკეთებიათ თუ არა საახალწლო საჩუქრები და მოსართავები?

რესურსები კომპლექსური დავალების განსახორციელებლად:
ჟოან მიროს, სალვადორ დალის, პაბლო პიკასოს, ენდი უორჰოლის, პიტ მონდრიანის, ვასილი კანდინსკის ნამუშევრები.
ვიდეო რესურსი, ფიფქის დამზადების ტექნიკა:
https://www.youtube.com/watch?v=p6XmvKvgU_k;
საახალწლო მისალოცი ბარათების ვიდეო რესურსები:
https://www.youtube.com/watch?v=EYAlTYqAKQg;
https://www.youtube.com/watch?v=EYAlTYqAKQg;
https://www.youtube.com/watch?v=8NsxFZPTdBg;
https://www.youtube.com/watch?v=ASIPJeZaUNo;
https://www.youtube.com/watch?v=cA48nTVoDUw;

კომპლექსური დავალების პირობის გააზრებაზე ორიენტირებული შეკითხვები:

- როგორ ვალამაზებთ გარემოს საახალწლოდ?
- როგორ შეგიძლია ხელოვნების მეშვეობით შექმნა საახალწლო განწყობა?
- როგორი მოსართავები არსებობს?
- რა მასალით და ტექნიკით შეიძლება მოსართავების დამზადება?

ეტაპი 2: კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა
„თოვლის პაპას სახელოსნო“ (გაკვეთილები 20-26)
ნაბიჯი 1. (გაკვეთილი 20)
20. ახალი წელი მოდის!
მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის საახალწლო მორთულობის ტრადიციების გაცნობა.

სამიზნე ცნება/ქვეცნებები:
1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები – **ქვეცნება**: დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება.

რესურსები – სახელმძღვანელო, საახალწლო მორთულობის ფოტოები

იდეები აქტივობებისთვის:
სამოტივაციო საუბარი:
ვის უხარია ახალი წლის დადგომა ყველაზე მეტად?
რა თქმა უნდა, ბავშვებს!
ეს არდადეგების, სიურპრიზების, საჩუქრების, მხიარულების დროა.

ყველგან სადღესასწაულო განწყობაა, ყველას უხარია.

ვრთავთ ნაძვის ხეს. გარემოს ნათურებით, გირლანდებით ვრთავთ.

ახალი წლის დღესასწაულს მთელი მსოფლიო ზეიმობს. სხვადასხვა ხალხი მას სხვადასხვანაირად აღნიშნავს და გარემოსაც განსხვავებულად ალამაზებს.

მსოფლიოს უმეტეს ქვეყანაში ახალ წელს მორთული ნაძვის ხით ხვდებიან.

საქართველოში ახალ წელს ნაძვის ხით და ჩიჩილაკით ვზეიმობთ.

ინდოეთში, სადაც ნაძვი არ იზრდება, სათამაშოებით ბანანის პალმებს რთავენ.

ბერძნები ბროწეულით ალამაზებენ ნაძვის ხეს. დანიაში ნაძვის ხეზე ქაღალდის გულებს კიდებენ, საფრანგეთში კი – ვაშლებს. ჩინელები ახალ წელს წითელი ფარნებითა და ქაღალდის გველეშაპით ხვდებიან.

იაპონელები ორიგამით გაწყობილ დეკორაციებს აკეთებენ.

ევროპის მრავალ ქვეყანაში სახლის კარზე ნაძვის ტოტის გვირგვინს კიდებენ, რაც იმას ნიშნავს, რომ აქ სტუმრის მოსვლა უხარიათ.

აქტივობა 1. უპასუხე

შენ როგორ ემზადები დღესასწაულისთვის?

როგორ ალამაზებ საზეიმოდ გარემოს?

აქტივობა 2. პრაქტიკული სამუშაო, ხატვა

მასალა: მოსწავლის არჩევანით.

მოიფიქრე და დახატე უცნაური ნივთებით მორთული ნაძვის ხე.

- როგორი ნაძვის ხე დახატე?
- რითია შენი ნაძვის ხე უცნაური?
- როგორი ფორმები და ხაზები გამოიყენე?

ნაბიჯის შემაჯამებელი შეკითხვები:

- როგორ ემზადებით სააახალწლოდ?
- გაგიკეთებიათ თუ არა საახალწლო საჩუქრები და მოსართავები თქვენი ახლობლებისთვის?
- რა მასალა გამოიყენეთ ამისთვის?

ნაბიჯი 2. (გაკვეთილები 21, 22)

21. მხიარული ფორმები

გეომეტრიული ფორმების გაცნობა და მათი ამოცნობა გარემოში.

სამიზნე ცნება/ქვეცნებები:

1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები – **ქვეცნებები**: ფორმა (გეომეტრიული); ხაზი (სხვადასხვა ტიპის); ფერი.
2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა – **ქვეცნებები**: ხატვა, აპლიკაცია;
3. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები – **ქვეცნებები:** მხატვრობა, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება.

რესურსი – სახელმძღვანელო

*ამ და მომდევნო გაკვეთილებში მოცემული გეომეტრიული ფიგურების სახელწოდებების ათვისება უნდა მოხდეს არა ერთ გაკვეთილზე, არამედ მთელი თემის შესწავლის განმავლობაში.

იდეები აქტივობებისთვის:

სამოტივაციო საუბარი:

თოვლის პაპას სახელოსნოში განსაკუთრებული სამზადისია – აქ ხომ საახალწლო საჩუქრები და ნაძვის ხის სათამაშოები მზადდება!

იცოდი, რომ ნაძვის ხის სათამაშოების დამზადება ხელოვნებაა?

ამ ხელოვნებას გამოყენებითი ხელოვნება ჰქვია.

გამოყენებითი ხელოვნებაა ყველა ის ლამაზი ნივთი, რომლებსაც ადამიანი ცხოვრებაში იყენებს.

თქვენც შეგიძლიათ დაამზადოთ საახალწლო მოსართავები და გაალამაზოთ თქვენი სკოლის გარემო. ამისთვის კი სხვადასხვა ფორმა დაგვჭირდება.

დღეს გეომეტრიულ ფორმებს გაეცნობით.

ყოველ გეომეტრიულ ფორმას თავისი სახელი აქვს.

კვადრატი, წრე, სამკუთხედი, ოთხკუთხედი, ხუთკუთხედი, ოვალი, ვარსკვლავი – გეომეტრიული ფორმებია.

გეომეტრიულ ფორმებს უამრავ საგანში ამოიცნობ.

აქტივობა 1, 2. საგნების ფორმებში გეომეტრიული ფორმების ამოცნობა

- რას ხედავ?
- რომელი გეომეტრიული ფორმები ამოიცანი ამ საგნებში?
- დააკავშირე ფოტო შესაბამის ფორმასთან, დაარქვი მას სახელი.

პასუხი: საჩუქრის კოლოფს კვადრატის ფორმა აქვს; ფიფქს – ვარსკვლავის; ნაძვის ხის მოსართავი ბურთი წრეს ჰგავს; თოვლის ბაბუას ნახატი სამი წრისგან შედგება; გვირგვინს ოვალის ფორმა აქვს; ნაძვის ხე სამკუთედია; სახლი ხუთკუთხედს ჰგავს.

* მეორე აქტივობაში მოსწავლეებმა უნდა დააწყვილონ ნახატი შესაბამის კონტურულ ნახატთან.

აქტივობა 3. პრაქტიკული სამუშაო, სავარჯიშო

მასალა: სახატავი ფურცელი ან თხელი მუყაო, საღებავები და მარკერები, მაკრატელი, ზონარი.

- დახატე ნაძვის ხის სათამაშო;
- გამოჭერი ნახატი;
- გააფერადე ორივე მხრიდან;
- მოხატე ხაზებით;
- გაუკეთე ყუნწი;
- ჩამოკიდე სათამაშო ნაძვის ხეზე.

22. სახელოსნო

რესურსები: სახელმძღვანელო, პიტ მონდრიანის და ვასილი კანდინსკის ნამუშევრები.

იდეები აქტივობებისთვის:

აქტივობა 1. ილუსტრაციაზე დაკვირვება, მსჯელობა გეომეტრიულ ფორმებზე

დააკვირდი პიტ მონდრიანის სურათს.

- რომელ ფერებს და როგორ ხაზებს ხედავ?
- რა ფორმებია დახატული ხაზებით?
- ეს ფორმები გეომეტრიულია თუ ბუნებრივი?

პასუხი: პიტ მონდრიანის სურათზეა ძირითადი ფერები, ოთხკუთხა გეომეტრიული ფორმები.

აქტივობა 2. პრაქტიკული სამუშაო, პიტ მონდრიანის ნამუშევრის მიხედვით ნაძვის ხის სათამაშოს დამზადება, (შუალედური):

მასალა: მუყაოს ნაჭრები, მარკერები ან გუაშის საღებავები, მაკრატელი, ზონარი.

გააკეთე ნაძვის ხის ბურთები:

- გამოჭერი მუყაოს წრე;
- შიგ ჩახატე ოთხკუთხედები;
- წრე ორივე მხრიდან გააფერადე ძირითადი ფერებით;
- შეაბი სათამაშოს საკიდი.

კიდევ რა ფორმის სათამაშოს გააკეთებ?

აჩვენე სათამაშო მეგობრებს და უამბე:

- რა გააკეთე?
- როგორი ფორმა გამოჭერი?
- როგორი ფორმები ჩახატე შიგნით?
- ეს გეომეტრიული ფორმებია თუ ბუნებრივი?
- რა ფერებით დაფერე?
- რას ვუწოდებთ ასეთ ფერებს?
- რატომ ჰქვიათ მათ ძირითადი ფერები?
- რაში დაგეხმარა ხაზები?
- რა გამოგივიდა კარგად?
- რას შეცვლიდი?

აქტივობა 3. ილუსტრაციაზე დაკვირვება (ვასილი კანდინსკი), პრაქტიკული სამუშაო

მასალა: სახატავი ფურცელი ან თხელი მუყაო, ფერადი ფანქრები ან მარკერები, მაკრატელი, ზონარი ან ლენტი საკიდისთვის.

- რა ფორმებს ხედავ?
- რომელი ჰგავს ნაძვის ხეს?
- რომელი ჰგავს ადამიანს?

სამკუთხა ფორმებით დახატე ადამიანი ან ნაძვის ხე;
გამოჭერი ნახატი და გაუკეთე საკიდი.

აქტივობა 4. ილუსტრაციაზე დაკვირვება (ვასილი კანდინსკი), პრაქტიკული სამუშაო:
მასალა: სახატავი ფურცელი ან თხელი მუყაო, ფერადი ფანქრები ან მარკერები, მაკრატელი, ზონარი ან ლენტი საკიდისთვის.

- გააკეთე კანდინსკის წრეების მსგავსი სათამაშო;
- გამოჭერი სხვადასხვა ზომის ფერადი წრეები. დააწებე წრეები ერთმანეთს;
- გაუკეთე სათამაშოს საკიდი.

ნაბიჯის შემაჯამებელი შეკითხვები:
- რისი კეთება ისწავლე?
- რაში დაგეხმარა მხატვრების ნამუშევრები?
- გადახედე სახელმძღვანელოს. მხატვრობის რომელი ნიმუში მოგცემს იდეას ახალი მოსართავის დასამზადებლად?

ნაბიჯი 3. (გაკვეთილი 23)
23. ციფრული ნახატი
გეომეტრიული ფორმების ხატვა კომპიუტერული სახატავი პროგრამით
სამიზნე ცნება/ქვეცნებები:
1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები – **ქვეცნებები**: ფორმა (გეომეტრიული), ხაზი (სხვადასხვა ტიპის);
2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა – **ქვეცნება**: კომპიუტერული სახატავი პროგრამა;

რესურსები: სახელმძღვანელო, მოსწავლის ბუკი.

იდეები აქტივობებისათვის:

აქტივობა 1. პრაქტიკული სამუშაო, ციფრული ნამუშევარი:
*დიფერენცირებული სწავლების მიზნით ან ბუკის უქონლობის შემთხვევაში ეს აქტივობა შეიძლება შესრულდეს ფურცელზე, ფანქრებით ან მარკერებით.

კომპიუტერულ სახატავ პროგრამაში გეომეტრიული ფორმებით დახატე ნაძვის ხის სათამაშოები:
- ინსტრუმენტით „ფორმა“ დახატე გეომეტრიული ფორმები – წრე, სამკუთხედი, ოვალი, ოთხკუთხედი;
- ინსტრუმენტით „საღებავის ჩასხმა“ გააფერადე ფორმები ძირითადი ფერებით;
- ინსტრუმენტით „ფუნჯი“ გაალამაზე ფორმები სხვადასხვა ხაზით;
- „ფუნჯითვე“ მიუხატე სათამაშოებს ყუნწები.

ნაბიჯის შემაჯამებელი შეკითხვები:

- რა ისწავლე?
- როგორი ფორმები დახატე?
- როგორი ხაზებით გაალამაზე ფორმები?

ნაბიჯი 4. (გაკვეთილი 24)

24. საახალწლო მოსართავები

გეომეტრიული ფორმებით მოსართავების დამზადება

სამიზნე ცნება/ქვეცნებები:

1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები – **ქვეცნება**: ფორმა (გეომეტრიული);
2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა – **ქვეცნება**: კონსტრუირება;
3. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები – **ქვეცნება**: დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება.

რესურსი: სახელმძღვანელო;

ვიდეო რესურსი – ფიფქის დამზადების ტექნიკა: https://www.youtube.com/watch?v=p6XmvKvgU_k;

იდეები აქტივობებისთვის:

სამოტივაციო საუბარი, წინარე ცოდნის გააქტიურება:

- დააკვირდი სახელმძღვანელოში მოცემულ ნიმუშებს.
- როგორ შეიძლება მსგავსი მოსართავების დამზადება?
- რა ფორმებს გამოიყენებ და რატომ?
- რა მასალა დაგჭირდება?
- როგორ დაამაგრებ ცალკეულ ნაწილებს?
- რისთვის გამოგადგება ასეთი მოსართავები?

აქტივობა 1. პრაქტიკული სამუშაო, გირლანდა (ჯგუფური):

*დიფერენცირებული სწავლების მიზნით შესაძლებელია სხვადასხვა უნარის მოსწავლეს დაევალოს სხვადასხვა ტიპის გირლანდის გაკეთება.

მასალა: ქაღალდის ფერადი ზოლები, ბაწარი, წებო, მაკრატელი.

ქაღალდის ზოლებით და გეომეტრიული ფორმებით გააკეთე საახალწლო გირლანდები:

1. ორად მოკეცე ფერადი ქაღალდი და გამოჭერი სხვადასხვა გეომეტრიული (სამკუთხა, ოთხკუთხა) ფორმა;

დაალაგე ფორმები ერთ მწკრივად. ყოველ ფორმას წაუსვი წებო. დაადე ზედ ზონარი და დააწებე ფორმის მეორე ნახევარი;

2. დაჭერი ფერადი ქაღალდები ვიწრო ზოლებად;

ზოლების ნაწილი შეკარი რკალად და დააწებე ბოლოები;

თითებით მოკეცე რკალები და მიეცი სასურველი (სამკუთხა, ოთხკუთხა და სხვა) ფორმა;

ყოველ ორ რკალში გაუყარე სხვა ფერის ქაღალდის ზოლი და დააწებე ერთმანეთს მისი ბოლოები.

აქტივობა 2. პრაქტიკული სამუშაო (ჯგუფური)

*დიფერენცირებული სწავლების მიზნით შესაძლებელია ხელსაწმენდის ნაკეცების და ამოსაჭრელი დეტალების რაოდენობის ვარირება.

მასალა: თეთრი ქაღალდი და/ან ხელსაწმენდები, ფანქარი, მაკრატელი.

გაალამაზეთ საკლასო ოთახი ფიფქების გირლანდით.

1.
2.
3.
4.
5.
6.

ნიმუშის მიხედვით გამოჭერით ფიფქები:

- რამდენჯერმე მოკეცეთ ქაღალდის ხელსაწმენდი (1, 2, 3);
- მოკეცილი ხელსაწმენდის კიდეებზე ფანქრით მონიშნეთ ამოსაჭრელი ადგილები (4);
- ამოჭერით მონიშნული დეტალები (5);
- გაშალეთ ხელსაწმენდი და გადააბით ფიფქები ერთმანეთს.

აქტივობა 3. ნაძვის ხის მძივი, პრაქტიკული სამუშაო (ჯგუფური)

მასალა: ფერადი ჟურნალები, ფერადი ქაღალდი, მაკრატელი, ქაღალდის წებო, ზონარი.

- ჭრელი ფურცლები დაჭერი სამკუთხა ზოლებად;
- განიერი ბოლოდან დაახვიე ზოლები ხის ჩხირზე;
- წვეტი დააწებე;
- გამოაძრე ჩხირი;
- აასხი მძივები ზონარზე.

ნაბიჯის შემაჯამებელი შეკითხვები:

- რა ისწავლე ახალი?
- რა და რა ფორმის მოსართავები გააკეთე?
- კიდევ რა შეგიძლია გააკეთო ამ წესით?

ნაბიჯი 5 (გაკვეთილი 25)

25. ნაძვის ხე

სამიზნე ცნება/ქვეცნებები:

1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები – **ქვეცნება**: ფორმა (გეომეტრიული და ბუნებაში არსებული);

2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა – **ქვეცნებები**: აპლიკაცია, კონსტრუირება;

რესურსები: სახელმძღვანელო

იდეები აქტივობებისთვის:

სამოტივაციო საუბარი:

საახალწლოდ უამრავი ნაძვის ხე იჭრება მხოლოდ იმიტომ, რომ ორიოდე კვირით ჩვენი გარემო დაამშვენოს.

რა ემართებათ მოჭრილ ხეებს? ისინი ხმება. ხმელ ხეს აგდებენ. არადა, როგორი ლამაზია ტყით დაფარული მთები!

განა დასანანი არ არის, ასეთ მშვენიერებას რომ სიცოცხლეს ვუსპობთ? წარმოიდგინეთ, ასე თუ გაგრძელდა, ტყეები გაიჩეხება, ციყვებს და კოდალებს სახლი აღარ ექნებათ, ჩვენ კი – სუფთა ჰაერი.

ჩვენ შეგვიძლია გავუფრთხილდეთ ბუნებას და ჩვენი ხელით გავაკეთოთ ლამაზი ნაძვის ხეები. მოდით, აქ, საკლასო ოთახში ფერადი ქაღალდებით, აპლიკაციის ტექნიკით დამზადებული მხიარული ნაძვის ხეები „დავრგოთ“.

- რას ნიშნავს აპლიკაცია? (დაწებებას, დამაგრებას)
- როგორი ფორმა აქვს ნაძვის ხეს? (სამკუთხა)
- რამდენი კუთხე აქვს სამკუთხედს? (სამი)
- რამდენი გვერდი აქვს სამკუთხედს? (სამი)
- სამკუთხა ფორმებით ნაირ-ნაირი ნაძვის ხეების გაკეთებას შეძლებ.

აქტივობა 1. მაგიდაზე დასადგამი ქაღალდის ნაძვის ხე, პრაქტიკული სამუშაო (ჯგუფური)

* მოსწავლეთა უნარების გათვალისწინებით ნაძვის ხის გვერდები შეიძლება გამოიჭრს სწორად, შეჭრილი დეტალების გარეშე.

ასევე, მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეებს დაურიგოს ნაძვის ხის თარგები, რომლებსაც მოსწავლეები შემოავლებენ კონტურს და ისე გამოჭრიან.

მასალა: სამი ცალი მწვანე ფერის ქაღალდი, სხვა ფერის ფერადი ქაღალდის ნარჩენები, უბრალო ფანქარი, მაკრატელი, მშრალი წებო.

ნიმუშის მიხედვით გააკეთე მაგიდაზე დასადგამი ქაღალდის ნაძვის ხე.

- სამი ცალი მწვანე ფერის ოთხკუთხა ქაღალდი გაკეცე შუაზე გრძივად;
- გაკეცვის ადგილიდან კიდისკენ დახატე ნაძვის ხის ნახევარი;
- გამოჭერი სამივე თარგი ხაზის გაყოლებაზე;
- გაშალე გამოჭრილი თარგები;
- თითოეულს ცალ მხარეს წაუსვი წებო;
- ორი თარგის თითო ნახევარი მიაწებე ერთმანეთს;
- დააწებე ნაძვს ფერადი ქაღალდების ნარჩენებისგან გამოჭრილი კოპლები.

აქტივობა 2. პრაქტიკული სამუშაო (ჯგუფური)

მასალა: ფერადი ქაღალდი, მაკრატელი, ქაღალდის წებო, წებოვანი ლენტი, დიდი ზომის ფორმატი.

მეგობრებთან ერთად გააკეთე დიდი ნაძვის ხე.

- ფერად ფურცლებზე შემოხაზეთ თქვენი ხელის მტევნები;
- გამოჭერით და დააწებეთ ისინი ერთმანეთს ისე, როგორც ნიმუშზეა ნაჩვენები.

გაითვალისწინეთ:

- დაწებება დაიწყეთ ქვედა რიგით;
- რაც მეტ ანაბეჭდს გამოჭრით, მით უფრო დიდი და ფუშფუშა ნაძვის ხე გამოვა.

აქტივობა 3. მსჯელობა, პრაქტიკული სამუშაო:

* ამ აქტივობების მიზანია, მოსწავლე თავად მიხვდეს, თუ როგორ, რა მასალითა და თანმიმდევრობით კეთდება სახელმძღვანელოში ნაჩვენები ნაკეთობები.

- დააკვირდით თითოეულ ნიმუშს და გამოთქვით ვარაუდი – რა ხერხებით შეიძლება მსგავსი ნაკეთობის დამზადება?
- რა მასალა და იარაღი დაგჭირდებათ?

მასალა:

1.მწვანე ქაღალდი, სარეცხის სამაგრები, ღილები ან ქაღალდის კოპლები, მაკრატელი, წებო;

2. ერთჯერადი თეფში, ფერადი ქაღალდები, მაკრატელი, გუაშის მწვანე საღებავი, მარკერი, ძაფი;

3. მუყაოს სამკუთხა ნაჭრები, ფერადი ქაღალდები, უბრალო ფანქარი, სახაზავი, მაკრატელი, წებო.

მწვანე ქაღალდი, საარეცხის სამაგრები, ღილები ან ქაღალდის კოპლები.

1.

2.

3.

- ფერად ქაღალდზე (განივად) ფანქრითა და სახაზავით დახაზე ზოლები და გამოჭერი;
- მუყაოს სამკუთხედს წაუსვი წებო. დააწებე მუყაოზე ფერადი ქაღალდის ზოლები (განივად);
- როცა სამკუთხა ფორმა დაიფარება ზოლებით, მოაჭერი ზედმეტი ნაწილები;
- მუყაოს ნარჩენისგან სადგამისთვის გამოჭერი პატარა სამკუთხედი;
- ჩაჭერი სადგამი შუამდე. ჩაამაგრე ჭრილში ნაძვის ხე;
- ნაძვს უკანა მხარეს დააწერე შენი სახელი.

ნაბიჯის შემაჯამებელი შეკითხვები:

- რა ისწავლე ახალი?
- რა ფორმა აქვს შენს ნახელავს?
- რა ხერხით მიიღე ასეთი ფორმა?
- რა ეწოდება ამ ტექნიკას?
- კიდევ რა შეგიძლია გააკეთო ამ წესით?

ნაბიჯი 6. (გაკვეთილი 26)

26. მისალოცი ბარათი

არატრადიციული ტექნიკების გაცნობა

სამიზნე ცნება/ქვეცნებები:

1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები – **ქვეცნებები**: ხაზი (სხვადასხვა ტიპის), ფერი, ფორმა (გეომეტრიული და ბუნებაში არსებული)

2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა – **ქვეცნება**: ხატვა;

რესურსები: სახელმძღვანელო, სალვადორ დალის, პაბლო პიკასოს, ენდი უორჰოლის, ალექსანდრ კალდერის მიერ დახატული საახალწლო მისალოცი ბარათები.

ვიდეო რესურსები:
https://www.youtube.com/watch?v=EYAlTYqAKQg;
https://www.youtube.com/watch?v=EYAlTYqAKQg;
https://www.youtube.com/watch?v=8NsxFZPTdBg;
https://www.youtube.com/watch?v=ASIPJeZaUNo;
https://www.youtube.com/watch?v=cA48nTVoDUw;

იდეები აქტივობებისთვის:
სამოტივაციო საუბარი:

- გაგიკეთებიათ მისალოცი ბარათი?
- რა შეიძლება დავხატოთ საახალწლო ბარათზე (თოვლის პაპა, ნაძვის ხე, ზარი, ფიფქი...)?

დააკვირდით სურათებს.
ეს მხატვრების მიერ შექმნილი მისალოცი ბარათებია.

- რა დახატეს მხატვრებმა?
- თქვენ რას დაუხატავთ თქვენს მეგობრებს?

აქტივობა 1. პრაქტიკული სამუშაო, მისალოცი ბარათის ხატვა
მასალა: მოსწავლის არჩევანით.

დაუხატე მეგობრებს საახალწლო მისალოცი ბარათები.

- დაფიქრდი, ვისთვის დახატავ ბარათს?
- რას დახატავ ბარათზე?
- რას დაამატებ ბარათს?

აქტივობა 2. პრაქტიკული სამუშაო, მისალოცი ბარათის ხატვა
მასალა: სქელი ქაღალდი, გუაშის საღებავები, უბრალო ფანქარი, ფუნჯი, შავი მარკერი.
ფერადი ფორმებითა და შავი ზოლებით დახატე ნაძვის ხე:

- ფურცლის შუაში უბრალო ფანქრით დახატე სამკუთხა ფორმა;
- სამკუთხედის შიგნით ფანქრით გაავლე გრძივი და განივი სწორი ხაზები.;
- გააფერადე ზოგიერთი უჯრა ძირითადი ფერებით;
- როცა საღებავი გაშრება, გადაატარე ხაზებს შავი მარკერი.

აქტივობა 3. მსჯელობა, პრაქტიკული სამუშაო, არატრადიციული ტექნიკა:
მასალა: თეთრი და ფერადი ქაღალდები, გუაშის საღებავები, ბამბიანი ჩხირები, მაკრატელი, წებო.

- დააკვირდი ნიმუშებს:
- რა ხერხითაა დახატული ნაძვის ხეებიანი ბარათი?

პასუხი: ნაძვის ხის ფორმის გარშემო თითის ანაბეჭდით დასმული კოპლებით.

- რით დახატავ თოვლის პაპას? (თითის ანაბეჭდით).
- როგორ დახატავ ნაძვის წიწვებს? (საღებავიანი ჩანგლით).

ეტაპი III – კომპლექსური დავალების შესრულება და წარდგენა (რა ვისწავლე?)

დაამზადე საახალწლო მოსართავი: გირლანდა, ნაძვის ხის სათამაშო და სხვ.

- გამოიყენე სხვადასხვა მასალა (გირჩები, ტოტები, ფოთლები, ფერადი ქაღალდები, მუყაო, პლასტილინი, თიხა ან საძერწი ცომი, ლენტები, მძივები, ღილები) და ტექნიკა (ხატვა, აპლიკაცია, კონსტრუირება, ძერწვა);
- მიეცი ნამუშევარს გეომეტრიული ან ბუნებაში არსებული ფორმა;
- გაალამაზე ნაკეთობა სხვადასხვა ტიპის ხაზით (სწორი, ზიგზაგი, ტალღოვანი, წყვეტილი და სხვა).

შენი და შენი მეგობრების მიერ დამზადებული მოსართავებით გაალამაზეთ სკოლის გარემო: დერეფანი ან საკლასო ოთახი.

ნამუშევრის წარდგენისას ისაუბრე:

- რა მოსართავი გააკეთე?
- რა მასალა და ტექნიკა გამოიყენე მოსართავის შესაქმნელად?
- როგორი ფორმები გამოიყენე?
- რით გაალამაზე ნამუშევარი?
- რა ნაბიჯები გადადგი დავალებაზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლიდან რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?

კომპლექსური დავალების შეფასების განმავითარებელი რუბრიკები:

1. ყოჩაღ!
   შენ სწორად გაიგე დავალების პირობა, შენი ნამუშევარი ალამაზებს სკოლის გარემოს და ქმნის სადღესასწაულო განწყობას. შენ გამოიყენე სხვადასხვა მასალა და ტექნიკა. გეომეტრიული და ბუნებაში არსებული ფორმების კომბინაციით შენ შექმენი საინტერესო ნამუშევარი. გააფორმე ის სხვადასხვა ტიპის ხაზით. წარდგენისას სწორად იხმარე ტერმინები.

2. კარგი ნამუშევარია!
   შენი მოსართავი ალამაზებს სკოლის გარემოს. შეგეძლო გამოგეყენებინა უფრო შესაფერისი მასალა. შენ უკვე იცი გეომეტრიული და ბუნებაში არსებული ფორმების ამოცნობა. შეგეძლო გაგეფორმებინა ნამუშევარი სხვადასხვა ტიპის ხაზით. შენ უკვე გესმის რამდენიმე ტერმინის მნიშვნელობა, მაგრამ შეგეძლო გეხმარა ისინი წარდგენისას

თემა 3. კომპლექსური დავალების შეფასება SOLO ტაქსონომიის მიხედვით.

<table>
<tr><td colspan="2">

თემატური ბლოკი: ხელოვნება ჩვენ გარშემო

თემა: თოვლის პაპას სახელოსნო

მოსწავლის სახელი, გვარი: _____ თარიღი: _____

სამიზნე ცნება 1: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები

ქვეცნებები: ფორმა (გეომეტრიული და ბუნებაში არსებული); სხვადასხვა ტიპის ხაზი;

სამიზნე ცნება 2: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა

ქვეცნებები: ხატვა, აპლიკაცია, კონსტრუირება, მოდელირება, ძერწვა;

სამიზნე ცნება 3: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები

ქვეცნება: დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება.

</td></tr>
<tr><td colspan="2">

კომპლექსური დავალების პირობა:

დაამზადე საახალწლო მოსართავი: გირლანდა, ნაძვის ხის სათამაშო და სხვ.

გამოიყენე სხვადასხვა მასალა (გირჩები, ტოტები, ფოთლები, ფერადი ქაღალდები, მუყაო, პლასტილინი, თიხა ან საძერწი ცომი, ლენტები, მძივები, ღილები) და **ტექნიკა** (ხატვა, აპლიკაცია, კონსტრუირება, ძერწვა).

მიეცი ნამუშევარს გეომეტრიული ან ბუნებაში არსებული **ფორმა**.

გაალამაზე ნაკეთობა სხვადასხვა ტიპის **ხაზით** (სწორი, ზიგზაგი, ტალღოვანი, წყვეტილი და სხვა).

შენი და შენი მეგობრების **მიერ დამზადებული** მოსართავებით გაალამაზეთ სკოლის გარემო: დერეფანი ან საკლასო ოთახი.

</td></tr>
<tr><td>

SOLO ტაქსონომიის დონე: აბსტრაქტული

მოსწავლეს სიღრმისეულად ესმის საკითხის/მოვლენის არსი, ხედავს მის სხვადასხვა ასპექტს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს. გამოთქვამს ვარაუდებს. განაზოგადებს ცოდნას როგორც მოცემული საგნის ჭრილში, ასევე სხვა სფეროსთან მიმართებაში. აქვს მსგავს მაგალითებთან შედარების, ანალიზის და შეფასების უნარი. შეუძლია საკითხის/მოვლენის პირად გამოცდილებასთან დაკავშირება.

</td><td>

დავალების პირობის შესაბამისად ალამაზებს სკოლის გარემოს და ქმნის სადღესასწაულო განწყობას. ნამუშევრის შესაქმნელად მიზანმიმართულად იყენებს მრავალფეროვან მასალას და ტექნიკას. ნამუშევარში იყენებს მრავალფეროვანი ფორმების (გეომეტრიული და ბუნებაში არსებული) კომბინაციას. ნამუშევარი გაფორმებულია სხვადასხვა ტიპის ხაზით.

ნამუშევრის წარდგენისას ვრცლად საუბრობს საკუთარ ჩანაფიქრზე და შემოქმედებითი პროცესის ეტაპებზე. ადეკვატურად იყენებს მრავალფეროვან ტერმინებს.

</td></tr>
</table>

მიმართებითი: მოსწავლეს ესმის საკითხის/მოვლენის არსი. ხედავს მის რამდენიმე ასპექტს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს. შეუძლია გამოთქვას ვარაუდი, შეადაროს, გააანალიზოს, გამოიყენოს თეორიული ცოდნა პრაქტიკაში.	დავალების პირობის შესაბამისად, ალამაზებს სკოლის გარემოს და ქმნის სადღესასწაულო განწყობას. ნამუშევრის შესაქმნელად იყენებს შესაფერის მასალას და ტექნიკას; სხვადასხვა ფორმის (გეომეტრიული და ბუნებაში არსებული) კომბინაციას. აფორმებს ნაკეთობას ხაზებით. წარდგენისას საუბრობს ნამუშევრის შესრულების ძირითად ეტაპებზე. ადეკვატურად იყენებს რამდენიმე ტერმინს.
მულტისტრუქტურული მოსწავლეს აქვს წარმოდგენა საკითხის/მოვლენის რამდენიმე ასპექტზე განცალკევებულად, არ ესმის მათ შორის კავშირი. შეუძლია აღწერა, ჩამოთვლა, დახარისხება, კომბინირება, მეთოდების გამოყენება, პროცედურების შესრულება და სხვ.	მოსართავის შესაქმნელად იყენებს შემთხვევით მასალას და ტექნიკას. მწირად იყენებს ფორმებს (გეომეტრიულს და/ან ბუნებაში არსებულს). წარდგენისას სრულად აღწერს ნამუშევარს. ესმის რამდენიმე ტერმინის მნიშვნელობა.
უნისტრუქტურული: მოსწავლე განიხილავს საკითხის/მოვლენის მხოლოდ ერთ ასპექტს. ხედავს მარტივ, აშკარა/ცხად კავშირებს. ესმის რამდენიმე ტერმინის მნიშვნელობა. შეუძლია ცოდნის ზეპირად გადმოცემა (გახსენება), მარტივი მითითებების შესრულება; პარაფრაზირება, ამოცნობა, დასახელება ან ჩამოთვლა.	მოსართავის შესაქმნელად იყენებს შეუფერებელ მასალას და ტექნიკას. მწირად და გაუაზრებლად იყენებს ფორმების (გეომეტრიული ან ბუნებაში არსებული). წარდგენისას აღწერს ნამუშევრის ორიოდე ელემენტს. ესმის რამდენიმე ტერმინის მნიშვნელობა.
პრესტრუქტურული მოსწავლე ვერ იაზრებს საკითხს, იყენებს შეუსაბამო ინფორმაციას ან საერთოდ სცდება საკითხს.	ნამუშევარი არ შეესაბამება დავალების პირობას.

თემატური მატრიცა 4

თემატური ბლოკი: მე და გარესამყარო

თემა: ბუნება ჩემ გარშემო (გაკვეთილები 27 – 33) საათების სავარაუდო რაოდენობა: 6+2

თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები (განზოგადებები თემის ფარგლებში):

- გარემოსგან მიღებული შთაბეჭდილებები, იდეები შემიძლია ავსახო სხვადასხვა დარგის და ჟანრის ნამუშევარში;
- გარემოსადმი ჩემი დამოკიდებულება, იდეები ან გარემოსგან მიღებული შთაბეჭდილებები შეიძლება გადმოვცე მრავალფეროვანი გამომსახველობითი საშუალებებით, ხერხებით, მასალითა და ტექნიკით.

1. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)

ქვეცნებები – საშუალებები:

ფორმა (გეომეტრიული და ბუნებაში არსებული).

ფერი (ძირითადი და შედგენილი, ღია და მუქი);

ხაზი (სხვადასხვა ტიპის: სწორი, ტალღოვანი, წყვეტილი, მრუდი, სქელი, წვრილი);

ხერხები: ნამუშევარში გამოსახულების განაწილება, ვერტიკალური ან ჰორიზონტალური ფორმატის შერჩევა.

2. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა

ქვეცნებები – შერეული ტექნიკა (ხატვა, აპლიკაცია).

3. სამიზნე ცნება – სახვითი ხელოვნების დარგები

ქვეცნება – მხატვრობა.

4. სამიზნე ცნება – სახვითი ხელოვნების ჟანრები

ქვეცნება – პეიზაჟი.

საკითხი – ნამუშევარში ბუნების მრავალფეროვნების და სილამაზის გადმოცემა.

საკვანძო შეკითხვები:

- რომელი დარგის და ჟანრის ნამუშევარში შემიძლია ავსახო გარემოსგან მიღებული შთაბეჭდილებები?
- რა გამომსახველობითი საშუალებები, ხერხები, მასალა და ტექნიკა დამეხმარება ბუნების მრავალფეროვნების გადმოცემაში?

კომპლექსური დავალების პირობა:

შენთვის საყვარელი **ტექნიკით** შექმენი **პეიზაჟი**. გამოიყენე ჩანაფიქრის შესაბამისი ფორმები (გეომეტრიული და ბუნებაში არსებული), **ფერები** (ძირითადი და შედგენილი, ღია და მუქი) და სხვადასხვა ტიპის **ხაზი** (სწორი, ტალღოვანი, წყვეტილი, მრუდი, სქელი, წვრილი).

სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები	**შეფასების კრიტერიუმები (კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მისადაგებული)**
<u>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:</u>	<u>ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:</u>

1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) ● სათქმელის (ამბის, გრძნობის, აზრის, შთაბეჭდილების, განწყობილების, ემოციების, დამოკიდებულებების, დაკვირვების შედეგების), მხატვრული ჩანაფიქრის გადმოსაცემად ადამიანი იყენებს ხელოვნების ენას, ანუ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საშუალებებს (ფერი, ხაზი, ფორმა) და და ხერხებს (მაგ., რიტმი, ძირითადის გამოყოფა, კონტრასტი და სხვ.). 2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა. ● ადამიანი ხელოვნების ნიმუშის შესაქმნელად იყენებს სხვადასხვა მასალასა და ტექნიკას. 3. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები ● ხელოვნების სხვადასხვა დარგებად დაყოფას განაპირობებს გამოყენებული მასალა, ტექნიკა, დანიშნულება; ● სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების თითოეული დარგისათვის რომელიმე მხატვრული საშუალებაა მეტად დამახასიათებელი. 4. სახვითი ხელოვნების ჟანრები ● ხელოვნება ჟანრებად იყოფა ასახული შინაარსის მიხედვით.	● რა გააკეთე? ● რა მასალა და რა **ტექნიკა** გამოიყენე **პეიზაჟის** შესაქმნელად? ● როგორ გამოიყენე **სხვადასხვა ტიპის ხაზი, ფორმა და ფერი** პეიზაჟის გადმოსაცემად? ● რა ნაბიჯები გადადგი დავალებაზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე; ● რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლიდან რომ იწყებდე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობას?

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)
ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

განსახილველი ქეისები კომპლექსური დავალების განსახორციელებლად:
მთა, ზღვა, ტყე და მინდორი, ქვიშიანი და ყინულოვანი უდაბნო... ეს ჩვენი პლანეტაა.
ბუნება მუდამ იცვლება.
ბუნება ბევრნაირია. ყოველი ხელოვანი ამ მრავალფეროვნებას თავისებურად გადმოგვცემს.
დაკვირვებიხარ ბუნებას?
იცი, რა არის პეიზაჟი?

რესურსები კომპლექსური დავალების განსახორციელებლად:
სახელმძღვანელო – გაკვეთილები
ილუსტრაციები: სხვადასხვა მხატვრის პეიზაჟები: ანტონ ბალანჩივაძე, გიორგი მირზაშვილი, მარტიროს სარიანი, ელენე ახვლედიანი, გოგი ჩაგელიშვილი, კლოდ მონე, ვინსენტ ვან გოგი, ლუიზ ბურჟუა, ჯონ ბეიტსი, დევიდ ჰოკნი, გუსტავ კლიმტი.

კომპლექსური დავალების პირობის გააზრებაზე ორიენტირებული შეკითხვები:
- როგორ იცვლება ბუნება წლის სხვადასხვა დროს?
- რა ემართება ამ დროს ფერებს?
- გაიხსენე მთები, ღრუბლები, ხეები... რა ფორმები გახსენდება? კიდევ როგორ ფორმებს ხედავ ბუნებაში?
- გაიხსენე ტალღები, ხის ტოტები... როგორი ხაზებით დახატავდი მათ?
- როგორ შეგიძლია ნამუშევარში გადმოსცე ბუნების მრავალფეროვნება?

ეტაპი II: კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1. (გაკვეთილები 27, 28)
27. პეიზაჟი
პეიზაჟის ჟანრის გაცნობა

სამიზნე ცნება/ქვეცნებები:
1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები – **ქვეცნებები**: ფერი (ძირითადი და შედგენილი, ღია და მუქი); ხაზი (სხვადასხვა ტიპის), ფორმა (გეომეტრიული და ბუნებაში არსებული);
2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა – **ქვეცნება**: ხატვა;
3. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები – **ქვეცნება**: მხატვრობა;
4. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჟანრები – **ქვეცნება**: პეიზაჟი.

რესურსები – სახელმძღვანელო: გიორგი მირზაშვილის, მარტიროს სარიანის, ანტონ ბალანჩივაძის და ელენე ახვლედიანის პეიზაჟები.

იდეები აქტივობებისთვის:
სამოტივაციო საუბარი:
ბუნება მრავალფეროვანია. ყოველი ადამიანი მის სილამაზეს თავისებურად აღიქვამს.
მხატვრებიც სხვადასხვანაირად ხატავენ ბუნებას.

გარემოს ხედს პეიზაჟი ეწოდება.
დაგიხატავთ პეიზაჟი?
თქვენ უკვე ბევრი რამ ისწავლეთ – სხვადასხვა მასალით ხატვა, აპლიკაციის კეთება...
დროა, ახალი ტექნიკებიც ისწავლოთ.
ვნახოთ, კიდევ რა ხერხებით შეიძლება ბუნების ხედის დახატვა.

აქტივობა 1. დაკვირვება (გიორგი მირზაშვილის და მარტიროს სარიანის პეიზაჟები)
დააკვირდი სურათებს.

- რას ხედავ?
- რა ფერებს ხედავ?
- რა ფორმებს ხედავ?
- რომელი პეიზაჟია დახატული ხაზებით?

პასუხი: ხაზებით დახატულია მარტიროს სარიანის პეიზაჟი.
გიორგი მირზაშვილის პეიზაჟი მუქი და ღია ფერებით და წრიული ფორმებითაა დახატული.

აქტივობა 2. დაკვირვება (ანტონ ბალანჩივაძის პეიზაჟი)

- რა დახატა მხატვარმა?
- აქ დღეა თუ ღამეა?
- რომელი ფერია მთავარი?
- რომელი ფერია ყველაზე მუქი/ღია?

აქტივობა 3. პრაქტიკული სამუშაო, ხატვა
მასალა: მოსწავლის არჩევანით

შეარჩიე რომელიმე მხატვრის პეიზაჟი და დახატე მსგავსი სურათი.

- რას შეცვლი?
- რას დაამატებ?

აქტივობა 4. დაკვირვება (თანატოლების ნამუშევრებზე)
დააკვირდი ბავშვების ნახატებს.

- გამოიცანი, რომელ მხატვარს მიჰბაძეს მათ?

28. ღამის პეიზაჟი
აქტივობა 1. ილუსტრაციაზე დაკვირვება (ელენე ახვლედიანი)
დააკვირდი სურათს.

- რას ხედავ?
- რომელი ფერია მთავარი? რატომ?
- რა ფერის ქაღალდზეა დახატული ეს პეიზაჟი?
- რატომ ხატია სურათი შავი ფერის ქაღალდზე?

აქტივობა 2. პრაქტიკული სამუშაო, ცდა
მასალა: შავი ან მუქი ლურჯი ფერის ფურცელი, პასტელი, ცარცი.

დაგიხატავს ნახატი შავ ფურცელზე?
შავ ან მუქ ლურჯ ფურცელზე ფერადი პასტელით ან ცარცით დახატე პეიზაჟი.

აქტივობა 3. პრაქტიკული სამუშაო, ცდა
მასალა: სახატავი ფურცელი, შავი ფერის პასტელი, წვეტიანი ჩხირი.

ჩაატარე ცდა:

დაფერე ფურცელი მუქი ფერის პასტელის სქელი ფენით.
წვეტიანი ჩხირით ამოკაწრე ხაზები.

- რას დახატავ გრძელი ხაზებით? რას დახატავ მოკლე ხაზებით?
- კიდევ რას დახატავდი ასეთი ხერხით?

ნაბიჯის შემაჯამებელი შეკითხვები:
რას ნიშნავს სიტყვა **პეიზაჟი?**

ნაბიჯი 2. (გაკვეთილი 29)
29. ზამთრის პეიზაჟი
ინტერპრეტაცია

სამიზნე ცნება/ქვეცნებები :
1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები – **ქვეცნება**: ფერი (ძირითადი და შედგენილი, ღია და მუქი);
2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა – **ქვეცნებები**: შერეული ტექნიკა (აპლიკაცია);
3. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები – **ქვეცნება**: მხატვრობა;
4. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჟანრები – **ქვეცნება**: პეიზაჟი.

რესურსები – სახელმძღვანელო – გოგი ჩაგელიშვილის პეიზაჟები
ინსტრუქცია აქტივობა 4-ისთვის:
http://bit.ly/3KUaS0j

იდეები აქტივობებისთვის:

აქტივობა 1. წინარე ცოდნის გააქტიურება, ინტერპრეტაცია

- როგორ იცვლება გარემო ზამთარში?
- რა ფერები სჭარბობს?

დააკვირდი გოგი ჩაგელიშვილის სურათებს.

მოყევი, რას ხედავ.

- რაზე ფიქრობს მამალი?
- რაზე საუბრობენ კატა და ყვავი?

აქტივობა 2. ინტერპრეტაცია:

დააკვირდი სურათს და უპასუხე :

- წელიწადის რომელი დროა?
- რა ნიშნით მიხვდი?
- დილაა თუ საღამო?
- რას აკეთებენ ბავშვები?
- რა ხმები ისმის?
- რას ელოდებიან ყვავები?
- რით შეიძლება დამთავრდეს ამბავი?

აქტივობა 3. დაკვირვება, პრაქტიკული სამუშაო, ხატვა არატრადიციული ტექნიკით (შუალედური)

მასალა: სახატავი ფურცლები, გუაშის საღებავები, ფუნჯი, ბამბიანი ჩხირები, ღრუბელი, პალიტრა.

დახატე ზამთრის პეიზაჟი.

- რა ფერის ფონს შეარჩევ?
- როგორ დახატავ თოვლს?
- რით დახატავ ფიფქებს?

დააკვირდი ნიმუშს.

- რას დაამატებდი ნახატს?

აქტივობა 4. დაკვირვება, პრაქტიკული სამუშაო, ხატვა შერეული ტექნიკით

https://bit.ly/3KUaS0j;

მასალა მოსწავლის არჩევანით: სახატავი ფურცლები, ფერადი ქაღალდები, გუაშის საღებავები, ფერადი ფანქრები ან პასტელი, ფუნჯი, ბამბიანი ჩხირები, პალიტრა, წებო, მაკრატელი.

დააკვირდი ნიმუშს.

შერეული ტექნიკით გააკეთე მსგავსი ნამუშევარი.

გაიხსენე, რას ნიშნავს **შერეული ტექნიკა?**

- ფერად ფონზე დააწებე ქაღალდის ვიწრო ზოლები – ეს ტოტები იქნება.
- სხვა ფურცელზე დახატე ჩიტი და გააფერადე.
- გამოჭერი ჩიტი და დააწებე ტოტებზე.
- თეთრ საღებავში ჩააწე ბამბიანი ჩხირი და მიახატე ტოტებს თოვლი.
- ხაზებით დახატე წიწვები.

ნაბიჯი 3. (გაკვეთილი 30)

30. დავხატოთ ზღვა

არატრადიციული ტექნიკის გაცნობა

სამიზნე ცნება/ქვეცნებები:

1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები – **ქვეცნება**: ფერი (ძირითადი და შედგენილი, ღია და მუქი);
2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა – **ქვეცნებები**: ხატვა, შერეული ტექნიკა;
3. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები – **ქვეცნება**: მხატვრობა;
4. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჟანრები – **ქვეცნება**: პეიზაჟი.

რესურსები – სახელმძღვანელო, კლოდ მონეს, ვინსენტ ვან გოგის, გოგი ჩაგელიშვილის ზღვის პეიზაჟები.

იდეები აქტივობებისთვის:

აქტივობა 1. დაკვირვება, მსჯელობა.

დააკვირდი ზღვის პეიზაჟებს.

- რომელი ფერია მთავარი და რატომ?
- რამ მიიპყრო შენი ყურადღება გოგი ჩაგელიშვილის პეიზაჟზე და რით?

აქტივობა 2. პრაქტიკული სამუშაო, ხატვა (შუალედური)

მასალა: სახატავი ფურცელი, გუაშის ლურჯი და თეთრი საღებავები, ფუნჯი, ჩანგალი ან ღრუბელი.

დახატე ზღვის პეიზაჟი.

- თეთრი და ლურჯი საღებავით დახატე ფონი.
- დააკვირდი ნიმუშებს.
- როგორ დახატავ ტალღებს და ღრუბლებს?

პასუხი: საღებავის სქელი ფენის ჩანგლით დასერვა; ტალღების თეთრსაღებავიანი ღრუბლით ხატვა.

ნაბიჯი 4. (გაკვეთილი 31)

31. დავხატოთ მთა

ციფრული ნამუშევარი

სამიზნე ცნება/ქვეცნებები:

1.სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები – **ქვეცნებები**: ფერი (ღია და მუქი); ხაზი (სხვადასხვა ტიპის), ფორმა (გეომეტრიული და ბუნებაში არსებული);

2.სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა – **ქვეცნება**: კომპიუტერული სახატავი პროგრამა;

3.სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები – **ქვეცნება**: მხატვრობა;

4.სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჟანრები – **ქვეცნება**: პეიზაჟი.

რესურსები – სახელმძღვანელო – ლუიზ ბურჟუას, ჯონ ბეიტსის და დევით ჰოკნის პეიზაჟები. მოსწავლის ბუკი.

იდეები აქტივობებისთვის:

აქტივობა 1. დაკვირვება (ლუიზ ბურჟუას და ჯონ ბეიტსის პეიზაჟები)

დააკვირდი სურათებს:

- როგორი ფორმები ამოიცანი?
- რა არის დახატული ამ ფორმებით?
- რა ფერებს ხედავ?
- რომელ სურათზეა მთები გამოკვეთილი ხაზებით და რომელზე – მხოლოდ ფერებით?

პასუხი: ლუიზ ბურჟუას პეიზაჟზე მკაფიოდ ჩანს მთების გარშემო კონტურული ხაზები, ხოლო ჯონ ბეიტ-სის პეიზაჟზე ფორმები დახატულია მხოლოდ ფერებით).

აქტივობა 2. პრაქტიკული სამუშაო, ციფრული ნამუშევარი

* ბუკის უქონლობის შემთხვევაში ეს ნამუშევარი შეიძლება შესრულდეს ფურცელზე მარკერებით და/ან საღებავებით.

ისარგებლე კომპიუტერით. დახატე დევიდ ჰოკნის პეიზაჟის მსგავსი სურათი.

სახატავ პროგრამაში მონახე ფუნჯი, ფანქარი და კალამი.

მოსინჯე, როგორ ხაზებს ხატავენ ისინი.

- დახატე ბუნებაში არსებული ფორმები;
- ძირითადი და შედგენილი ფერებით გააფერადე ფორმები;
- გაალამაზე ფორმები ხაზებით.

მოსინჯე, კიდევ რა შეუძლია კომპიუტერულ სახატავ პროგრამას?

ნაბიჯი 5. (გაკვეთილი 32)

32. დავხატოთ ტყე

არატრადიციული ტექნიკის გაცნობა

სამიზნე ცნება/ქვეცნებები:

1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები – **ქვეცნება**: ფერი (ღია და მუქი);

2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა – **ქვეცნებები**: შერეული ტექნიკა;

3. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები – **ქვეცნება**: მხატვრობა;

4. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჟანრები – **ქვეცნება**: პეიზაჟი.

რესურსები – სახელმძღვანელო – გუსტავ კლიმტის პეიზაჟები.
იდეები აქტივობებისთვის:
აქტივობა 1. დაკვირვება

დააკვირდი გუსტავ კლიმტის სურათებს.

- რა დახატა მხატვარმა?
- წელიწადის რომელი დროა?
- რა ნიშნით მიხვდი?
- რა ფერებით დახატა მხატვარმა შემოდგომა?

აქტივობა 2. პრაქტიკული სამუშაო, შერეული ტექნიკა (შუალედური)

მასალა: სახატავი ფურცელი, მუყაოს ნაჭერი, გუაშის საღებავები, მარკერი, საქსოვი ძაფი, ღრუბელი, წებოვანი ლენტი.

დახატე დაბურული ტყე.

- შემოკეცე ფურცელი მუყაოს ნაჭერზე;
- უკანა მხარეს დაამაგრე ფურცელი წებოვანი ლენტით;
- სიგრძეზე გარშემო შემოახვიე სქელი საქსოვი ძაფი;
- ააჭრელე ფურცელი საღებავიანი ღრუბლით;
- მოხსენი ნამუშევარს ძაფი;
- მარკერით დაახატე წვრილი დეტალები (ტოტები ან ფოთლები).
- წელიწადის რომელ დროს დახატავ?
- რა ფერებით დახატავ ზაფხულის ტყეს?
- რა ფერები სჭარბობს შემოდგომის ტყეში?
- რა ფერის იქნება ზამთრის ტყე?

ნაბიჯი 6. (გაკვეთილი 33)
33. სახელოსნო
სამიზნე ცნება/ქვეცნებები:

1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები - **ქვეცნებები**: ფერი (ძირითადი და შედგენილი, ღია და მუქი); ხაზი (სხვადასხვა ტიპის), ფორმა (გეომეტრიული და ბუნებაში არსებული);
2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა – **ქვეცნებები**: შერეული ტექნიკა;
3. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები – **ქვეცნება**: მხატვრობა;
4. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჟანრები – **ქვეცნება**: პეიზაჟი.

რესურსი – სახელმძღვანელო

იდეები აქტივობებისთვის:

აქტივობა 1. პრაქტიკული სამუშაო, აპლიკაცია (შუალედური)
მასალა: ფერადი ქაღალდები, სახატავი ფურცელი, შავი მარკერი, მაკრატელი, წებო.

გააკეთე პეიზაჟი აპლიკაციის ტექნიკით:

- ფერადი ქაღალდებისგან გამოჭერი ბუნებრივი ფორმები;
- მარკერით დაახატე ფორმებს ტოტები;
- ცალკე ფურცელზე მოამზადე ფონი;
- დახატე ცისა და მიწის გამყოფი ხაზი;
- დააწებე ფორმები ფერად ფონზე;
- მიახატე ხეებს ტანი;
- გაუკეთე სურათს ჩარჩო.

აჩვენე ნამუშევარი მეგობრებს.

- რა გააკეთე?
- რა ფერები გამოიყენე?
- როგორი ფორმები გამოჭერი?
- როგორი ხაზები დახატე?
- რა ტექნიკით იმუშავე?

აქტივობა 2. პრაქტიკული სამუშაო, აპლიკაცია
მასალა: ფერადი ქაღალდები, სახატავი ფურცელი, გუაშის საღებავები, შავი მარკერი, მაკრატელი, წებო.

დააკვირდი ნიმუშს.
აპლიკაციით გააკეთე პეიზაჟი.

- გამოჭერი ფერადი ოვალური, წრიული ან სამკუთხა ფორმები;
- მოხატე ფორმები: ხაზებით და კოპლებით დაახატე მათ ხის ტოტები;
- სახატავ ფურცელზე მოამზადე პეიზაჟის ფონი – დახატე ცა, მიწა, მთები...
- დააწებე მოხატული ფორმები ფონს;
- მიახატე ხეებს ტანი.

ეტაპი III – კომპლექსური დავალების შესრულება და წარდგენა (რა ვისწავლე?)

შენთვის საყვარელი ტექნიკით შექმენი პეიზაჟი. გამოიყენე ჩანაფიქრის შესაბამისი ფორმები (გეომეტრიული და ბუნებაში არსებული), ფერები (ძირითადი და შედგენილი, ღია და მუქი) და სხვადასხვა ტიპის ხაზი (სწორი, ტალღოვანი, ტეხილი, წყვეტილი, მრუდი, სქელი, წვრილი).

- დაფიქრდი, ბუნების რომელ ხედს გამოსახავ (მთა, ზღვა, ტყე, მინდორი...)?
- რა მასალა დაგჭირდება ამ ტექნიკით ნამუშევრის შესასრულებლად?
- რას გააკეთებ აპლიკაციით?
- როგორი ფორმებით გადმოსცემ ხედს?
- რას გააკეთებ გეომეტრიული და რას ბუნებაში არსებულით ფორმებით?
- რომელ ფერებს შეარჩევ შენი პეიზაჟისთვის? რატომ?
- რას დახატავ ხაზებით?
- გაიხსენე, რა შეგიძლია გააკეთო ჩანგლით, ღრუბლით, ბამბიანი ჩხირით?
- რას გააკეთებ პირველ რიგში, რით განაგრძობ მუშაობას და რას დაამატებ ბოლოს?

ნამუშევრის წარდგენისას ისაუბრე:

- რა ასახე ნამუშევარზე?
- რა მასალა და ტექნიკა გამოიყენე?
- როგორ გამოიყენე სხვადასხვა ტიპის ხაზი, ფორმა და ფერი პეიზაჟის გადმოსაცემად?
- რა ნაბიჯები გადადგი დავალებაზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლიდან რომ იწყებდე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობას?

კომპლექსური დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკები:

1. ყოჩაღ!
   შენ სწორად გაიგე დავალების პირობა, შერეული ტექნიკით შექმენი პეიზაჟი. გესმის განსხვავება პეიზაჟის სახეობებს (ზღვა, მთა, ტყე...) შორის, შენს ნამუშევარში ჩანს გარემოს შესაბამისი მრავალფეროვანი ფორმები (გეომეტრიული და ბუნებაში არსებული) და ფერები (შედგენილი და ძირითადი). დეტალები გადმოცემულია სხვადასხვა ტიპის ხაზით.
   ნამუშევრის წარდგენისას სწორად იყენებ ტერმინებს.

2. კარგი ნამუშევარია.
   შერეული ტექნიკით დახატულ პეიზაჟში ჩანს გარემოს შესაბამისი რამდენიმე ფორმა. შეგეძლო გამოგეყენებინა მეტი გეომეტრიული და ბუნებაში არსებული ფორმა, ხოლო დეტალები გადმოგეცა სხვადასხვა ტიპის ხაზით.
   შენ სწორად გესმის რამდენიმე ტერმინის მნიშვნელობა, მაგრამ სასურველია, გამოიყენო ისინი ნამუშევრის წარდგენისას.

თემა 4. კომპლექსური დავალების შეფასება SOLO ტაქსონომიის მიხედვით

<table>
<tr><td colspan="2">

თემატური ბლოკი: მე და გარესამყარო | თემა: ბუნება ჩემ გარშემო

მოსწავლის სახელი, გვარი: _____ თარიღი: _____

სამიზნე ცნება 1: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები

ქვეცნებები: ფერი (ძირითადი და შედგენილი, ღია და მუქი), ხაზი (სხვადასხვა ტიპის), ფორმა (ბუნებაში არსებული);

სამიზნე ცნება 2: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა

ქვეცნებები: შერეული ტექნიკა (აპლიკაცია, ხატვა);

სამიზნე ცნება 3: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები

ქვეცნება: მხატვრობა

სამიზნე ცნება 4: სახვითი ხელოვნების ჟანრები

ქვეცნება: პეიზაჟი

</td></tr>
<tr><td colspan="2">

კომპლექსური დავალების პირობა:

შენთვის საყვარელი **ტექნიკით** შექმენი **პეიზაჟი**. გამოიყენე ჩანაფიქრის შესაბამისი **ფორმები** (გეომეტრიული და ბუნებაში არსებული), **ფერები** (ძირითადი და შედგენილი, ღია და მუქი) და სხვადასხვა ტიპის **ხაზი** (სწორი, ტალღოვანი, ტეხილი, წყვეტილი, მრუდი, სქელი, წვრილი).

</td></tr>
<tr><td>

SOLO ტაქსონომიის დონე: აბსტრაქტული:

მოსწავლეს სიღრმისეულად ესმის საკითხის/მოვლენის არსი, ხედავს მის სხვადასხვა ასპექტს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს. გამოთქვამს ვარაუდებს. განაზოგადებს ცოდნას როგორც მოცემული საგნის ჭრილში, ასევე სხვა სფეროსთან მიმართებაში. აქვს მსგავს მაგალითებთან შედარების, ანალიზის და შეფასების უნარი. შეუძლია საკითხის/მოვლენის პირად გამოცდილებასთან დაკავშირება.

</td><td>

დავალების პირობის თანახმად, ქმნის წარმოსახვით პეიზაჟს. განასხვავებს პეიზაჟის სახეობებს (ზღვა, მთა, ტყე...) და აკავშირებს საკუთარ გამოცდილებასთან (სად ყოფილა, რა უნახავს...). გააზრებულად და მიზანმიმართულად იყენებს გარემოს შესაბამის მრავალფეროვან ფორმას (გეომეტრიულს და ბუნებაში არსებულს), ფერს (შედგენილს და ძირითადს), ხაზს (მაგ., სწორი, ტალღოვანი, ტეხილი, წყვეტილი, მრუდი, დიაგონალური, სქელი, წვრილი). ჩანაფიქრის შესაბამისად, აზრობრივად აკავშირებს ერთმანეთთან და ამთლიანებს გამოსახულებებს. გააზრებულად იყენებს მრავალფეროვან მასალასა და ქმნის ნამუშევარს შერეული ტექნიკით.

წარდგენისას ვრცლად საუბრობს საკუთარ ჩანაფიქრზე და შემოქმედებითი პროცესის ეტაპებზე. ადეკვატურად იყენებს მრავალფეროვან ტერმინებს.

</td></tr>
</table>

მიმართებითი: მოსწავლეს ესმის საკითხის/მოვლენის არსი. ხედავს მის რამდენიმე ასპექტს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს. შეუძლია გამოთქვას ვარაუდი, შეადაროს, გააანალიზოს, გამოიყენოს თეორიული ცოდნა პრაქტიკაში.	დავალების პირობის თანახმად, ქმნის წარმოსახვით პეიზაჟს. განასხვავებს პეიზაჟის რამდენიმე სახეობას (ზღვა, მთა, ტყე...) და აკავშირებს საკუთარ გამოცდილებასთან (სად ყოფილა, რა უნახავს...). იყენებს გარემოს შესაბამის სხვადასხვა ფორმას (გეომეტრიულს და ბუნებაში არსებულს), ფერს (შედგენილს და ძირითადს), ხაზს (მაგ., სწორი, ტალღოვანი, ტეხილი, წყვეტილი, მრუდი, დიაგონალური, სქელი, წვრილი). ჩანაფიქრის შესაბამისად, აზრობრივად აკავშირებს ერთმანეთთან რამდენიმე მათგანს. სხვადასხვა მასალით ქმნის ნამუშევარს შერეული ტექნიკით. წარდგენისას საუბრობს საკუთარ ჩანაფიქრზე და შემოქმედებითი პროცესის რამდენიმე ეტაპზე. ადეკვატურად იყენებს რამდენიმე ტერმინს.
მულტისტრუქტურული მოსწავლეს აქვს წარმოდგენა საკითხის/მოვლენის რამდენიმე ასპექტზე განცალკევებულად, არ ესმის მათ შორის კავშირი. შეუძლია აღწერა, ჩამოთვლა, დახარისხება, კომბინირება, მეთოდების გამოყენება, პროცედურების შესრულება და სხვ.	გამოსახავს პეიზაჟის რამდენიმე ელემენტს, მაგრამ აზრობრივად ვერ აკავშირებს მათ ერთმანეთთან. ფორმების, ფერებისა და ხაზების კომბინაციას აქვს შემთხვევითი ხასიათი. ესმის მასალისა და შერეული ტექნიკის გამოყენების სპეციფიკა, მაგრამ საჭიროებს მასწავლებლის მითითებას. წარდგენისას სრულად აღწერს ნამუშევარს. ესმის რამდენიმე ტერმინის მნიშვნელობა.
უნისტრუქტურული: მოსწავლე განიხილავს საკითხის/მოვლენის მხოლოდ ერთ ასპექტს. ხედავს მარტივ, აშკარა/ცხად კავშირებს. ესმის რამდენიმე ტერმინის მნიშვნელობა. შეუძლია ცოდნის ზეპირად გადმოცემა (გახსენება), მარტივი მითითებების შესრულება; პარაფრაზირება, ამოცნობა, დასახელება ან ჩამოთვლა.	გამოსახავს პეიზაჟის ერთ ელემენტს. ფორმების, ფერებისა და ხაზების კომბინაციას აქვს შემთხვევითი ხასიათი. ვერ აკავშირებს მასალას გამოყენების ტექნიკასთან. წარდგენისას აღწერს ნამუშევრის რამდენიმე ელემენტს. ესმის რამდენიმე ტერმინის მნიშვნელობა.
პრესტრუქტურული მოსწავლე ვერ იაზრებს საკითხს, იყენებს შეუსაბამო ინფორმაციას ან საერთოდ სცდება საკითხს.	ნამუშევარი არ შეესაბამება დავალების პირობას.

თემატური მატრიცა 5

კლასი: I

თემატური ბლოკი: მე და გარესამყარო

თემა: ცოცხალი ბუნება. გაკვეთილები (34 -38) საათების სავარაუდო რაოდენობა: 5+3

თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები (განზოგადებები თემის ფარგლებში):

- გარემოს მრავალფეროვნება, მისგან მიღებული შთაბეჭდილებები, იდეები შემიძლია ავსახო სხვადასხვა **დარგის და ჟანრის** ნამუშევარში.
- გარემოსგან მიღებული შთაბეჭდილებები შეიძლება გადმოვცე მრავალფეროვანი **გამომსახველობითი საშუალებებით, მასალითა და ტექნიკით.**

1. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)

ქვეცნებები – საშუალებები:

ფორმა – ბუნებრივი, მოცულობითი.

2. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა

ქვეცნებები – კონსტრუირება, მოდელირება, ძერწვა, აპლიკაცია.

3. სამიზნე ცნება – სახვითი ხელოვნების დარგები

ქვეცნებები – ქანდაკება, მხატვრობა.

4. სამიზნე ცნება – სახვითი ხელოვნების ჟანრები

ქვეცნებები – ანიმალისტური, პეიზაჟი

საკითხი – ცხოველთა სამყაროს მრავალფეროვნება ხელოვნებაში.

საკვანძო შეკითხვები:

- რომელი **დარგისა და ჟანრის** ნამუშევრით შემიძლია გადმოვცე სამყაროს მრავალფეროვნება?
- როგორ შევქმნა სხვადასხვა გარემოს ამსახველი დიორამა **სხვადასხვა მასალით, ტექნიკით, მხატვრული საშუალებებითა და ხერხებით?**

კომპლექსური დავალება:

დავალების პირობა:

შექმენი დიორამა – ცხოველები და გარემო, რომელშიც ისინი ცხოვრობენ.

ცხოველების პატარა **ქანდაკებების** შესაქმნელად გამოიყენე შენთვის სასურველი მასალა (მუყაო, ქაღალდი, პლასტილინი, თიხა ან საძერწი ცომი) და **ტექნიკა** (ძერწვა, მოდელირება); ცხოველის ქანდაკებაში გადმოეცი მისთვის დამახასიათებელი **ფორმა** (ბუნებაში არსებული).

დიორამაში ცხოველების შესაბამისი გარემოს შექმნისას გამოიყენე გეომეტრიული ან ბუნებაში არსებული **ფორმები**; მასალა (მუყაო, ქაღალდი, საღებავები); აპლიკაციისა და ხატვის **ტექნიკა**.

სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები	**შეფასების კრიტერიუმები (კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მისადაგებული)**
<u>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:</u>	<u>ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:</u>

1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) ● სათქმელის (ამბის, გრძნობის, აზრის, შთაბეჭდილების, განწყობილების, ემოციების, დამოკიდებულებების, დაკვირვების შედეგების), მხატვრული ჩანაფიქრის გადმოსაცემად ადამიანი იყენებს ხელოვნების ენას, ანუ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საშუალებებს (ფერი, ხაზი, ფორმა) და ხერხებს (მაგ., რიტმი, ძირითადის გამოყოფა, კონტრასტი და სხვ.). **2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა.** ● ადამიანი ხელოვნების ნიმუშის შესაქმნელად იყენებს სხვადასხვა მასალასა და ტექნიკას. **3.სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები** ● ხელოვნების სხვადასხვა დარგად დაყოფას განაპირობებს გამოყენებული მასალა, ტექნიკა, დანიშნულება; ● სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების თითოეული დარგისათვის რომელიმე მხატვრული საშუალებაა მეტად დამახასიათებელი. **4. სახვითი ხელოვნების ჟანრები** ● ხელოვნება იყოფა ჟანრებად მასში ასახული შინაარსის მიხედვით.	● რა გააკეთე? ● რა მასალა და **ტექნიკა** შეარჩიე ცხოველების ქანდაკების დასამზადებლად? ● რა მასალით და **ტექნიკით** შექმენი გარემო (პეიზაჟი) შენი ცხოველებისთვის? ● როგორი **ფორმები** გამოიყენე **ცხოველების ქანდაკებებში** და როგორი – **პეიზაჟში**? ● რა ნაბიჯები გადადგი დავალებაზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე? ● რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლიდან რომ იწყებდე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობას?

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)
ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

განსახილველი ქეისები კომპლექსური დავალების განსახორციელებლად:
ბუნება უამრავი ცოცხალი არსების სახლია.
ზოგი სულ ციცქნაა, ზოგი უზარმაზარი, ზოგი კეთილია, ზოგიც – ავი.
ყოველმა მათგანმა საცხოვრებლად სათავისო გარემო შეარჩია.
უხსოვარი დროიდან დღემდე ადამიანი აკვირდება და შეისწავლის ამ სამყაროს.
რას გვიამბობს ხელოვნება მათ შესახებ?
რას და როგორ გვიამბობ შენ?

რესურსები კომპლექსური დავალების განსახორციელებლად:
ილუსტრაციები: პრეისტორიული მხატვრობა, ძველი სამყაროს, პაბლო პიკასოს ანიმალისტური ქანდაკებები, ანრი მატისის დეკუპაჟი.

კომპლექსური დავალების პირობის გააზრებაზე ორიენტირებული შეკითხვები:
● დაკვირვებიხარ, როგორი საინტერესო და განსხვავებული ფორმები აქვთ ცხოველებს, ფრინველებს ან ზღვის ბინადართ?
● როგორ და რა მასალით შეგიძლია გადმოსცე მათი ფორმები?

ნაბიჯი 1. (გაკვეთილები 34 – 35)

34. წინაპრების მონათხრობი

სამიზნე ცნება/ქვეცნებები:

1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა – **ქვეცნება**: ძერწვა;
2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები – **ქვეცნებები**: მხატვრობა, ქანდაკება;
3. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჟანრები – **ქვეცნება**: ანიმალისტური ჟანრი.

რესურსები: სახელმძღვანელო, პრეისტორიული მხატვრობის ნიმუშები, ძველი სამყაროს ქანდაკებები.

იდეები აქტივობებისთვის:

წინარე ცოდნის გააქტიურება:

- გაიხსენე, სად გაჩნდა ადამიანის პირველი ნახატები?
- რატომ ხატავდნენ პირველყოფილი ადამიანები გამოქვაბულის კედლებზე?

აქტივობა 1. დაკვირვება, მსჯელობა

დააკვირდი სურათებს და მოყევი, რას ხედავ.

- რომელი ცხოველები ამოიცანი?
- პირველი გამოსახულება, რაც ადამიანმა შექმნა, იყო ცხოველი.
- როგორ ფიქრობ რატომ?

პასუხი: როცა ადამიანებმა წერა ჯერ არ იცოდნენ, ერთმანეთს შთაბეჭდილებებს ნახატებით უზიარებდნენ. იმ დროს მათ ქაღალდი ჯერ არ ჰქონდათ გამოგონილი. ამიტომ ხატავდნენ გამოქვაბულის კედლებზე.

პირველყოფილი ადამიანები არ ხატავდნენ არც ბუნების ლამაზ ხედებს, არც ერთმანეთის პორტრეტებს. მათი გარემო ხიფათით სავსე ველური ბუნება იყო. ადამიანი მას აკვირდებოდა, სწავლობდა, იმორჩილებდა, სწორედ ეს აღელვებდა ადამიანს. ამიტომაც ხატავდა ცხოველებს, რომლებზეც ნადირობდა, რომლებსაც ათვინიერებდა ან რომლებისაც ეშინოდა.

აქტივობა 2. ძერწვა

პლასტილინით გამოძერწე უცნაური ცხოველის ქანდაკება.

- რა გამოძერწე?
- რა აქვს ამ ცხოველს უჩვეულო?

35. ქანდაკება

სამოტივაციო საუბარი:

ქანდაკება შეიძლება გაკეთდეს ნებისმიერი მასალისგან: პლასტილინი, თიხა, ხე, რკინა, ქვა, შუშა და ყინულიც კი.

დააკვირდით სურათებს: გამოიცანით, რა მასალებითაა გაკეთებული ცხოველების ქანდაკებები?

აქტივობა 1. მსჯელობა

- რა სხვაობაა ნახატსა და ქანდაკებას შორის?

პასუხი: ნახატი ბრტყელია. ქანდაკებას აქვს სიმრგვალე. ის შეგიძლია ყველა მხრიდან დათვალიერო.

აქტივობა 2. დაკვირვება, პრაქტიკული სამუშაო, ძერწვა.
სამოტივაციო საუბარი:

საქართველოში ოქროს დამუშავება მრავალი ათასი წლის წინ დაიწყეს. ეს პაწაწინა ლომი მაშინ შეიქმნა, როდესაც გამადიდებელი მინა ჯერ არ იყო გამოგონილი. ხედავთ, რა კარგი ოსტატები ყოფილან ჩვენი წინაპრები – როგორი ხუჭუჭა ფაფარი აქვს ლომს! როგორ ფიქრობთ, რამხელა შეიძლება იყოს ეს ლომი? ლომის ეს ფიგურა ხელის გულზე ეტევა! ის მეცნიერებმა მიწაში ღრმად ჩამარხული იპოვეს. წარმოგიდგენიათ, როგორ გაუხარდებოდათ, ამ ლომს რომ აღმოაჩენდნენ! დააკვირდით წინწკლებს ლომის კისერზე. ეს ფაფარია.

მასალა: ყვითელი ფერის პლასტილინი (თიხა ან საძერწი ცომი), საძერწი დაფა, კალმის ცარიელი ბუდე ან ამოღებული ღერი.

გამოძერწე ლომის ქანდაკება.
დააკვირდი ლომის ქანდაკებას.

- რა სახასიათო ნიშანი აქვს მას?

ტანზე კალმისტრით გაუკეთე კოპლები.

აქტივობა 3. დაკვირვება, პრაქტიკული სამუშაო, ძერწვა, (შუალედური)
სამოტივაციო საუბარი:

ბერძნულად ჰიპო ცხენს ნიშნავს, პოტამი – მდინარეს. ძველი ბერძნები ბეჰემოთს ჰიპოპოტამს ანუ მდინარის ცხენს უწოდებდნენ.

- რატომ უწოდეს ბერძნებმა ბეჰემოთს მდინარის ცხენი ანუ ჰიპოპოტამი?
  (ბეჰემოთი დიდ დროს წყალში ატარებს).

ეგვიპტელები ამ ცხოველს აღმერთებდნენ და ხშირად აქანდაკებდნენ. რადგან ქანდაკება ნახატი არ არის და ბეჰემოთის გარშემო წყლის მცენარეებს ვერ გამოსახავდნენ, ამიტომ მას წყლის ფერით – ცისფრად ღებავდნენ და მცენარეებს პირდაპირ ტანსა და თავზე ახატავდნენ – თითქოს საყვარელი გარემო ბეჰემოთს მუდამ თან დაჰქონდა!

დააკვირდით, როგორი ფორმები აქვს მას? (მსუქანი, დიდთავა, მოკლეფეხება, ტლანქი, მოუქნელი). ბეჰემოთის ეგვიპტური ქანდაკებები ცის ფერისა და ტანზე ყვავილების გამო, ძალიან მომხიბვლელები და ლამაზები არიან.

ვარიანტი 1:
მასალა: პლასტილინი, წვეტიანი ჩხირები.

- გამოძერწე ბეჰემოთი და დაახატე მას ყვავილი.
- დააკვირდი, როგორი ფორმები აქვს ბეჰემოთს?
- ბეჰემოთის ტანზე წვეტიანი ჩხირით ამოჩხაპნე ყვავილი.

ინსტრუქცია:

- პლასტილინის ბრიკეტს პლასტმასის დანით განივად ჩამოაჭერი ორი ნაჭერი და თითოეული გაყავი ორ, ცერა თითის სისქის ნაჭრად. ეს ფეხები იქნება;
- დააყენე ფეხები და ოდნავ დააჭირე, რომ თათები დაბრტყელდეს;
- იმისთვის, რომ თათებზე ბუთქუნა თითები მონიშნო, ოდნავ ჩააჭირე თათს პლასტილინის საძერწი დანის წვერი. რამდენ ნაჭდევს გააკეთებ დანით, რომ ხუთი თითი გამოვიდეს?

- ჩაარჭე ოთხივე ფეხში ასანთის თითო ღერი ისე, რომ ნახევარი ღერი ამოშვერილი იყოს;
- პლასტილინის მოზრდილ ნაჭერს მიეცი კარტოფილივით მომრგვალებული ფორმა;
- კიდესთან ახლოს მოუჭირე თითები ისე, რომ ბეჰემოთის კისერი ჩაიჭყლიტოს. ის ოდნავ უფრო წვრილი უნდა გამოვიდეს, ვიდრე ტანი;
- თითებით დაამუშავე თავი (ყურები, ცხვირი, თვალები);
- ჩამოაცვი ტანი ფეხებიდან ამოშვერილ ასანთის ღერებს. დააწექი, რომ ტანი ფეხებს მჭიდროდ შეუ-ერთდეს;
- გადაბმის ადგილები გადაგლისე თითით.

აჩვენე ნამუშევარი მეგობრებს და უამბე:

- რა გააკეთე?
- რა მასალით გააკეთე?
- როგორ მიამაგრე ნაწილები ერთმანეთს?
- როგორი ფორმები აქვს შენს ბეჰემოთს?
- რა დაახატე ხაზებით?

ვარიანტი 2:

გააფერადე ბეჰემოთი.

*ეს აქტივობა გამოდგება დიფერენცირების მიზნით. გასაფერადებელი იხ. დანართში.

ნაბიჯის შემაჯამებელი კითხვები:

- რა არის ქანდაკება?
- რა მასალებით კეთდება ქანდაკება?
- რით განსხვავდება ქანდაკება მხატვრობისგან?
- რატომ აკეთებენ ადამიანები ცხოველების ქანდაკებებს?

ნაბიჯი 2. (გაკვეთილი 36)

36. რით კეთდება ქანდაკება?

საძერწი მასალების გაცნობა

სამიზნე ცნება/ქვეცნებები:

1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები. ქვეცნება: ფორმა (ბუნებაში არსებული);
2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა – **ქვეცნება**: ძერწვა;
3. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები – **ქვეცნება**: ქანდაკება;
4. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჟანრები – **ქვეცნება**: ანიმალისტური ჟანრი.

რესურსები: სახელმძღვანელო – პაბლო პიკასოს ანიმალისტური ქანდაკებები

იდეები აქტივობებისთვის:

სამოტივაციო საუბარი:

ქანდაკებას მოქანდაკეები აკეთებენ.

პაბლო პიკასო მხატვარიც იყო და მოქანდაკეც.

ის ქანდაკებას სხვადასხვა მასალით ქმნიდა.

აქტივობა 1. დაკვირვება პაბლო პიკასოს ქანდაკებებზე

- დააკვირდი მაიმუნის ქანდაკებას. რისგან არის გაკეთებული მისი თავი? (სათამაშო მანქანა)
- რა ფორმის თავი აქვს ბუს? (წრიული)
- რა ფორმისაა ხარის ფეხები? (ცილინდრული)

აქტივობა 2. პრაქტიკული სამუშაო, ძერწვა, სავარჯიშო
მასალა: პლასტილინი, საძერწი დაფა, პლასტმასის დანა.

- პლასტილინით გამოძერწე ცხოველის ფიგურა;
- წვრილი დეტალებისთვის გამოიყენე სხვა ფერის პლასტილინი.

აქტივობა 3. პრაქტიკული სამუშაო, ძერწვა, სავარჯიშო
მასალა: თიხა ან საძერწი ცომი, საძერწი დაფა, პლასტმასის დანა.

- თიხით ან საძერწი ცომით გამოძერწე ცხოველი;
- სხვადასხვა ფორმის ნაჭდევებით გამოკვეთე წვრილი დეტალები;
- გააფერადე ქანდაკება გუაშის საღებავით.

ნაბიჯის შემაჯამებელი შეკითხვები:

- რა ცხოველები გამოძერწე?
- რა მასალით გამოძერწე?
- როგორი ფორმები დაგჭირდა ამ ცხოველების ქანდაკებისთვის?
- რა დეტალებით მიამსგავსე ქანდაკება ნამდვილ ცხოველს?

ნაბიჯი 3. (გაკვეთილი 37)
37. აპლიკაცია
სამიზნე ცნება/ქვეცნებები:

1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები – **ქვეცნებები**: ფორმა (ბუნებაში არსებული); ფერი (ღია და მუქი).
2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა – **ქვეცნება**: აპლიკაცია;
3. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები – **ქვეცნება**: მხატვრობა;

რესურსები – სახელმძღვანელო, ანრი მატისის დეკუპაჟი

იდეები აქტივობებისთვის:
სამოტივაციო საუბარი, წინარე ცოდნის გააქტიურება:

მოხუც მხატვარ ანრი მატისს მოლბერტთან დიდხანს ფეხზე დგომა უჭირდა, მაგრამ უსაქმოდ ყოფნა არ შეეძლო. ის სავარძელში იჯდა, ფერადი ქაღალდებისგან სხვადასხვა ფორმას ჭრიდა და ფურცელზე აწებებდა. მატისს ძალიან ლამაზი აპლიკაციები გამოსდიოდა.

გაიხსენეთ, რა არის აპლიკაცია?

აქტივობა 1. დაკვირვება

დააკვირდი ანრი მატისის სურათებს.

- რა შენიშნე?
- რა ტექნიკით გააკეთა ეს სურათები ანრი მატისმა? (აპლიკაციით)

- როგორ ფორმებს ხედავ?
- იპოვე გეომეტრიული და ბუნებრივი ფორმები. რას გაგონებენ ისინი?

პასუხი: ანრი მატისი ფონისთვის გეომეტრიულ ფორმებს იყენებს, ხოლო გამოსახულებებისთვის – ბუნებაში არსებულს. მატისის უსწორმასწორო ფორმები ლოკოკინას, მელაკუდას, წყალმცენარეებს, ჩიტებს, ზღვის ვარსკვლავებს წააგავს.

აქტივობა 2. დაკვირვება, მსჯელობა

სამოტივაციო საუბარი:

ერთხელ ანრი მატისმა შორეულ კუნძულებზე იმოგზაურა. კუნძულის ბუნებამ, ფრინველებმა და ზღვის ბინადრებმა ქალაქელ მხატვარზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. სამშობლოში დაბრუნებულს ისევ იქ ყოფნა ენატრებოდა. სულ იგონებდა ზღვის ხედებს, წყლის თავზე თოლიებს, წყალში კი თევზებს, მედუზებს, ზღვის ვარსკვლავებს და მოლივლივე წყალმცენარეებს. ამ მონატრებამ არ მოასვენა! ადგა და დიდი ზომის ორი აპლიკაცია გააკეთა. ერთს „ცა“ დაარქვა, მეორეს კი – „ზღვა“. გამოიცანით, რომელია „ცა“ და რომელი – „ზღვა“? რა ნიშნით მიხვდით?

დააკვირდით, როგორი ჩარჩო გაუკეთა მხატვარმა აპლიკაციას? რა არის გამოსახული ჩარჩოზე? (წყალმცენარეები).

დააკვირდი ანრი მატისის აპლიკაციას.

- როგორი ფორმებით გააკეთა მხატვარმა ფონი? (ფონი გაკეთებულია ოთხკუთხა გეომეტრიული ფორმებით).
- რა ფერისაა ფონი? (ცისფერი და ლურჯი).
- რატომ აარჩია მხატვარმა ცისფერი და ლურჯი ფერის ფურცლები ფონისთვის? (ცა, ზღვა).
- როგორ ფიქრობთ, რა შეიცვლებოდა, ლურჯ ფონზე ლურჯი ფორმები რომ დაეწებებინა? გამოჩნდებოდა ფორმები თუ დაიკარგებოდა?
- რა ფერის ქაღალდისგან გამოჭრა მხატვარმა ფორმები?
- როგორ ფიქრობთ, რატომ შეარჩია მან თეთრი ფერი ფიგურებისთვის?
- რას ამსგავსებ თეთრ ფორმებს? (თევზს, ზღვის ვარსკვლავს, მედუზას, წყალმცენარეს...).

აქტივობა 3. პრაქტიკული სამუშაო, აპლიკაცია „წყალქვეშა სამყარო“

მასალა: ფერადი ქაღალდები, უბრალო ფანქარი, მაკრატელი, წებო.

გააკეთე აპლიკაცია „წყალქვეშა სამყარო“

- რა ცხოვრობს ზღვაში?
- ფერად ქაღალდებზე უბრალო ფანქრით დახატე და გამოჭერი ბუნებრივი ფორმები;
- ფორმები მიამსგავსე ზღვის მაცხოვრებლებს;
- დაალაგე ფორმები ფონზე, შეურჩიე მათ საუკეთესო ადგილი;
- როცა ფიგურების განლაგება მოგეწონება, დააწებე ისინი მუქ ფონზე.

* როგორც წესი, ბავშვები ფორმებს ხატავენ და ჭრიან ფურცლის შუაში. ამ დროს რჩება ბევრი პატარ-პატარა ნარჩენი. მასწავლებელმა უნდა აუხსნას მოსწავლეებს, რომ ფორმების ხატვა დაიწყონ კიდიდან, რომ შემდგომი ფორმებისთვის დარჩეთ მეტი ქაღალდი. ნარჩენ ქაღალდებზე შეუძლიათ დახატონ და გამოჭრან სხვა, უფრო მომცრო ფორმები.

ნაბიჯის შემაჯამებელი შეკითხვები:

- რა განსხვავებაა ბუნებრივ და გეომეტრიულ ფორმებს შორის?
- როგორი ფორმები გამოგადგებათ, თუ ზღვის არსებების დახატვა გინდათ?
- რა ტექნიკით გამოსახეთ წყალქვეშა სამყარო?
- კიდევ რა მასალით შეგიძლიათ წყლის არსებების გამოსახვა?

ნაბიჯი 4. (გაკვეთილი 38)
38. ქაღალდის ქანდაკება
სამიზნე ცნება/ქვეცნებები:

1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები - **ქვეცნება**: ფორმა (ბუნებაში არსებული);
2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა – **ქვეცნებები**: მოდელირება, კონსტრუირება;
3. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები – **ქვეცნება**: ქანდაკება;
4. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჟანრები – **ქვეცნება**: ანიმალისტური.

რესურსები – სახელმძღვანელო, ნიმუშები

იდეები აქტივობებისთვის:
სამოტივაციო საუბარი, წინარე ცოდნის გააქტიურება:

- გაიხსენეთ, რა მასალით და ტექნიკით შექმენით ცხოველების გამოსახულებები?
- რა არის ქანდაკება?
- რისგან კეთდება ქანდაკება?
- იცოდით, რომ ქანდაკების გაკეთება ქაღალდითაც შეიძლება და სხვა უცნაური მასალებითაც?

აქტივობა 1. პრაქტიკული სამუშაო, მოდელირება, სავარჯიშო
მასალა: მუყაო, უბრალო ფანქარი, მარკერები, წებო, მაკრატელი, ხის ჩხირები, ბოთლის საცობი, ღილები, მძივები და სხვა.

დააკვირდი ნიმუშებს.
გააკეთე მუყაოს ცხოველების ფიგურები.

- დაფიქრდი, როგორ არის გაკეთებული ეს ცხოველები?
- რომელს სჭირდება თარგი?
- როგორ აქვთ დამაგრებული ფეხები?
- რა მასალა დაგჭირდება მსგავსი ცხოველების დასამზადებლად?

1. ვეფხვი

მასალა: მუყაო, საღებავები, მარკერები, ბოთლის საცობი, წებო, მაკრატელი.

ცალ-ცალკე დახატე ვეფხვის თავი, წინა და უკანა ფეხები;
ჯერ ერთმანეთს დააწებე თავი და წინა ფეხები;
შემდეგ წინა და უკანა ფეხები დაწებდება ბოთლის საცობის ორივე მხარეს.

2. კატა

მასალა: ფერად ქაღალდზე ამობეჭდილი თარგი, მუყაოს პატარა ნაჭერი, მაკრატელი, წებო.

კატის თარგი იხ.: დანართში.

3. **ლომი:**

მასალა: ფერადი ქაღალდი ან მუყაო, მაკრატელი.

- მოკეცე შუაზე ფურცელი;
- დახატე ლომი ისე, რომ მისი ზურგი და თავი ნაკეცს დაემთხვეს;
- გააფერადე ლომის ფიგურა ორივე მხრიდან;
- არ გაშალო ფურცელი და გამოჭერი დახატული ლომი;
- ცალკე დახატე და გამოჭერი ლომის ფაფარი;
- ოდნავ ჩაჭერი ფაფარი და ჩამოაცვი თავთან.

4. ცხენი:

მასალა: ფერადი ქაღალდი ან მუყაო, მაკრატელი.

- მუყაოს თხელ ნაჭერზე დახატე და გამოჭერი ცხენი ფეხების გარეშე;
- ორ ერთნაირ სამკუთხა ფორმაზე დახატე და გამოჭერი ცხენის ფეხები;.
- გააფერადე ყველა ფორმა;
- ჩაჭერი ცხენის მუცელი ორ ადგილას და ჩაამაგრე შიგ ფეხები.

* ამ ნიმუშის მიხედვით შეიძლება გააკეთდეს ნებისმიერი ცხოველი.

5. კატა

მასალა: მუყაო, ასანთის ღერები, წებო, მაკრატელი.

დააკვირდი ნიმუშს და დაფიქრდი, როგორ გააკეთებ ასეთ კატას?
რა მასალა დაგჭირდება?

აქტივობა 2. პრაქტიკული სამუშაო, მოდელირება (შუალედური)

გარემოს პატარა მოდელი, ტრიორამა (სამკუთხა დიორამა)

მასალა: ფერადი ქაღალდი, მაკრატელი, წებო, პლასტილინი.

გააკეთე ორი-სამი ცხოველის ქანდაკება.
დააბინავე ცხოველი შესაფერის გარემოში:

- ნიმუშის მიხედვით გამოჭერი და მოხატე პატარა მოდელი – ტრიორამა შესაბამისი გარემოს ამსახველი პეიზაჟით;
- დააწებე მოდელის ძირის ორი ნაწილი ერთმანეთს;
- დაალაგე ზედ პლასტილინისა და მუყაოსგან გაკეთებული ცხოველები.

აჩვენე ნამუშევარი მეგობრებს და უამბე:

- რა გააკეთე?
- რომელი ცხოველები შეარჩიე შენი ნამუშევრისთვის?
- რა მასალა და ტექნიკა შეარჩიე ცხოველების ქანდაკებების გასაკეთებლად?
- როგორი ფორმები გამოიყენე ცხოველების ქანდაკებების გასაკეთებლად?
- როგორ მიამაგრე მათი ნაწილები ერთმანეთს?

- როგორ გარემოში ცხოვრობენ შენი ცხოველები?
- რით გამოსახე მათი შესაფერისი პეიზაჟი?
- რა მასალა და რა ტექნიკა გამოიყენე პეიზაჟის საჩვენებლად?

ეტაპი III – კომპლექსური დავალების შესრულება და წარდგენა (რა ვისწავლე?)

დიორამა „ცხოველთა სამყარო“.

შექმენი დიორამა – ცხოველები და გარემო, რომელშიც ისინი ცხოვრობენ.

ცხოველების პატარა ქანდაკებების შესაქმნელად გამოიყენე შენთვის სასურველი მასალა (მუყაო, ქაღალდი, პლასტილინი, თიხა ან საძერწი ცომი) და ტექნიკა (ძერწვა, მოდელირება);

ცხოველის ქანდაკებაში გადმოეცი მისთვის დამახასიათებელი ფორმა (ბუნებაში არსებული).

დიორამაში ცხოველების შესაბამისი გარემოს შექმნისას გამოიყენე გეომეტრიული ან ბუნებაში არსებული ფორმები; მასალა (მუყაო, ქაღალდი, საღებავები); აპლიკაციისა და ხატვის ტექნიკა.

ნამუშევრის წარდგენისას ისაუბრე:

რა მასალა და **ტექნიკა** შეარჩიე ცხოველების ქანდაკების დასამზადებლად?

რა მასალით და **ტექნიკით** შექმენი გარემო (პეიზაჟი) შენი ცხოველებისთვის?

როგორი **ფორმები** გამოიყენე ცხოველების **ქანდაკებებში** და როგორი – **პეიზაჟში**?

რა ნაბიჯები გადადგი დავალებაზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე?

რას გააკეთებდი განსხვავებულად, ახლიდან რომ იწყებდე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობას?

***გარემოს ნიმუშები:**

კომპლექსური დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკები

1. ყოჩაღ!
   შენი დიორამა ასახავს კონკრეტულ გარემოს შესაბამისი მცენარეებითა და ცხოველებით. შენ გამოიყენე მრავალფეროვანი მასალა და მასალის შესაბამისი ტექნიკა. შენი ცხოველის ქანდაკებას აქვს დამახასიათებელი ფორმები, ხოლო პეიზაჟს – დამახასიათებელი მრავალფეროვანი ელემენტები. წარდგენისას სწორად იყენებ ტერმინებს.

2. კარგი ნამუშევარია!
   შენი დიორამა ასახავს ბუნების ხედს, მაგრამ მასში არეულია სხვადასხვა გარემოს ელემენტები (ვთქვათ, კაქტუსები თოვლზე ან პინგვინები ქვიშიან უდაბნოში...). შეგეძლო გამოგეყენებინა უფრო მრავალფეროვანი მასალა და ტექნიკა. შენი ცხოველის ქანდაკებას აქვს ორიოდ დამახასიათებელი დეტალი. პეიზაჟში შეგეძლო აგესახა მეტი დამახასიათებელი ელემენტი.
   შენ გესმის რამდენიმე ტერმინის მნიშვნელობა, მაგრამ სასურველია გამოიყენო ისინი ნამუშევრის წარდგენისას.

თემა 4. კომპლექსური დავალების შეფასება SOLO ტაქსონომიის მიხედვით.

<table>
<tr><td colspan="2">
თემატური ბლოკი: მე და გარესამყარო
თემა: ცოცხალი ბუნება
მოსწავლის სახელი, გვარი: _____ თარიღი: _____

სამიზნე ცნება 1: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და ხერხები
ქვეცნება: ფორმა (ბუნებაში არსებული)

სამიზნე ცნება 2: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა
ქვეცნებები: ძერწვა, აპლიკაცია, კონსტრუირება

სამიზნე ცნება 3: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები
ქვეცნება: ქანდაკება

სამიზნე ცნება 4: სახვითი ხელოვნების ჟანრები
ქვეცნებები: პეიზაჟი, ანიმალისტური ჟანრი
</td></tr>
<tr><td colspan="2">
კომპლექსური დავალების (ჯგუფური პროექტი) პირობა:
შექმენი დიორამა – ცხოველები და გარემო, რომელშიც ისინი ცხოვრობენ.
ცხოველების პატარა ქანდაკებების შესაქმნელად გამოიყენე შენთვის სასურველი მასალა (მუყაო, ქაღალდი, პლასტილინი, თიხა ან საძერწი ცომი) და ტექნიკა (ძერწვა, მოდელირება); ცხოველის ქანდაკებაში გადმოეცი მისთვის დამახასიათებელი ფორმა (ბუნებაში არსებული).
დიორამაში ცხოველების შესაბამისი გარემოს შექმნისას გამოიყენე ბუნებაში არსებული ფორმები; მასალა (მუყაო, ქაღალდი, საღებავები); აპლიკაციისა და ხატვის ტექნიკა.
</td></tr>
<tr><td>
SOLO ტაქსონომიის დონე: აბსტრაქტული:
მოსწავლეს სიღრმისეულად ესმის საკითხის/მოვლენის არსი, ხედავს მის სხვადასხვა ასპექტს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს. გამოთქვამს ვარაუდებს. განაზოგადებს ცოდნას როგორც მოცემული საგნის ჭრილში, ასევე სხვა სფეროსთან მიმართებაში. აქვს მსგავს მაგალითებთან შედარების, ანალიზის და შეფასების უნარი. შეუძლია საკითხის/მოვლენის პირად გამოცდილებასთან დაკავშირება.
</td><td>
დავალების შესაბამისად ქმნის დიორამას, რომელშიც ასახავს კონკრეტულ გარემოს (ჰაბიტატს) შესაბამისი მცენარეებითა და ცხოველებით. განასხვავებს გარემოს მრავალფეროვნებას და აკავშირებს საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებასთან (რა იცის, რა უნახავს...). მიზანმიმართულად იყენებს მრავალფეროვან მასალასა და მასალის შესაბამის ტექნიკას. შეუძლია ცალკეული ელემენტების ადექვატური კომბინირებით მთლიანის შექმნა.
გაცნობიერებულად აკეთებს ცხოველის ქანდაკებას დამახასიათებელი ფორმებით და ქმნის პეიზაჟს მისთვის დამახასიათებელი მრავალფეროვანი ელემენტებით.
წარდგენისას ვრცლად საუბრობს საკუთარ ჩანაფიქრზე და შემოქმედებითი პროცესის ყველა ეტაპზე.
ადეკვატურად იყენებს მრავალფეროვან ტერმინებს.
</td></tr>
</table>

მიმართებითი: მოსწავლეს ესმის საკითხის/მოვლენის არსი. ხედავს მის რამდენიმე ასპექტს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს. შეუძლია გამოთქვას ვარაუდი, შეადაროს, გააანალიზოს, გამოიყენოს თეორიული ცოდნა პრაქტიკაში.	დავალების შესაბამისად ქმნის დიორამას, რომელშიც ასახავს კონკრეტულ გარემოს (ჰაბიტატს) შესაბამისი მცენარეებითა და ცხოველებით და აკავშირებს საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებასთან (რა იცის, რა უნახავს...). განასხვავებს გარემოს რამდენიმე სახეობას (უდაბნო, არქტიკა, ჯუნგლი...) და ქმნის მათ შესაბამის ცხოველების ფიგურებს. იყენებს მასალასა და მასალის შესაბამის რამდენიმე ტექნიკას. შეუძლია ცალკეული ელემენტების ადექვატური კომბინირებით მთლიანის შექმნა. აკეთებს ცხოველის ამოცნობად ქანდაკებას და ქმნის პეიზაჟს მისთვის დამახასიათებელი ელემენტებით. წარდგენისას საუბრობს საკუთარ ჩანაფიქრზე და შემოქმედებითი პროცესის ეტაპებზე. ადეკვატურად იყენებს რამდენიმე ტერმინებს.
მულტისტრუქტურული მოსწავლეს აქვს წარმოდგენა საკითხის/მოვლენის რამდენიმე ასპექტზე განცალკევებულად, არ ესმის მათ შორის კავშირი. შეუძლია აღწერა, ჩამოთვლა, დახარისხება, კომბინირება, მეთოდების გამოყენება, პროცედურების შესრულება და სხვ.	დავალების შესაბამისად ქმნის დიორამას, რომელშიც ასახავს კონკრეტულ გარემოს (ჰაბიტატს) შესაბამისი რამდენიმე მცენარითა და ცხოველით. განასხვავებს გარემოს რამდენიმე სახეობას და ქმნის შესაბამისი რამდენიმე ცხოველის ფიგურას, თუმცა არის მცირედი შეუსაბამობაც. მასწავლებლის მითითებით იყენებს მასალის შესაბამის ტექნიკას. წარდგენისას სრულად აღწერს საკუთარ ნამუშევარს, ჩამოთვლის მის ყველა ელემენტს. იყენებს რამდენიმე ტერმინს.
უნისტრუქტურული: მოსწავლე განიხილავს საკითხის/მოვლენის მხოლოდ ერთ ასპექტს. ხედავს მარტივ, აშკარა/ცხად კავშირებს. ესმის რამდენიმე ტერმინის მნიშვნელობა. შეუძლია ცოდნის ზეპირად გადმოცემა (გახსენება), მარტივი მითითებების შესრულება; პარაფრაზირება, ამოცნობა, დასახელება ან ჩამოთვლა.	დავალების შესაბამისად ქმნის ნამუშევარს, რომელშიც შეუსაბამოდ ასახავს გარემოს (ჰაბიტატს). ვერ განასხვავებს გარემოს სახეობებს. ცხოველების ფიგურები არ არის ამოცნობადი. არის შეუსაბამობაც ცხოველებსა და გარემოს შორის. ვერ მიჰყვება მასწავლებლის მითითებებს. წარდგენისას აღწერს ნამუშევრის რამდენიმე ელემენტს. ესმის რამდენიმე ტერმინის მნიშვნელობა, მაგრამ ვერ იყენებს მათ წარდგენისას.
პრესტრუქტურული მოსწავლე ვერ იაზრებს საკითხს, იყენებს შეუსაბამო ინფორმაციას ან საერთოდ სცდება საკითხს.	ნამუშევარი არ შეესაბამება დავალების პირობას.

შემაჯამებელი გაკვეთილი „მე უკვე ვიცი“

სასურველია, ნასწავლი მასალის შეხსენება და შეკითხვების დასმა მოხდეს სასწავლო წლის დასასრულს, მოსწავლეების მიერ საკუთარი პორტფოლიოს საბოლოო მოწესრიგების პროცესში, რათა მათ ერთიანად დაინახონ წლის განმავლობაში მიღწეული შედეგები.

ან, შესაძლებელია, ეს გაკვეთილი წარიმართოს თამაში-ვიქტორინას სახით.

- შენ უკვე იცი სხვადასხვა მასალითა და ტექნიკით მუშაობა;
- ისწავლე აპლიკაციის კეთება;
- გააკეთე პლასტილინის და მუყაოს ცხოველები;
- დახატე პორტრეტები და პეიზაჟები;
- დაამზადე საახალწლო მოსართავები.
- რა მოგეწონა ყველაზე მეტად? რა გამოგდის კარგად?

შეკითხვები:

- რა შეუძლია ფანქარს?
- როგორ ხაზებს ავლებს ფანქარი?
- რით შემიძლია წავშალო ფანქრის ნაკვალევი?

ფანქრით შემიძლია გავავლო სხვადასხვანაირი ხაზები.

ფერადი ფანქრებით შემიძლია გავაფერადო ნახატი.

ფანქარი მოკლე, გრძელ, მუქ და მკრთალ ხაზებს ხატავს.

ფანქრით გავლებული ხაზები შემიძლია წავშალო საშლელით.

- რა შეუძლია პასტელს?

პასტელი ფერად ცარცებს ჰგავს, ის მსუქან ხაზებს ავლებს, დიდ ფორმებს აფერადებს.

პასტელის კვალი საშლელით არ წაიშლება.

- რა შეუძლია საღებავს?
- რა დაგჭირდება საღებავებით სახატავად?

გუაში და აკვარელი წყლის საღებავებია. საღებავებით რომ დავხატო, დამჭირდება ფუნჯი, პალიტრა და წყალი.

საღებავს შეუძლია ჭრელი ლაქების და ხაზების დახატვა, დიდი ფორმების გაფერადება და წვრილი კოპ-ლების დასმაც.

- რა შეუძლია მარკერებს?

მარკერებით შემიძლია დავხატო და გავაფერადო ნახატი.

მარკერებით დახატული სურათი მკვეთრია და მკაფიო.

მარკერის კვალი საშლელით არ წაიშლება.

ფანქრით, პასტელით ან საღებავით დახატულ ფორმებს შემიძლია მარკერით შემოვავლო მკაფიო ხაზი.

------ ------ ------ ------ ------

- როგორი ხაზები არსებობს?
- რა შეუძლიათ ხაზებს?

ხაზი არსებობს სწორი და მრუდი, წყვეტილი, ტეხილი, ტალღოვანი...

ხაზი შეიძლება იყოს ეკლიანი, ბრაზიანი და კეთილი, ცელქი და მშვიდი...

ხაზებს შეუძლიათ დახატონ ის, რასაც მოვინდომებ.

- როგორი ფერები არსებობს?
- რა შეუძლიათ ფერებს?

წითელი, ლურჯი და ყვითელი ძირითადი ფერებია.

ამ სამი ფერის შეზავებით სხვა ფერების მიღება შემიძლია.
ნარინჯისფერი, მწვანე და იისფერი შედგენილი ფერებია.
ფერებს შეუძლიათ გააფერადონ ნახატი, შექმნან სევდიანი ან მხიარული განწყობა.

- რაში გვეხმარება ფონი?

ფონი გამოკვეთს მთავარს, გვიჩვენებს, რა ხდება უკან.

- რა შემიძლია გავაკეთო ფერადი ქაღალდებით?

ფერადი ქაღალდებით შემიძლია გავაკეთო აპლიკაცია.

------ ------ ------ ------ ------

- რას გვიამბობს პორტრეტი?

პორტრეტი გვიამბობს, როგორია ადამიანი.

- რას ასახავს პეიზაჟი?

პეიზაჟი ბუნების ხედია.

ფინალური აქტივობა (ჯგუფური სამუშაო)

- მეგობრებმა მოილაპარაკეთ, ვინ რას დახატავთ;
- დახატეთ ადამიანი, სახლი, მცენარე ან ცხოველი;
- გააფერადეთ და გამოჭერით თქვენი ნახატები.

- ლამაზად გაანაწილეთ ნახატები დიდ ქაღალდზე;
- დააწებეთ ისე, რომ გამოვიდეს ერთი დიდი სურათი;
- მოუფიქრეთ სურათს სათაური.

მოსწავლის თვითშეფასების ფორმა: